

სახელმწიფო დაცვა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2024, №12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2024, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2024, №12

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2024, №12

გადაწყვეტილებების შერჩევისა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯელი

1. ნასყიდობა	
ნასყიდობის საზღაურის დაკისრება	4
2. ლიზინგი	
ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტა	13
3. სესხი	
ზეპირი ხელშეკრულება	28
4. დაზღვევა	
სადაზღვევო შემთხვევის დადგომით	
გამონეული ზიანის ანაზღაურება	37; 78
სადაზღვევო შესატანი	87
ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისგან	104
დამზღვევის ბრალი	
სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას	117; 130
სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება	139
5. საბანკო მომსახურება	
საბანკო კრედიტის ხელშეკრულება	154
საანაბრე ხელშეკრულებიდან გამომდინარე	
თანხის ანაზღაურება	176

1. ნასყიდობა

ნასყიდობის საზღაურის დაკისრება

განმცხადებელი საქართველოს სახელმწიფო

№ას-1472-2020

17 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. შპს „ა.ჭ.ჭ.ნ.პ.ს.თ-მა“ (შემდგომ – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „G.“-ის (შემდგომ – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის 660 141 აშშ დოლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელე თურქული კომპანიაა, რომელიც 2011 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, მოპასუხეს სისტემატურად აწოდებდა სხვადასხვა დასახელების სამეურნეო პროდუქტს სასაქონლო ინვოისების საფუძველზე. ამ პერიოდის მანძილზე მოსარჩელემ მიაწოდა, ხოლო მოპასუხემ მიიღო 2 468 782 აშშ დოლარის სამეურნეო საქონელი. ამ უკანასკნელმა აანაზღაურა მხოლოდ 1 808 641 აშშ დოლარი, შესაბამისად, მოპასუხეს გადასახდელი აქვს 660 141 აშშ დოლარი.

მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ 2011-2017 წლებში მოსარჩელისაგან მიიღო გარკვეული სახის საქონელი, მაგრამ მოსარჩელე ვერ ადასტურებს მხარეებს შორის სასყიდლიანი გარიგების – ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას. მოსარჩელე ვერ ადასტურებს ვალდებულების მოცულობას, შესრულების დროს და ა.შ. შესაბამისად, შეუძლებელია, განისაზღვროს მოპასუხის ვალდებულება მოსარჩელის მიმართ. მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას. ამასთან, მოპასუხის აზ-

რით, არასახელმწიფო ენაზე წარმოდგენილი საბაჟო დეკლარაციები ასეთად ვერ მიიჩნევა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს დაეკისრა 660 141 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ; მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის მიერ სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 5000 ლარი და, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი მოსარჩელის სასარგებლოდ.

5. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით – სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო პალატის მითითებით, შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სასაქონლო ინვოისებით, საბაჟო დეკლარაციებითა და საქონლის განბაჟების დოკუმენტებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის 2011-2017 წლებში მიწოდებული საქონლის ღირებულება 2450834,87 აშშ დოლარი და 3007,73 ლარი იყო. საბაჟო დეკლარაცია შეიცავს სასაქონლო ინვოისის მონაცემებს, რომლის საფუძველზეც მიწოდებული საქონელი მოექცევა საბაჟო რეჟიმში. ეს მონაცემები, საბაჟო დეკლარაციაში გადატანილია სასაქონლო ინვოისიდან. იმავე ინფორმაციას შეიცავდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის 8 თებერვლის აუდიტორული დასკვნა, რომელიც აუდიტმა მოამზადა შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე. სააპელაციო პალატის მითითებით, ამ ღირებულების საქონლის მიღებას არ უარყოფს მოპასუხე, თუმცა, მისი მტკიცებით, მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა არ გამომდინარეობს ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან, რაც გამორიცხავდა ნასყიდობის საფასურის მოპასუხისათვის დაკისრებას.

8. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარემ თავის მოთხოვნის დასადასტურებლად შეძლო მოპასუხისთვის პროდუქციის მიწოდების, საკუთრებაში გადაცემის ფაქტის დადასტურება (რაც დასტურდება საბაჟო დეკლარაციებით, მხარეთა განმარტებებით), ხოლო მოპასუხემ

ვერ შეძლო იმ ფაქტობრივი გარემოების დადასტურება, რომ, ნაცვლად ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობისა, მხარეთა შორის არსებობდა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც გამორიცხავდა თანხის გადახდის ვალდებულებას.

9. იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოდავე მხარეები არიან მენარმე სუბიექტები, რომელთაც სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდათ რამდენიმე წლის მანძილზე, მოსარჩელემ მოპასუხეს მოძრავი ქონება საკუთრებაში არაერთხელ გადასცა, სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა სასყიდლიანი, კერძოდ, ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობა.

10. პალატამ მოისმინა მხარეთა მოსაზრებები, პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმში ასახული მათი განმარტებები და დაადგინა, რომ მოპასუხეს არც შესაგებელში, არც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას არ მიუთითებია სარჩელის ნაწილობრივ ხანდაზმულობის თაობაზე. სასამართლოს განმარტებით, სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით აპელანტის მიერ მხოლოდ სააპელაციო განხილვის ეტაპზე მითითება, ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე დაუშვებელი მითითებაა, რაც ვერ გახდებოდა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი.

კასატორის მოთხოვნა:

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

12. მოსარჩელის მტკიცებითვე, მოპასუხეს საქონელი მიანოდა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო მოპასუხე აცხადებს, რომ საქონელი არ მიწოდებულა ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე. სასამართლომ არასწორად გაანალიზა მტკიცების ტვირთი. მოსარჩელეს არა მხოლოდ კონკრეტული ვალდებულების არსებობა უნდა ემტკიცებინა, არამედ ვალდებულების შესრულების ვადის დადგომაც. მოპასუხე არ აცხადებს, რომ არ დამდგარა ნასყიდობის საფასურის გადახდის ვადა და არც იმას, რომ ნასყიდობის საფასური გადაიხადა. შესაბამისად, მოპასუხეს არ ეკისრება იმის მტკიცება, რაც არ უთქვამს. მოპასუხე მხოლოდ იმას აცხადებს, რომ მხარეებს შორის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდა, ხოლო რა სახის ურთიერთობა იყო, არ ასახელებს. შესაბამისად, გაუგებარია, სასამართლოს რატომ შემოაქვს სამტკიცებლად გარემოებები მხარეთა შორის არსებული სხვა ურთიერთობების შესახებ?

13. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც დადასტურდებოდა, რომ მხარეებს შორის სწორედ ნასყიდობის სამარ-

თლებრივი ურთიერთობა არსებობდა. მოსარჩელეს თავად ევალებოდა ცალსახად და უტყუარად ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის დადასტურება და სასამართლოს მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე არ უნდა გადმოეტანა. სააპელაციო სასამართლომ ნასყიდობის ურთიერთობა დადგენილად მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს დოკუმენტების – საბაჟო დეკლარაციების საფუძველზე, მაშინ, როდესაც არსებობს სამოქალაქო სამართლებრივი დოკუმენტებიც – ინვოისებიც, რომელიც მოსარჩელემ ქართულ ენაზე არ წარმოადგინა. მხოლოდ საბაჟო დოკუმენტების საფუძველზე კი ვერ დადგინდება, რომ ტვირთი სწორედ ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად მიეწოდა მოპასუხეს. სააპელაციო სასამართლომ ივარაუდა, რომ, რაკი მხარეები მენარმე სუბიექტები არიან და ხანგრძლივი სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვთ, ხელშეკრულებაც აუცილებლად სასყიდლიანი იქნებოდა, რაც არასწორი მსჯელობაა.

14. რაც შეეხება მტკიცებულებას, მართალია, საქმეში ძალიან ბევრი დოკუმენტია, თუმცა მათი უმრავლესობა მტკიცებულებად არ გამოდგება, რამდენადაც ნაწილი მათგანი არაქართულ ენაზეა შესრულებული, ხოლო ნაწილი სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებას ურთავს, რომელიც მთავარ სხდომაზე იყო წარმოდგენილი და ისინი დასაშვებად არ არის ცნობილი. ქართულენოვანი დოკუმენტებიდან საქმეს დართული მტკიცებულებებია: საბაჟო დეკლარაციები და აუდიტის დასკვნა. აუდიტის დასკვნა არ წარმოადგენს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცებულებას და სასამართლოს არ უნდა შეეფასებინა. როგორც დასკვნაშია მითთებული, აუდიტი ეყრდნობა ინვოისებს, მაშინ, როდესაც საქმეში არ არის წარმოდგენილი პირველადი მტკიცებულებები – ინვოისები, შეუძლებელია დასაშვებ მტკიცებულებად მივიჩნიოთ ამ ინვოისების თაობაზე აუდიტის დასკვნა. ამასთან, აუდიტის დასკვნაში საუბარია ნივთების ღირებულებაზე და არა – ნასყიდობის ფასზე.

15. მოპასუხე მუდმივად აცხადებდა, რომ მოსარჩელისაგან საქონელი მიიღო და არცერთი თეთრი არ გადაუხდია მისთვის, რადგან მოპასუხეს არაფერი არ ჰქონდა გადასახდელი ნასყიდობის ფასის სახით. გაუგებარია ისიც, რომელი დოკუმენტის საფუძველზე გამოთვალა სასამართლომ, რომ მაინცდამაინც 660 141 აშშ დოლარი იყო გადასახდელი.

16. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ ხანდაზმულობა არის ფაქტი, მაშინ, როდესაც სამართლებრივი შეფასებაა. მოსარჩელე მხარემ წარმოადგინა ელექტრონული ფოსტის წერილი იმის დასამტკიცებლად, რომ მოპასუხისათვის გარვეულ დროს მოთხოვნილი ჰქონდა დავალიანების გადახდა. მოპასუხე შეედავა მოსარჩელის

მიერ მითითებულ ამ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებას (მოპასუხეს ეს ელექტრონული წერილი არ ჩაჰპარებია). სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობა საერთოდ არ განიხილა, რადგან მიიჩნია, რომ მოპასუხე მას არ შეედავა. ეს უკანასკნელი შეედავა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლითაც მოსარჩელე ცდილობდა დამტკიცებას, რომ 3-წლიანი ვადის მიხედვით მოითხოვა დავალიანების დაფარვა.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ-ის) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. მოძრავი ნივთების ნასყიდობის საფასურის გადახდის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 477.2 (მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება) მუხლი. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ნასყიდობის საზღაურის დაკისრების შესახებ მოთხოვნა განხორციელებადია, თუკი არსებობს მხარეთა შორის ნასყიდობის სახელშეკრულებო ურთიერთობა, გამყიდველმა მყიდველს მიაწოდა ნივთები, ხოლო ამ უკანასკნელს არ გადაუხდია საზღაური.

20. გამყიდველმა უნდა დაამტკიცოს მყიდველისათვის ქონებისა და დოკუმენტების, ისევე – როგორც მასზე საკუთრების უფლების გაცემის ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოების მიმართ, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს ნივთები გადასცა, კასატორს არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (არ არის უარყოფილი ნივ-

თების გადაცემის ფაქტი). მოპასუხე უარყოფს დავალიანების არსებობას და მიუთითებს, რომ მას ნივთები გადაეცა არა ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში, არამედ მოსარჩელესთან სხვა სამართალურ-თიერთობის ფარგლებში. კასატორის მტკიცებით, იგი არ არის ვალდებული, მიუთითოს ამ ურთიერთობის შესახებ. შესაბამისად, არც რაიმეს დამტკიცება არ ევალება, რადგან, უპირველესად, მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაამტკიცა მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობა.

21. საკასაციო პალატა მიუთითებს, არასწორია კასატორის მოსაზრება, რომ თავდაპირველად მოწმდება, მოსარჩელემ რამდენად დაამტკიცა სარჩელში მითითებული გარემოებები. ვიდრე სასამართლო მტკიცების სტადიაზე გადავა, ამონშებს მოსარჩელისა და მოპასუხის ახსნა-განმარტებას. მოპასუხეს ევალება მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა და მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სათანადოდ უარყოფა. თუკი მოპასუხე წარმატებით გაართმევს თავს ე.წ. მეორეული მითითების ტვირთს, შემდეგ ჯერი ისევ მოსარჩელეზე მიდგება, როგორც მოთხოვნის უფლების განმახორციელებელზე, რომ მიუთითოს და დაამტკიცოს გარემოებები, რომელიც მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს გამოიცხავს. ამდენად, შედავება უნდა იყოს სათანადოდ არსებითი, კონკრეტული და არა ზოგადი და აბსტრაქტული, კერძოდ, როდესაც მოპასუხე აღიარებს მოსარჩელისაგან საქონლის მიღებას, თუმცა უარყოფს ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას, სწორედ ის არის ვალდებული, მიუთითოს, რა ურთიერთობის ფარგლებში მიიღო საქონელი და რატომ არ არის ვალდებული, გადაიხადოს საქონლის ღირებულება. მოპასუხეს კი, ახსნა-განმარტების გამართულობისათვის საჭირო ფაქტობრივ გარემოებებზე არ მიუთითებია.

22. განსახილველ შემთხვევაში, მხოლოდ იმის უარყოფა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულია, არ არის საკმარისი შედავება, არამედ მოპასუხეს პოზიტიურად უნდა დაესაბუთებინა საწინააღმდეგო, კერძოდ, რა არის შესრულების სამართლებრივი საფუძველი, რისთვის მიიღო მოსარჩელისაგან ნივთები და რა გამოიცხავს მოსარჩელისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

23. რაც შეეხება მტკიცების სტადიას, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობაა. მტკიცების ტვირთის მთავარი პრინციპია – „ის, ვინც ახორციელებს რომელიმე უფლებას, უნდა დაამტკიცოს ამ უფლების დამფუძნებელი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო ის, ვინც თავს იცავს უფლე-

ბის განხორციელებისაგან, ანუ ეწინააღმდეგება ამ უფლებას, უნდა დაამტკიცოს ამ უფლების წარმოშობის ხელშემშლელი ფაქტობრივი გარემოებები“ (იხ.: შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, *ჩიკაგო, 2013, გვ. 25*).

24. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნისას, ხელშეკრულების დადებისა და მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების ფაქტი მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, ხოლო მოპასუხემ – ვალდებულების შესრულების ფაქტი ან იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც მის მიერ ვალდებულების შესრულებას გამორიცხავდა. ამდენად, მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური გადანაწილების პრინციპებზე დაყრდნობით, სასამართლო პრაქტიკით სახელშეკრულებო სამართალში მტკიცების ტვირთი შემდეგნაირად ნაწილდება: (1) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ხელშეკრულების დადება; (2) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ვალდებულების შესრულების ვადა, ანუ ვადამოსული ვალდებულების არსებობა; (3) მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს მის მიერ ვალდებულების უფლებამოსილი პირის მიმართ შესრულება ან მოპასუხის ვალდებულება წინმსწრებ რეჟიმში შესრულების მოვალეობის არსებობის შესახებ; (4) მოპასუხემ უნდა ამტკიცოს საპასუხო (ან წინმსწრები) ვალდებულების შესრულების ფაქტი; ან კიდევ (5) მოპასუხემ უნდა ამტკიცოს გარემოებები, რომლებიც მის მიერ ვალდებულების შესრულებას გამორიცხავდა (იხ.: ქ. მესხიშვილი, სსსკ-ის კომენტარი (რჩეული მუხლები), თბილისი, 2020, მუხ. 102, გვ. 424-425).

25. სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის, საბაჟო დეკლარაციებითა და აუდიტის დასკვნით დაადგინა გადასახდელი ნასყიდობის საფასური. საკასაციო პრეტენზიის თანახმად, გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის მიერ დავალიანების არსებობის დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები, რადგან ისინი სადავო გარემოებას არ ადასტურებდა. პალატა მიუთითებს, რომ მხარე, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი, ვალდებულია, წამოადგინოს ძირითადი მტკიცებულება. ძირითადი მტკიცებულება სათანადოა იმ შემთხვევაში, თუ იგი ახერხებს სასამართლოს დარწმუნებას. პალატა უარყოფს კასატორის არგუმენტს სასამართლოს მხრიდან სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ ნასყიდობის საფასურის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხის ვალდებულება დასტურდება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულებით, რომელიც სრულად პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და ქვემდგომმა სასამარ-

თლოებმა მათ საფუძველზე სწორად დაადგინეს სადავო გარემოება. მეორე მხრივ კი, როდესაც მოპასუხე თავს იცავს მოთხოვნისაგან, უფლების დამაბრკოლებელი ფაქტობრივი გარემოებები მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს. მოპასუხეს არ წარმოუდგენია რაიმე საპირისპირო მტკიცებულება, რომელიც ხელს შეუშლიდა სასამართლოს დარწმუნებას.

26. ამდენად, რაკი მოსარჩელემ დაამტკიცა ქონებაზე საკუთრების უფლების მოპასუხისათვის გადაცემა და მოითხოვს ნასყიდობის საფასურის გადახდას, შესრულების მიმღებს ეკისრება როგორც მითითების, ისე მტკიცების ტვირთი იმისა, რომ მან ნივთები არა ნასყიდობის, არამედ სხვა ურთიერთობის ფარგლებში მიიღო. ასეთ დროს მოპასუხემ არა მარტო სადავო უნდა გახადოს მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარის ახსნა-განმარტება (მოსარჩელის), არამედ კვალიფიციურად წარმოადგინოს მის მიერ მითითებული გარემოებები სხვა სამართალურთიერთობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ მოპასუხე მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს სათანადოდ ვერ შეედავა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის არასწორად გადანაწილების თაობაზე და მიიჩნევს, რომ სწორია გასაჩივრებული განჩინების დასკვნა – მოსარჩელემ თავისი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობები შესაბამისი მტკიცებულებებით დაადასტურა, ხოლო მოპასუხემ ვერ შეძლო ამ ფაქტობრივი გარემოებების სათანადოდ უარყოფა.

27. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით და განმარტავს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობა ფაქტია და არა სამართლებრივი კვალიფიკაცია. მოთხოვნის ხანდაზმულობას სასამართლო იკვლევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მოთხოვნის ხანდაზმულობის საფუძველით სასარჩელო მოთხოვნას სათანადო წესით წარდგენილი შესაგებლით უარყოფს (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2017, მუხლი 128, გვ. 723). საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე, რომელთა თანახმად, მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს. აქედან გამომდინარე, ხანდაზმულობის მოტივით მოპასუხე სარჩელს შესაგებლით უნდა შეედავოს. პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში და არც საქმის მომზადების ეტაპზე მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მოპასუხეს არ მიუთითებია. სსსკ-ის 219-ე მუხლი კი, ზღუდავს მას შემდგომ მიუთითოს ამ გარემოებაზე

(იხ. სუსგ №ას-1536-2018, 14 მაისი, 2020 წელი). ამასთან, კასატორის მიერ მითითებული გარემოება, მან სადავო გახადა მტკიცებულება, რომლითაც მოსარჩელე ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ მოპასუხეს ელექტრონული წერილით მიმართა დავალიანების გადახდის მოთხოვნით, დაუსაბუთებელია იმიტომაც, რომ ზემოხსენებული გარემოება ხანდაზმულობას არ უკავშირდება, რამდენადაც მოვალისათვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, ხანდაზმულობის შეწყვეტას არ იწვევს.

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

29. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „G.“-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 26 ოქტომბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ლიზინგი

ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტა

გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო

№ას-1846-2018

5 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. შპს „მ-ომ“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „ლიზინგის გამცემი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ლ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „კასატორი“, „ლიზინგის მიმღები“) მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.03.2018 წლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18.10.2018 წლის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1986.93 ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

4.1. ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის 01.09.2016 წელს დაიდო ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება, რომლის თანახმა-

დაც სატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 8 855 ლარით, თანხის გაცემის საკომისიო – 564 ლარით. მოპასუხემ მოსარჩელის ანგარიშზე შეიტანა თანამონაწილეობის 1335 ლარი, შესაბამისად, საბოლოოდ ლიზინგის თანხამ შეადგინა 8 084 ლარი. გრაფიკის მიხედვით, ლიზინგის მიმღებს 24 თვის განმავლობაში ყოველთვიურად უნდა ეხადა 585.85 ლარი. პირველი გადახდის თარიღად განისაზღვრა 01.10.2016 წელი.

4.2. ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი ავტომობილი MERCEDES-BENZ E320 CDI, გამოშვების წელი 1999 წელი (შემდეგში „ავტოსატრანსპორტო საშუალება“, „ავტომობილი“, „ლიზინგის საგანი“), საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა ლიზინგის გამცემის სახელზე და მფლობელობაში გადაეცა ლიზინგის მიმღებს.

4.3. მხარეთა შორის 05.10.2016 წელს გაფორმდა ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, რომლითაც შეწყდა ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება და ავტომობილი გადაეცა ლიზინგის გამცემს. შეთანხმების მე-2 პუნქტის თანახმად, ლიზინგის გამცემს სრული უფლება ჰქონდა, გაესხვისებინა სატრანსპორტო საშუალება ნებისმიერ ფასად და გასხვისებით მიღებული თანხა მიემართა ლიზინგის მიმღების დავალიანების და იმ ხარჯების დასაფარად, რაც დაკავშირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების დანაკლისის ან/და დაზიანების აღმოფხვრას და გასხვისებასთან. მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეთანხმების გაფორმებისა და ლიზინგის მიმღების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მოსარჩელისთვის გადაცემის შემდეგ (რაზეც შედგება მიღება-ჩაბარების აქტი), ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება მიიჩნეოდა შეწყვეტილად, ხოლო მხარეთა შორის არსებული ვალდებულებები, გარდა მე-2 პუნქტში მითითებულისა, შესრულებულად.

4.4. 05.10.2016 წელს მოპასუხემ მოსარჩელეს ავტოსატრანსპორტო საშუალება გადასცა. მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა.

4.5. 28.10.2016 წელს მოსარჩელემ ავტომობილი გაასხვისა 2 900 ლარად, საიდანაც დაფარა ძირითადი დავალიანება 2407.07 ლარი, პროცენტი – 467.93 ლარი და სხვა ხარჯი – 25 ლარი.

4.6. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის გადაცემის მომენტისათვის დაზიანებული არ ყოფილა. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) მე-4, 102-ე მუხლებზე და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რომელმაც ვერ შეძლო სადავო გარემოების დადასტურება. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ

ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად ავტომობილი უნდა გადაცემულიყო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შესაბამისად, სპეციალური მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა დაზიანებული ავტომობილის გადაცემის ფაქტი, იყო მიღება-ჩაბარების აქტი, რაც უდავოა, რომ შედგენილი არ ყოფილა. რაც შეეხება ავტომობილის შეფასების ფურცელსა და ფოტოსურათებს, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულებები სადავო ფაქტობრივი გარემოების სამტკიცებლად არ გამოდგება. სასამართლოს განმარტებით, შეფასების ფურცელი შედგენილია მოსარჩელის ბლანკიან ფურცელზე, მოსარჩელის თანამშრომლის მიერ და მასზე არ არის მითითებული შედგენის დრო. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, ავტომობილი შეფასდა გასხვისებამდე რამდენიმე დღით ადრე, შესაბამისად, მასში ასახული არ არის მისი მდგომარეობა უშუალოდ გადაცემის მომენტისთვის. შეფასების ფურცლის მიხედვით, ავტოსატრანსპორტო საშუალება არ იქოქება და უცნობია მისი მდგომარეობა. შემფასებელს არ შეუფასებია ავტომობილის ექსტერიერი და ინტერიერი, აღნიშნული არ არის გარეგანი დაზიანებების არსებობის შესახებ. შეფასების ფურცლისაგან განსხვავებით, ფოტოსურათების მიხედვით ავტომობილზე აღინიშნება გარეგანი დაზიანებები. აღსანიშნავია, რომ ფოტოსურათებზეც არ არის მითითებული მათი გადაღების თარიღი, შესაბამისად, არ დგინდება, რომ ფოტოგადაღება მოხდა ავტომობილის გადაცემის მომენტში. ამდენად, მითითებული მტკიცებულებებით არ შეიძლება დადასტურდეს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ავტომობილი დაზიანდა მაშინ, როდესაც მოპასუხე ფლობდა მას და არა იმ პერიოდში, როდესაც მასზე ფაქტობრივ ბატონობას მოსარჩელე ახორციელებდა (05.10.2016 წლიდან 28.10.2016 წლამდე პერიოდში). სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია შეფასების ფურცელში დაშვებულ ტექნიკურ შეცდომასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ შეფასების არასრულყოფილება არ შეიძლება შეფასდეს ტექნიკურ შეცდომად.

4.7. სასამართლოს მითითებით, ვინაიდან მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა 05.10.2016 წელს, მოპასუხეს ეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემამდე პროცენტის გადახდის ვალდებულება. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა გადახდის გრაფიკზე, რომლითაც დასტურდება, რომ მოპასუხეს ევალებოდა ყოველთვიურად პროცენტის გადახდა. მოპასუხეს თანხა პირველად უნდა გადაეხადა 01.10.2016 წელს. საქმეში წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელემ მოპასუხე გაათავისუფლა ამ ვალდებულებისაგან (ანუ სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ საქმის მასალებით დგინდება ლიზინგის მიმღების დავალიანების არარსე-

ბობის ფაქტი (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.03.2018 წლის გადაწყვეტილება, პ.3.2.2 პუნქტი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.10.2018 წლის გადაწყვეტილების 4.6. პუნქტი)), შესაბამისად, მოპასუხეს ეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემამდე დარიცხული პროცენტის გადახდის ვალდებულება.

4.8. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მე-2 პუნქტის თანახმად, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, ავტომობილის გასხვისებით მიღებული თანხა მიემართა იმ ხარჯების დასაფარად, რაც დაკავშირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების დანაკლისის ანდა დაზიანების აღმოფხვრასა და გასხვისებასთან. სასამართლომ განმარტა, რომ გარეცხვის ხარჯი – 20 ლარი და წერილის გაგზავნის ღირებულება – 5 ლარი, არ არის ავტომობილის გასხვისებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯი, რომელიც შეიძლება მოპასუხეს დაჰკისრებოდა.

4.9. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების 14.7 პუნქტით და აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა ავტოსატრანსპორტო საშუალების ნებისმიერ ფასად გასხვისების უფლება, წარმოადგენს ბათილ სტანდარტულ პირობას. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილზე (ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემსუბუქების წესების დადგენა), ამავე კოდექსის 346-ე მუხლზე (ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა) და განმარტა, რომ ყველა მართლწესრიგი სასამართლოს სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. ლიზინგის ტრანზაქციაში კეთილსინდისიერების პრინციპის დანიშნულება ნათლად ვლინდება მისი ე.წ. „უპირობო ვალდებულებებთან“ მიმართებით ანალიზისას. ლიზინგის საერთაშორისო დოქტრინა და პრაქტიკა იცნობს ლიზინგის მიმღების უპირობო ვალდებულებების კონცეფციას. აღნიშნული ტიპის ვალდებულებები მნიშვნელოვნად ზღუდავს ლიზინგის მიმღების მიერ ცალკეული უფლების გამოყენებას. მოცემულ შემთხვევაში, სტანდარტული პირო-

ბა, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს სრული უფლება აქვს, ნებისმიერ ფასად გაასხვისოს ავტომანქანა, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა მოპასუხისათვის. აღნიშნული პუნქტი ლახავს ლიზინგის მიმღების ინტერესს, რადგან მოსარჩელეს შეუძლია ლიზინგის საგანი გაასხვისოს საბაზრო ფასზე ბევრად დაბალ ფასად და შემდეგ სხვაობის დაფარვა მოსთხოვოს მეორე მხარეს, რაც არასამართლიანია. განსახილველ შემთხვევაში, 01.09.2016 წელს 8 855 ლარად შეძენილი ავტომობილი, დაახლოებით ორ თვეში, 28.10.2016 წელს მოსარჩელემ გაასხვისა 2900 ლარად. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ბათილ სტანდარტულ პირობაზე დაყრდნობით ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ ავტოსატრანსპორტო საშუალება გაასხვისა უსამართლოდ დაბალ ფასად, ვინაიდან შეუძლებელია, ორ თვეში მისი ფასი 3-ჯერ შემცირებულიყო. მოსარჩელის განმარტებით, მცირე ფასად ავტომობილის გასხვისება განაპირობა მისმა დაზიანებამ. პალატის მოსაზრებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაზიანება არ იყო გამოწვეული მოპასუხის ბრალეული ქმედებით, მისთვის იმ სხვაობის თანხის დაკისრება, რაც მისგან დამოუკიდებელმა ქმედებამ გამოიწვია, უსამართლოა.

4.10. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ დავალიანება არ ჰქონდა. სასამართლოს განმარტებით, მოპასუხეს ავტომობილის გადაცემის მომენტში ეკისრა ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების – 8084 ლარისა და ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პროცენტის – 467.93 ლარის გადახდის ვალდებულება, რაც მთლიანად შეადგენს 8551.93 ლარს. საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს დავალიანება აპატია. პალატის მოსაზრებით, აპელანტს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა გაესხვისებინა საბაზრო ფასად, დაეფარა არსებული დავალიანება, ხოლო სხვაობა უნდა დაჰკისრებოდა მოპასუხეს. აქვე სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის ინტერესი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების მიმართ მოგების მიღება იყო და მისი დავალდებულება, ლიზინგის საგანი გაეყიდა არანაკლებ ფინანსური ლიზინგის დავალიანების თანხისა, მოსარჩელეზე უსამართლოდ ზედმეტი ტვირთის დაკისრება იქნება.

4.11. რაც შეეხება გასხვისების მომენტისათვის სადავო ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულებას, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოპასუხის დაზუსტებული შესაგებლის მე-3 ფაქტობრივ გარემოებაზე და ინტერნეტმალაზია www.myauto.ge-ს

ოფიციალური ვებგვერდიდან ამოზეჭდილ მასალებზე. მოპასუხე შესაგებელში უთითებს, რომ მსგავსი ტექნიკური მახასიათებლის მქონე ავტომობილის საშუალო საბაზრო ღირებულება შეადგენს არანაკლებ 6565 ლარს. www.myauto.ge-დან ამოღებულ საინფორმაციო მასალებში იდენტიური მახასიათებლების მქონე ავტომობილის ღირებულება, ერთ შემთხვევაში, შეადგენს 6565 ლარს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 7000 ლარს. სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ რაიმე მტკიცებულება, რითაც დადგინდებოდა გასხვისების მომენტში სადავო ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულება, მოსარჩელის მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მოპასუხის განმარტების და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ გასხვისების მომენტში ლიზინგის საგნის საშუალო საბაზრო ღირებულება შეადგენდა 6565 ლარს. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, მოპასუხის დავალიანება ავტომობილის გასხვისების შემდეგ 1986.93 (8551.93 – 6565) ლარია. ავტოსატრანსპორტო საშუალების დანაკლისის, დაზიანების აღმოფხვრასთან ან გასხვისებასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ ხარჯის გაწევის ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება. მოპასუხეს ეკისრება დარჩენილი დავალიანების – 1986.93 ლარის ანაზღაურების ვალდებულება.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებ-

რივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

8. დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

8.1. ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის 01.09.2016 წელს დაიდო ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენისა და ლიზინგის მიმღებისთვის გამოსყიდვის უფლებით სარგებლობაში სასყიდლიანი გადაცემის მიზნით. ავტომობილის ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 8 855 ლარით, თანხის გაცემის საკომისიო – 564 ლარით. მოპასუხემ მოსარჩელის ანგარიშზე შეიტანა თანამონაწილეობის თანხა – 1335 ლარი, შესაბამისად, საბოლოოდ ლიზინგის თანხამ შეადგინა 8 084 ლარი. გრაფიკის მიხედვით, ლიზინგის მიმღებს 24 თვის განმავლობაში ყოველთვიურად უნდა ეხადა 585.85 ლარი. პირველი გადახდის თარიღად განისაზღვრა 01.10.2016 წელი.

8.2. ავტოსატრანსპორტო საშუალება საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა ლიზინგის გამცემის სახელზე და მფლობელობაში გადაეცა ლიზინგის მიმღებს.

8.3. მხარეთა შორის 05.10.2016 წელს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც:

8.3.1. შეწყდა 01.09.2016 წლის ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება და ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაეცა ლიზინგის გამცემს;

8.3.2. შეთანხმების მე-2 პუნქტით, ისევე როგორც ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების 14.7 პუნქტით, გათვალისწინებულ იქნა პირობა, რომ ლიზინგის გამცემს სრული უფლება ჰქონდა, გაესხვისებინა ავტომობილი ნებისმიერ ფასად და გასხვისებით მიღებული თანხა მიემართა ლიზინგის მიმღების დავალიანების და იმ ხარჯების დასაფარად, რაც დაკავშირებული იყო ავტოსატრანსპორტო საშუალების დანაკლისის ან/და დაზიანების აღმოფხვრასა და გასხვისებასთან (პირობა, რომლითაც მოსარჩელეს მიეცა უფლება, ავტოსატრანსპორტო საშუალება გაესხვისებინა ნებისმიერ ფასად, გასაჩივრებული გადანყვეტილებით მიჩნეულ იქნა ბათილ სტანდარტულ პირობად (სსკ-ის 342-ე, 346-ე მუხლები), რაც საკასაციო საჩივრით შედავებული არ არის);

8.3.3. შეთანხმების მე-3 პუნქტის თანახმად, შეთანხმების გაფორმებისა და ლიზინგის მიმღების მიერ ავტომობილის მოსარჩელისათვის გადაცემის შემდეგ, ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება მიიჩნეოდა შეწყვეტილად, ხოლო მხარეთა შორის არსებული ვალდებულებები, გარდა მე-2 პუნქტში მითითებულისა, შესრულებულად;

8.3.4. შეთანხმების მე-4 პუნქტი წარმოადგენდა გრაფას, სადაც მხარეებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ, არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტის ხელმოწერის მომენტისათვის არსებული დავალიანება (ძირი, პროცენტი, პირგასამტეხლო). გრაფა თავისუფალია (არ არის

შეესებულო).

8.4. 05.10.2016 წელს მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა ავტოსატრანსპორტო საშუალება.

8.5. ავტოსატრანსპორტო საშუალება ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემისთვის გადაცემის მომენტში დაზიანებული არ ყოფილა.

8.6. 28.10.2016 წელს მოსარჩელემ ავტომობილი გაასხვისა 2 900 ლარად. ამ თანხიდან დაფარა ძირითადი დავალიანება 2407.07 ლარი, პროცენტი 467.93 ლარი და სხვა ხარჯი 25 ლარი (სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და საკასაციო საჩივრით შედეგებული არ არის, რომ მოსარჩელემ, ბათილ სტანდარტულ პირობაზე დაყრდნობით და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ, ავტომობილი გაასხვისა საბაზრო ფასთან შეუსაბამო დაბალ ფასად).

9. ლიზინგის მიმღების საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაძლო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის კანონიერება.

10. ლიზინგი ფინანსური ინსტიტუტია და მხარეთა შორის რისკების განაწილების მოქნილი ინსტრუმენტია. მისი პრაქტიკული დანიშნულება ყველაზე უკეთ იმით გამოიხატება, რომ ლიზინგი ცალკე უფლების ობიექტია (ქეთევან ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 576, ველი 1, 25. იხ: www.tsu.ge). ლიზინგის ხელშეკრულება, ტრადიციულად, განიხილება ან არატიპურ ქირავნობად, ან – ხელშეკრულების დადების თავისუფლების შედეგად ფორმირებულ ხელშეკრულების განსაკუთრებულ ტიპად (*sui generis*) (Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, Einf v §535, Rn. 37,38), რომელიც ნაწარმოებია ქირავნობის სამართლიდან, მაგრამ განსხვავდება ქირავნობისაგან. ზოგ ქვეყანაში ლიზინგის მოსაწესრიგებლად იყენებენ ნასყიდობის, სესხისა და მომსახურების სამართლის ნორმებს. ლიზინგის სამართლებრივი კონსტრუქცია კომპლექსურია და დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან (ენცო ლ. ვიალი, საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ – კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა 5/2002-4, გვ. 524; Weidenkaff, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, Einf v §535, Rn. 37-39). ლიზინგის ხელშეკრულების ანალიზისას მნიშვნელოვანია მისი პრინციპების გაცნობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ე.წ. ოტავის კონვენცია (იხ. UNIDROIT CONVENTION ON INTERNATIONAL FINANCIAL LEASING (Ottawa, 28 May 1988)), რომლის მიზანიც ლიზინგის ხელმისაწვდომობის გაზრდა იყო (მართალია, კონვენცია მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე ვრცელდება, მასში გათვალისწინებული პრინციპები არ კარგავს მნიშვნელობას ქვეყნის შიგნით ადგი-

ლობრივად განხორციელებული კონტრაქტებისას). კონვენციით: ლიზინგის საგნის ხარისხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა მიმწოდებელს ეკისრება; ლიზინგის მიმღები პასუხს არ აგებს ლიზინგის საგნის გამოყენებით გამონეული გარდაცვალების, ჯანმრთელობის თუ ქონების დაზიანების შემთხვევებში; ლიზინგის გამცემის ინტერესები დაცულია ლიზინგის მიმღების გაკოტრებისას (იხ. UNIDROIT CONVENTION ON INTERNATIONAL FINANCIAL LEASING (Ottawa, 28 May 1988) (<https://www.unidroit.org/instruments/leasing/convention/>). ე.წ. ოტავის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ლიზინგი არის ისეთი გარიგება, რომლითაც ერთი მხარე (ლიზინგის გამცემი) მეორე მხარის (ლიზინგის მიმღების) მითითებით დებს მესამე მხარესთან (მიმწოდებელთან) ხელშეკრულებას, რომლითაც ლიზინგის გამცემი ყიდულობს მანქანებს, სატრანსპორტო საშუალებებს ან სხვა მოწყობილობებს ლიზინგის მიმღების მიერ მოწოდებული პირობებით, რამეთუ ეს შეეხება მის ინტერესებს და დებს ლიზინგის ხელშეკრულებას ლიზინგის მიმღებთან, რომლის ძალითაც უფლებას აძლევს ლიზინგის მიმღებს, გამოიყენოს შეძენილი მოწყობილობები განსაზღვრული დროის განმავლობაში, შეთანხმებული საზღაურის გადახდით. კონვენციაში მოცემულია ასევე მისი გამოყენების სფერო, სალიზინგო ხელშეკრულების დამახასიათებელი ნიშნები, ხელშეკრულების საგანი, ფორმა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და ა.შ. (ზ. ძლიერიშვილი, ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა 5/2002-4, გვ. 506, 508). აქვე უნდა აღინიშნოს კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული 13.11.2008 წლის რომის მოდელური კანონი, რომელიც მოიცავს ლიზინგის რეგულირების სფეროში არსებულ მონინავე წესებსა და საუკეთესო გამოცდილებას, აერთიანებს საერთო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სისტემებისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს. ამასთან, მოდელური კანონით უფრო მეტად დაიხვეწა ოტავის კონვენციით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპები. მოდელური კანონის მიხედვით, ლიზინგად განიხილება ხელშეკრულება, რომლითაც ლიზინგის მიმღები ირჩევს ლიზინგის საგანსა და მიმწოდებელს; ლიზინგის გამცემი ყიდულობს ლიზინგის საგანს ლიზინგის ხელშეკრულების მიზნებისთვის და მიმწოდებლისთვის ეს ცნობილია; ლიზინგის მიმღების მიერ გადახდილი საზღაური შეიძლება მოიცავდეს ლიზინგის საგნის ან მისი ნაწილის ამორტიზაციის ხარჯებს. ასევე, ლიზინგის მიმღებმა შეიძლება ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე შეისყიდოს ლიზინგის საგანი ან მისი ნაწილი (ქეთევან ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 576, ველი 2, 11, 12 იხ: gccc.tsu.ge).

11. ქართულ სამართალში ლიზინგთან დაკავშირებული მნიშვნელო-

ვანი დებულებები მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელიც განსაზღვრავს ლიზინგის ხელშეკრულებას, როგორც ტრანზაქციას, რომლის ფარგლებშიც ლიზინგის გამცემი ვალდებულია, გადასცეს კონკრეტული ქონება ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში ხელშეკრულებაში მითითებული ვადით, ქონების შესყიდვის უფლებით ან მის გარეშე. გარდა ამისა, ლიზინგის მიმღები ვალდებულია, კონკრეტული პერიოდულობით გადაუხადოს ლიზინგის გამცემს იმ პირობით, რომ: ა) ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისგანაც შეისყიდის ან სხვაგვარად მიიღებს ქონებას; ბ) ლიზინგის გამცემი შეიძენს ლიზინგით გასაცემ ქონებას, ხოლო მიმწოდებელი ინფორმირებული იქნება ამის შესახებ (ლევან გოთუა, საქართველოში ფინანსური ლიზინგის განვითარების სამართლებრივი პრობლემები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2021, გვ. 50). ლიზინგის კონცეფციის მიხედვით, მოგების მისაღებად არ არის აუცილებელი ქონებაზე საკუთრების უფლების ფლობა. შესაბამისად, ლიზინგის ხელშეკრულების მიზანი ლიზინგის საგნით სარგებლობის უფლების რეალიზაციით გამოიხატება (ქეთევან ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 576, ველი 68, იხ: gccc.tsu.ge). რაც შეხება ე.წ. ფინანსური (საფინანსო) ლიზინგისა და ოპერატიული ლიზინგის გამიჯვნას, როგორც წესი, პირველი ნივთის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის (სრული ამორტიზაციის) ვადით იდება, მეორე კი – აღნიშნულზე ნაკლები ვადით (ქეთევან ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 576, ველი 63,65, იხ: gccc.tsu.ge; Weidenkaff, in Palandt BGB Komm., 72. Aufl., 2013, Einf v §535, Rn. 39,40). ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგზისაა გამოყენებული ტერმინი ფინანსური ლიზინგი. ინგლისურ ენაში ტერმინ „ფინანსურის“ მითითება აუცილებელი გახდა ლიზინგის ქირავნობისაგან (იჯარისაგან) გასამიჯნად („ლიზინგის“ ეკვივალენტი ინგლისურ ენაში არის ტერმინი „finance lease“), ქართულ ენაში კი ასეთი აუცილებლობა არ არსებობს (ლიზინგი და ქირავნობა სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება). ამასთან, „ფინანსური ლიზინგი“ ლიზინგის კლასიფიკაციის დროს იხმარება (ქეთევან ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 576, ველი 22,23).

12. სსკ-ის 576-ე მუხლის პირველი ნაწილით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია, ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით, იმ პირობით, რომ: ა) ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს

მიმწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება; ბ) ლიზინგის გამცემი ქონებას იძენს ლიზინგით გასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია.

13. პალატა მიუთითებს, რომ ლიზინგის ხელშეკრულების განმარტებისას მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინება. კეთილსინდისიერების პრინციპის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღიარებულია როგორც მოდელური კანონით, ისე ოტავის კონვენციით. კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც მხარეთა შორის შეთანხმებულ თუ ნაგულისხმებ პირობათა ერთგვარი ნაერთი, ლიზინგის ხელშეკრულების განმარტებისას გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. უპირველესად, გასათვალისწინებელია მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის პრობლემა (ქეთევან ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 576, ველი 76,77, იხ: gcc.tsu.ge). სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ქცევის მასშტაბს – კეთილსინდისიერების ვალდებულებას, ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში (ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხლი 8, ველი 1, 10-12). სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულებაა. თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურსამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ვრცელი დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს (სუსგ №ას-1338-1376-2014, 29.06.2015წ.; სუსგ №ას-189-2020, 20.04.2021წ.).

14. ლიზინგის ტრანზაქციაში კეთილსინდისიერების პრინციპის დანიშნულება ნათლად ვლინდება მისი ე.წ. „უპირობო ვალდებულებებთან“ მიმართებით ანალიზისას. ლიზინგის საერთაშორისო დოქტრინა და პრაქტიკა იცნობს ლიზინგის მიმღების უპირობო ვალდებულებების კონცეფციას. აღნიშნული ტიპის ვალდებულებები მნიშვნელოვნად ზღუდავს ლიზინგის მიმღების მიერ ცალკეული უფლების გამოყენე-

ბას. ასეთს განეკუთვნება, მაგალითად, ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის დაუშვებლობა ლიზინგის საგნის მიღების შემდეგ, ლიზინგის საზღაურის გადახდის ვალდებულებაზე უარის დაუშვებლობა გამცემის მიერ ვალდებულების დარღვევის მიუხედავად და მისთ. თუმცა, აღნიშნული ტიპის ვალდებულებების ლიზინგის მიმღებისათვის დაკისრებით არ უნდა დაირღვეს მხარეთა ორმხრივი ინტერესების დაცვის პრინციპი. თითოეულ ასეთ ვალდებულებას გააჩნია შესაბამისი წინაპირობები და გამონაკლისები. ამ თვალსაზრისით კეთილსინდისიერების პრინციპი უპირობო ვალდებულებების განმსაზღვრელი პირობების სამართლიანობის საზომად განიხილება. ლიზინგის გამცემის კეთილსინდისიერების შეფასებით განსახილველი პრინციპი გამოკვეთილად ლიზინგის მიმღების დაცვის ფუნქციას იძენს (ქეთევან ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 576, ველი 85,86, იხ: gccc.tsu.ge).

15. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული სალიზინგო ურთიერთობა დასრულებულია კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით, რომლითაც შეწყდა ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება და ლიზინგის საგანი დაუბრუნდა ლიზინგის გამცემს. ნების ავტონომიის ფარგლებში კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ თავისუფლად შეთანხმდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების გარკვეულ პირობებზე და განკარგონ თავიანთი მატერიალურსამართლებრივი უფლებები.

16. სსკ-ის 52-ე მუხლი ადგენს ნების გამოვლენის განმარტების წესს, კერძოდ: ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი აზრიდან. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „ნების გონივრული განსჯა“ ნიშნავს სადავო გამონათქვამის იმ მნიშვნელობის დადგენას, რომელსაც გონიერი ადამიანი ანალოგიურ პირობებში მიაჩნებდა.

17. ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაა. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა. ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხა-

რე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადანყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება (სუსგ №ას-894-2021, 23.12.2021წ., პ.58). ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გონივრული და არა გამოთქმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლომ „ბოლომდე უნდა იფიქროს“ იმასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ რა შეიძლებოდა ყოფილიყო მხარეთა სურვილი. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება [10.11.1999 – I ZR 183/97 – NJW 2000, 743]: „ხელშეკრულების დამატებით განმარტების არსი მდგომარეობს ხარვეზის შემცველი გარიგების მხარეთა ჰიპოთეტური სურვილის შესაბამისად განვრცობაში. ამასთან, სასამართლო უნდა ამოვიდეს იქიდან, თუ რაზე შეთანხმდებოდნენ მხარეები, როგორც კეთილსინდისიერი ხელშეკრულების მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მათი ინტერესების ჯეროვანი შეჯერების პირობებში, თუ მათ არ გამოორჩებოდათ ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტი. არსებული ხარვეზები უნდა შეივსოს ხელშეკრულების დამატებით განვრცობის გზით იმგვარად, რომ „ბოლომდე იყოს ნაფიქრი“ კონკრეტული ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები (შდრ. BGHZ 84, 1, 7; 90, 69, 77; 135, 387, 392). აქედან გამომდინარე, მხარეთა ჰიპოთეტური ნების გამორკვევისას ხელშეკრულების დანარჩენი შინაარსისა და ხელშეკრულების დადების მომენტში არსებული სხვა გარემოებების პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მხარეთა ფაქტობრივ ნებას, რამდენადაც შესაძლებელია მისი დადგენა...“ (სუსგ №ას-1161-1116-2016, 12.10.2017წ., პ.17.4).

18. მხარეთა შორის 05.10.2016 წელს გაფორმებულ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პრეამბულაში ხაზგასმულია „მხარეთა ერთობლივი, ნამდვილი და თავისუფალი ნება“, შეენწყვიტათ ხელშეკრულება შეთანხმებაში ჩამოყალიბებული პირობებით. შეთანხმების პირველი პუნქტის თანახმად, ლიზინგის მიმღები მოკლებულია შესაძლებლობას/არ გააჩნია სურვილი, გააგრძელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ) ლიზინგის თანხის გადახდა შესაბამისი გათვალისწინებული გრაფიკით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთარი ვალდებულების დასაფარად, ლიზინგის მიმღები უპირობოდ და გამოუხმობადად თა-

ნახმაა, ლიზინგის გამცემმა საკუთრებაში შეინარჩუნოს ლიზინგის საგანი.

19. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იმ პირობებში როცა:

– ლიზინგის საგნის ღირებულების 15,07% გადახდილი აქვს ლიზინგის მიმღებს;

– მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდა მოკლე დროში, კერძოდ, ერთი თვისა და რამდენიმე დღის შემდეგ, ფაქტობრივად იმავე საბაზრო ეკონომიკურ მოცემულობაში;

– ლიზინგის მიმღებმა დააბრუნა ლიზინგის საგანი, რის წინაპირობადაც შეთანხმების პირველ პუნქტში მიეთითა ის, რომ ლიზინგის მიმღებს აღარ სურდა ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და დარჩენილი ვალდებულებების დასაფარად თანახმა იყო, ლიზინგის გამცემს შეენარჩუნებინა ლიზინგის საგანზე საკუთრების უფლება;

– ავტოსატრანსპორტო საშუალება ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემისთვის გადაცემის მომენტში დაზიანებული არ ყოფილა და არც მისი საბაზრო ფასის გაუარესების ტენდენცია დასტურდება;

გასაზიარებელია კასატორის პოზიცია, რომ 05.10.2016 წელს გაფორმებულ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მე-4 პუნქტში დავალიანების ოდენობის მიუთითებლობა იყო არა ამავე შეთანხმების მე-2 და მე-3 პუნქტებთან შეუსაბამო უზუსტობა, არამედ ამ კონკრეტულ ურთიერთობაში ლიზინგის გამცემის მიერ გამოვლენილი ნება მასზე, რომ ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ლიზინგის მიმღების ვალდებულებები წყდებოდა. შესაბამისად, ლიზინგის მიმღები კეთილსინდისიერად ვარაუდობდა, რომ ლიზინგის გამცემს აღარ ჰქონდა მის მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულების სახით რაიმე თანხის მოთხოვნის უფლება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისი პუნქტების განსხვავებულად განმარტება სცილდება გონივრული განსჯისა და კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტს (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ლიზინგის გამცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

20. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადანყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საქირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, სა-

კასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18.10.2018 წლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში (სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-6 პუნქტები) და ამ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

21. ვინაიდან წინამდებარე გადაწყვეტილებით კმაყოფილდება მოპასუხის საკასაციო საჩივარი და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ კმაყოფილდება, სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ა. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18.10.2018 წლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში (სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-6 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. შპს „მ-ოს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

4. შპს „მ-ოს“ ა. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სქესი

ზეპირი ხელშეკრულება

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-41-2022

19 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
ლ. ქოჩიაშვილი (მომხსენებელი),
ა. ძაბუნაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (თავ-
დაპირველი სარჩელით); უფლებამონაცვლედ ცნობა და თანხის დაკის-
რება (შეგებებული სარჩელით)

აღწერილობითი ნაწილი:

1. ხ. გ-იამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების: ნ. ვ-იასა და ნ. კ-ის
მიმართ, უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვისა და
თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემის შესახებ.

2. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

3. ნ. ვ-იამ და ნ. კ-მა შეგებებული სარჩელი წარადგინეს მოსარჩელის
წინააღმდეგ და მოითხოვეს ან გარდაცვლილი ზ. დ-იას უფლებამონაც-
ვლედ მოსარჩელის ცნობა, ასევე, მოსარჩელისათვის მოპასუხეების სა-
სარგებლოდ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 9000 აშშ დო-
ლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

4. მოსარჩელემ წარმოდგენილი შესაგებლით, შეგებებული სარჩელი
არ ცნო.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-
გიის 2020 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით – სარჩელი დაკმა-
ყოფილდა. მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი
იქნა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ..., მე-2 კორ-
პუსში მდებარე №12 ბინა, საკადასტრო კოდი: ... და აღნიშნული უძ-
რავი ნივთი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩე-
ლეს (მხარდამჭერი ა. შ.). გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღ-
სასრულებლად. მოპასუხეთა შეგებებული სარჩელი, არ დაკმაყოფილ-
და.

6. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 სექტემბრის განჩინების გაუქმება, რომლითაც მოწმეთა დაკითხვის შესახებ მოპასუხეთა შუამდგომლობა, არ დაკმაყოფილდა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 02 ნოემბრის განჩინებით – სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სასამართლომ განჩინება დააფუძნა შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას:

7.1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, ..., მე-2 კორპუსში მდებარე №12 ბინა, ს/კ-ით ..., წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებას, რომელსაც მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ ფლობენ მოპასუხეები. სააპელაციო სასამართლოს განსჯით, მოპასუხეებმა ვერ წარმოადგინეს სათანადო, საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, მათი მხრიდან სადავო ქონების მართლზომიერი ფლობისა და სარგებლობის დასადასტურებლად.

7.2. მოპასუხეები, ქონების მართლზომიერი მფლობელობისა და შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობის დასტურად, მიუთითებდნენ მოსარჩელის ოჯახისთვის თანხის გადახდის ფაქტზე, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქმის მასალებით ვერ იქნა დადგენილი და დასტურებული.

7.3. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თანხის გადახდის მტკიცება ეკისრებოდათ მოპასუხეებს, სწორედ მათ უნდა წარმოედგინათ მტკიცებულებები, რომ მხარეთა შორის არსებობდა გარიგება სესხის გადაცემის თაობაზე. ამ გარემოების დამტკიცება კი, შესაძლებელია შესაბამისი ხელშეკრულებით, თანხის გადაცემის ან მიღების ხელწერილით, ვალის აღიარების ხელშეკრულებით ან სხვა მტკიცებულებით, რაც პირდაპირ ან ირიბად დაადასტურებდა მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობას. მოპასუხეთა მხრიდან ასევე ვერ იქნა დასაბუთებული ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტება მასზე, რომ სწორედ მოსარჩელის დედას, ზ. დ-იას (რომლის კანონისმიერ მემკვიდრეს და უფლებამონაცვლეს წარმოადგენს მოსარჩელე) გადასცეს სესხის თანხა – 9000 აშშ დოლარი და არა მოსარჩელის ძმას, რომელიც სადავო ქონების მესაკუთრეს არ წარმოადგენდა.

7.4. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ არ გაიზიარა მოპასუხეთა მოსაზრება, რომ მათი მხრიდან ქონებით სარგებლობა ხორციელდება მართლზომიერი მფლობელობის პირობებში, რაც, თავის

მხრივ, მხარეთა შორის ქონებით სარგებლობის შესახებ შეთანხმებას ეფუძნება. ამავდროულად, პალატამ არ გაიზიარა მოპასუხეთა ის პოზიცია, რომ სასამართლოს სადავო სამართალურთიერთობის გადანაცვებისას, უნდა გამოეყენებინა გირავნობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები.

7.5. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხეთა პოზიცია მასზე, რომ სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ და სადავო ბინაში ცხოვრობენ არასრულწლოვნებიც, რომელთაც განუზომელი ზიანი მიადგებათ გამოსახლების შედეგად, ვერ დაედებოდა გასაჩივრებული გადანაცვებების გაუქმებას საფუძვლად, რამდენადაც სხვა საცხოვრებლის არქონა არ მიიჩნევა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნაზე უარის თქმის წინაპირობად. ამასთან, ის ფაქტი, რომ სახლში არასრულწლოვნებიც ცხოვრობდნენ, არ ყოფილა დადასტურებული საქმეში წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებებით.

7.6. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე არის მესაკუთრე, ხოლო მოპასუხეებს არ წარმოუდგენიათ იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ სადავო უძრავ ქონებას ფლობენ კანონიერად. მხარეთა შორის არ არსებობს რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა, რითაც მოსარჩელე (მესაკუთრე) შეიძლება შეზღუდულიყო მოპასუხესთან მიმართებით. ამასთან, არ არსებობს არც კანონისმიერი საფუძველი უფლებრივი შეზღუდვისთვის, შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილია სრულყოფილად განახორციელოს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე კანონით გარანტირებული უფლებები. ყოველივე აღნიშნული კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველია.

7.7. სააპელაციო სასამართლომ მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე მოპასუხეთა მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა საოქმო განჩინების დასაბუთების ნაწილში მართებული იყო, ვინაიდან, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა, არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

8. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2020 წლის 30 ივნისის განჩინების გაუქმება, რომლითაც მოპასუხეთა შუამდგომლობა

მონმის დაკითხვის თაობაზე, უარყოფილი იქნა. საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზიები დაეფუძნა შემდეგს:

8.1. სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო ის ფაქტი, რომ მფლობელობის უფლება მოპასუხეებს გადაეცათ თანხის გადახდის სანაცვლოდ, კერძოდ, კასატორთა მიერ გადაცემული თანხით, მოპასუხის ან გარდაცვლილმა დედამ ვალდებულება შეასრულა წინა მოგირავნესთან, რომელთანაც სესხის ხელშეკრულება ჰქონდა მის ან გარდაცვლილ შვილს დადებული. თანხის გადაცემის შემდეგ, მოპასუხეებს სარგებლობაში გადაეცათ ბინა და მას შემდეგ 6 წლის განმავლობაში ფლობენ სადავო უძრავ ქონებას. შესაბამისად, მოპასუხეები არიან სადავო ქონების მართლზომიერი მფლობელები.

8.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მიერ დაირღვა შეჯიბრებითობის პრინციპი. მოპასუხეებს არ მიეცათ შესაძლებლობა მონმედ დაეკითხათ ის პირი, ვისი ვალიც იქნა გასტუმრებული მათ მიერ გადახდილი თანხით. ცხადია, რომ მოპასუხეებს არავინ მისცემდა შესაძლებლობას, სადავო საცხოვრებელ სახლში ეცხოვრათ, რომ არა მათ მიერ ამ ქონების მესაკუთრის ვალის დაფარვა.

8.3. სასამართლომ უსაფუძვლოდ უგულებელყო სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის აღიარება, რომ სადავო ქონება მოპასუხეებს ე.წ. „გირავნობით“ გადაეცათ.

8.4. მოპასუხეებისათვის 6 წლის განმავლობაში არავის მოუთხოვია უძრავი ქონების გამოთავისუფლება და ამ უკანასკნელათვის არც ქირის თანხა მოუთხოვია ვინმეს.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს

და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

12. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის შეფასების საგანია იმყოფებიან თუ არა მხარეები სესხისა და საცხოვრებელი ბინით სარგებლობის შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობაში და აღნიშნულიდან გამომდინარე, მართლზომიერად ფლობენ თუ არა კასატორები სადავო საცხოვრებელ ბინას, ასევე, მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს საოქმო განჩინების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერება.

13. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მხარეებს სურთ, სახელდობრ, უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 168-ე (მესაკუთრის პრეტენზიის გამო ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას), 170.1 (მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას) და 172.1 (მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება) მუხლები, ხოლო თანხის დაკისრების შესახებ შეგებებული სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე (სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი) და 626.1 (თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას) მუხლები.

14. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და არც საკასაციო საჩივრით არის სადავოდ გამხდარი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

14.1. თავდაპირველმა მოსარჩელემ – ხ. გ-იამ, 2016 წლის 03 მაისის № 160454317 სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, დედისგან – ან გარდაცვლილი ზ. დ-იასგან მემკვიდრეობით მიიღო და საკუთრებაში აღირიცხა ქ. თბილისში, ... მდებარე № 12 ბინა, ს/კ-ით ...

14.2. სადავო უძრავ ქონებაში ცხოვრობენ კასატორები.

14.3. კასატორებამდე, სადავო უძრავ ქონებას ფლობდა მ. ლ-ძე.

14.4. მ. ლ-ძე სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა მოსარჩელის ძმასთან და ამავე დროს თავდაპირველი მესაკუთრის – ზ. ლ-იას შვილთან, ან გარდაცვლილ ბ. გ-ასთან, რომელმაც სესხის სარგებლის სახით სადავო ბინა მფლობელობაში გადასცა გამსესხებელს.

14.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 სექტემბრის საოქმო განჩინებით შეგებებული სარჩელის ავტორებს უარი ეთქვათ მონმის სახით ნ. ნ-გ-ას, გ. ნ-ას, ი. ნ-ძის, მ. ლ-ძის, რ. ნ-ასა და თ. ნ-ს დაკითხვის თაობაზე იმ საფუძველით, რომ მონმის ჩვენება არ წარმოადგენს დავის გადაწყვეტისათვის რელევანტურ მტკიცებულებას.

15. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

16. განსახილველ შემთხვევაში, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე – სააპელაციო სასამართლომ, უსაფუძვლოდ მიიჩნია მონმეთა დაკითხვის შესახებ მოპასუხეთა შუამდგომლობა იმაზე მითითებით, რომ დავის საგნის გათვალისწინებით, მონმეთა ჩვენებებს მნიშვნელობა არ ჰქონდა საქმისთვის, რასაც არ იზიარებს საკასაციო პალატა.

სასესიო ურთიერთობების სამართლებრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ზეპირი ფორმით სასესიო ვალდებულების შესრულების ნამდვილობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მონმეთა ჩვენებები. მონმეთა ჩვენებებთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებს სადავო ფაქტს (მაგალითად, უშუალოდ კრედიტორის წერილი, თუნდაც მესამე პირისადმი მიმართული, რომელშიც მითითებულია ინფორმაცია

ვალდებულების შესრულების თაობაზე, ან/და კრედიტორის მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ ვალდებულების მიღებაზე და სხვა). ამდენად, სასესხო ვალდებულებების შესრულების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) მოწმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად. ეს თავისებურება განპირობებულია მატერიალურ-სამართლებრივი წესით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება, გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც.

ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. ამდენად, სასესხო ურთიერთობებში კანონი „არ ენდობა“ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს (ამ შემთხვევაში მოწმის ჩვენების, როგორც არაპირდაპირი (ინდიციური) მტკიცებულების შეფასება, ემპირიული წესების საფუძველზე ხორციელდება სხვა მტკიცებულებებთან შეფასების გზით). აქედან გამომდინარე, კანონი მიუთითებს არა მხოლოდ გამსესხებლის უფლებაზე, არამედ – „ხელშეკრულების ნამდვილობაზე“, რაც მოიცავს როგორც გამსესხებლის უფლებას, ასევე, მსესხებლის ვალდებულებას (ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე გამსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულების საგნის მსესხებელზე საკუთრებაში გადაცემის და შემდეგ მისი მიღების ფაქტის დადგენა ემორჩილება ერთსა და იმავე წესს), შესაბამისად, მითითებული დანაწესის მიზნებიდან გამომდინარე, სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზეპირი ფორმით ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით“ (იხ. ს.უ.ს.გ. №ას-872-830-2013, 17 ოქტომბერი, 2014 წელი).

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს, მისი ნამდვილობა და, შესაბამისად, სესხის გადაცემაც არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება გაგებული იქნეს იმგვარად, რომ მოწმეთა ჩვენებებს ზეპირი სასესხო ურთიერთობის დასადგენად საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნიათ, მით უფრო მაშინ, როდესაც, კონკრეტული გარემოების დასამტკიცებლად მხარე მიუთითებს სხვა მტკიცებულებებზეც.

ამ კუთხით, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად, შეგებული სარჩელის ავტორები გარდა მოწმეთა ჩვენებებისა, მიუთითებენ თავდაპირველი მოსარჩელის საპროცესო აღიარებაზეც. საქმეში წარმოდგენილია მ. ლ-ძესთან სანოტარო წესით გაფორმებული სესხის

ხელშეკრულება 9000 აშშ. დოლარზე 2013 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით (№111017850. 22.09.2011). 2020 წლის 30 სექტემბრის სხდომის ოქმის მიხედვით, თავად მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ ბ. გ-ა პატრონობდა დედის – ზ. დ-ას საკუთრებად აღრიცხულ ბინას და მან დაუთმო ბინა ჯერ მ. ლ-ძის საცხოვრებლად სესხის სანაცვლოდ, ხოლო შემდეგ მოპასუხეებს. მ. ლ-ძის მიერ ბინის ფლობის შესახებ მესაკუთრე ზ. დ-თვის ცნობილი იყო. მხარეთა განმარტების მიხედვით, მ. ლ-ძემ დაიბრუნა სესხის თანხა, რის შემდეგაც ბინა გადავიდა მოპასუხეთა მფლობელობაში. ბინაზე მფლობელობის შეწყვეტის სანაცვლოდ მ. ლ-ძისათვის სესხის თანხა არც მოსარჩელეს, არც ბინის ყოფილ მესაკუთრეს (დედას) და არც მოსარჩელის ძმას – ბ. გ-ას არ გადაუხდია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის ავტორები შინაარსობრივად აპელირებდნენ მათსა და სადავო უძრავი ნივთის პირვანდელ მესაკუთრეს შორის არა მარტივი ფორმის ზეპირი სესხის ხელშეკრულების დადებაზე, არამედ – მათი მხრიდან ბინით სარგებლობის სამართალურთიერთობაში პირვანდელი გამსესხებლის – მ. ლ-ძის ჩანაცვლებაზე. აღნიშნული სამართალურთიერთობის დასამტკიცებლად კი, სამოქალაქო კოდექსი სპეციალური მტკიცებულების არსებობას არ ითხოვს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოწმეთა ჩვენებებს (მათ შორის უშუალოდ მ. ლ-ძის ჩვენებას) სადავო გარემოებების დასადგენად, არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მხრიდან შეგებებული სარჩელის ავტორებს უსაფუძვლოდ ეთქვათ უარი მოწმეთა დაკითხვის შუამდგომლობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განსახილველ საქმეზე შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით, სრულად არ გამოუკვლევია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, საკასაციო პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რომელმაც საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემული მსჯელობების შესაბამისად, თავიდან უნდა შეაფასოს მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს საოქმო განჩინების კანონიერება და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და ერთობლივი შეფასების საფუძველზე მიიღოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება.

17. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის

წარმოება არ დასრულებულა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ვ-იას და ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 02 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. დაზღვევა

სადაზღვევო შეიმთხვევის დადგომით გამონეშული ზიანის ანაზღაურება

ბანკინაზა საქართველოს სახალხით

№ას-782-2019

18 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: სადაზღვევო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ა. ი-ის“ (A.I.L.; შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი, მის სასარგებლოდ, სს „ს.კ.ა-ისათვის“ (შემდეგში: მოპასუხე, სადაზღვევო კომპანია, აპელანტის ან კასატორის მონინაალმდეგე) 841 776.87 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა.

1.1. სს ს.კ. „ა. ბ-ის“ (ს/კ ...), 2013 წლის 2 ივლისს, საფირმო სახელწოდება შეეცვალა და მისი სახელწოდება სს „ს.კ.ა-ი“ (ს/კ ...) გახდა.

2. სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცება პირველი ინსტანციის სასამართლოში

2.1. სარჩელი დაეფუძნა იმ გარემოებებს, რომ მოსარჩელე საწარმო, როგორც ტენდერში გამარჯვებული კომპანია, 2008-2010 წლებში ახორციელებდა სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტს, რომელიც გამოცხადებული იყო „... – საქართველოს“ მიერ და მის მიერვე ფინანსდებოდა. მოსარჩელემ მოპასუხესთან გააფორმა „სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის“ ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება), რომელიც ფ-გ (ლოტი №2), გ-ნ (ლოტი №3) და ნ-ს (ლოტი №4) საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაზღვევას ითვალისწინებდა;

2.2. მოსარჩელის მითითებით, 2010 წლის მაისის დასაწყისიდან გზის სხვადასხვა მონაკვეთებზე წვიმების შედეგად ჭარბმა ნალექმა მიწის

რღვევა გამოიწვია, რის გამოც ჩამოიშალა მიწის დიდი მასა შეჩერებული გზის ლოტი № 2-ის გასწვრივ. მიწის ჩამოშლას შედეგად მოჰყვა არსებულ გზაზე მიწისა და ლოდების უზარმაზარი რაოდენობით დაგროვება და ასევე გზის პლატფორმის ჩამოშლა ყრილის განივ კვეთაზე, მთის ფერდობების დაზიანება, გზის სტრუქტურის დაზარალება და ჩამოშლა, მიწისქვეშა ეროზია მიწისქვეშა წყლის ნაკადის შედეგად, რამაც, მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, მისი მხრიდან დამატებითი ხარჯების გადახდა გამოიწვია და ფაქტობრივად მის მხარეს ზიანი მიაღდა;

2.3. სარჩელში მითითებულია, რომ სარემონტო სამუშაოებმა მოიცვა: – ჩამოშლილი მასალის გატანა და გზების ზედაპირის გასუფთავება; – ქვიშის ტრანსპორტირება და მოტანა გაბიონებისთვის, საძირკვლის ქვედა ნაწილის და საძირკვლისთვის; – გაბიონის საყრდენი კედლის აგება; – ღრმა სადრენაჟო სისტემის გაყვანა სავალი გზის გასწვრივ და სავალ გზაზე მომავალში წყლის მიწისქვეშა ნაკადით გამონეწეული ზიანის თავიდან ასაცილებლად; – დაზიანებული გზის პლატფორმის, საძირკვლის ქვედა ნაწილის, საძირკვლისა და ასფალტის საფარის შეკეთება. სარჩელში მითითებულია, რომ ზიანმა შეადგინა 2 199 511.33 აშშ დოლარი, რაც მიუხედავად მხარის მიმართვისა, სადაზღვევო კომპანიის მიერ არ ანაზღაურებულა.

2.4. საქმის პირველი ინსტანციით განხილვის დროს, სასამართლო სხდომაზე გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის წარმომადგენელმა დამატებითი განმარტებები გააკეთა. კერძოდ, მიუთითა, რომ მოპასუხე სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა იყო არასწორი, რადგან დაზღვეული იყო კონკრეტული სამუშაოები კონკრეტული ხარჯთაღრიცხვით, რომელიც შესაძლებელი იყო შეცვლილიყო, რამდენადაც თავიდან, ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს ის ვერ იქნებოდა აბსოლუტური და ზუსტი, მისი შეცვლა შემდგომშიცაა შესაძლებელი, თუ პროექტის განხორციელების მიზანს ემსახურება. განსახილველ შემთხვევასთან დაკავშირებით მოსარჩელის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ მოხდა უბედური შემთხვევა, კერძოდ მეწყერი ჩამოწვა და მას მოუწია, სასწრაფოდ გამოესწორებინა არსებული მდგომარეობა. ამდენად, მოსარჩელემ მის მიერ გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჩატარებული სამუშაოები ემსახურებოდა აღდგენით მიზანს და არა პროექტის გადაკეთებას, რაც უკიდურესი აუცილებლობით იყო გამოწვეული. მოსარჩელემ თავის საპაექრო სიტყვაში ზიანის ოდენობაც დააზუსტა და აუდიტორულ დასკვნაზე დაყრდნობით განმარტა, რომ, მიუხედავად სარჩელით მოთხოვნილი თანხისა, საბოლოოდ მოპასუხისათვის 841 776.87 აშშ დოლარის დაკისრებას ითხოვს, რაც ფაქტობრივად მიყენე-

ბულ ზიანს წარმოადგენს და ეს შესაბამისი მტკიცებულებებით დასტურდება;

2.5. ზარალთან დაკავშირებით მოსარჩელემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ შეუძლებელი იყო, წინასწარ დაეგეგმათ ის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც მათ გასწიეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცებით, მის მიერ მოთხოვნილი ზიანი დაზღვეულია და მოპასუხის მხრიდან ანაზღაურებას ექვემდებარება.

3. მოპასუხის შესაგებელი და მტკიცება პირველი ინსტანციის სასამართლოში

3.1. მოპასუხე სადაზღვევო კომპანიამ წერილობით წარდგენილი შესაგებლით არ ცნო სასარჩელო მოთხოვნა, ამასთან ნაწილობრივ დაეთანხმა სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და დამატებით განმარტა, რომ 2008 წლის 30 მაისს სადაზღვევო კომპანიამ გასცა სადაზღვევო პოლისი CAR/C-00215/08-EL სარჩელში მითითებულ ლოკაციებზე (იხ. 2.1 ქვეპუნქტი) სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაზღვევისთვის. პოლისს თან ახლდა დაზღვევის პირობები და დათქმები, რაც მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და რომლებიც დეტალურად არეგულირებდა მხარეთა ურთიერთობას;

3.2. სადაზღვევო კომპანიამ, 2010 წლის 17 მაისს, მოსარჩელისაგან მიიღო შეტყობინება, რომ 2010 წლის 4 მაისს ალგეთის ნაკრძალის ტერიტორიაზე, კერძოდ 58+800 კმ-ზე ჩამოწვა მეწყერი და მიყენებულმა ზიანმა 1 438 900 აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა, მოპასუხემ მიუთითა მოსარჩელის სხვა წერილზე, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელეს მეწყერის ადგილი არაერთხელ ჰქონდა მითითებული სხვადასხვა ტერიტორიებზე და არა მარტო 2010 წლის 4 მაისს, არამედ 2010 წლის იანვრის, აპრილისა და მაისის განმავლობაში 30+100; 33+200; 35+900; 58+250 და 57-64 ლოკაციებზე. ამავე წერილით მოსარჩელის მიერ ზიანის თანხად 2 044 936 აშშ დოლარი განისაზღვრა;

3.3 ამის შემდეგაც, მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, მოსარჩელის მხრიდან დამატებით სხვა ლოკაციებზეც მოხდა მსგავსი მითითება. რაც შეეხება ხარჯებს, მოპასუხემ შესაგებელში აღნიშნა, რომ მიუხედავად მოსარჩელის მითითებისა ზარალის ოდენობაზე, ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარდგენილი არ ყოფილა;

3.4 შესაგებელში დამატებით მითითებულია, რომ შემთხვევის ხდომილების შესახებ სადაზღვევო კომპანიამ პირველად 2010 წლის 17 მაისს შეიტყო, როდესაც მოსარჩელისაგან 2010 წლის 13 მაისის № 1-200 წერილი მიიღო, რომლითაც მოპასუხე კომპანიას შეატყობინა, რომ დაზღვეული სამუშაოები ნალკა-მანგლისის საავტომობილო გზის 58+800 კმ-ზე მეწყერის ჩამოწოლის შედეგად დაზიანდა. ამ ზიანის ოდენობა დამზღვევის მიერ ფასდებოდა 1 438 900 აშშ დოლარად. აღნიშნულთან

დაკავშირებით მოსარჩელის მხრიდან მიწოდებული დოკუმენტების შესწავლით მოპასუხე მხარის მოსაზრებით დადგინდა, რომ კომპანიის მიერ მითითებული თანხები შეიცავდა გადაკეთება/შეცვლის და გაუმჯობესების ხარჯებს, ასევე გაჩნდა კითხვები პროექტის შესაბამისობასთან დაკავშირებით, რაც ორივე შემთხვევაში გამოწვევას წარმოადგენდა სადაზღვევო დაფარვიდან. ამის დასადაგენად მხარეს, მისივე განმარტებით, სურდა ექსპერტიზის ჩატარება, თუმცა საჭირო დოკუმენტაცია არ მიეწოდათ მოსარჩელე საწარმოს მხრიდან;

3.5. CAR/C-00215/08-EL სადაზღვევო პოლისით, დაზღვევის სფეროში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, პროექტი გადაზღვეული იყო სს „ს.კ.ა-ში“ (რუსეთის ფედერაცია). გადაზღვევული კომპანიის გადანაცვლებით, მომხდართან დაკავშირებით დაინიშნა ექსპერტიზა საერთაშორისო საექსპერტო კომპანიის „M.D.“-ის მეშვეობით, რომლის მიერაც არსებულ მონაცემებზე დამატებით იქნა მოთხოვნილი გარკვეული ინფორმაცია. კერძოდ, მოპასუხემ შესაგებელში მიუთითა, რომ ვინაიდან მიწოდებული ინფორმაციით ვერ დგინდებოდა მოთხოვნილი 1 438 900 აშშ დოლარის ზუსტი წარმომავლობა და ასევე დოკუმენტაცია ასახავდა რამდენიმე ლოკაციაზე სამუშაოების წარმოების ხარჯთაღრიცხვას, რაც შეუსაბამოაში მოდიოდა მოსარჩელის 2010 წლის 13 მაისის წერილთან, ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა დეტალური გაშიფვრა თითოეულ მონაკვეთთან მიმართებით, რის საპასუხოდაც, მოსარჩელის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეწინააღმდეგებოდა ზემოაღნიშნულ წერილში მითითებულ ინფორმაციას. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელის მხრიდან გაჩნდა სრულიად ახალი ლოკაციები და მოთხოვნა გაიზარდა 2 044 936 აშშ დოლარამდე;

3.6. მოპასუხე მიუთითებს მოსარჩელის 2011 წლის 17 მაისის წერილზე, რომლითაც სადაზღვევო კომპანიას ანაზღაურებისთვის მოსარჩელე ვადას აძლევდა 2011 წლის 20 მაისამდე. აღნიშნულის პასუხად, მოპასუხემ კვლავ მიუთითა მოსარჩელეს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენაზე. ამ მიზნით მხარეთა შეხვედრა, 2011 წლის 9 აგვისტოს, შედგა. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, 2011 წლის 29 აგვისტოს სადაზღვევო კომპანიამ მიიღო წერილი, საიდანაც ირკვეოდა, რომ შედგა მოლაპარაკება დამკვეთსა და მოსარჩელეს შორის და გაფორმდა საბოლოო შეთანხმება, რის საფუძველზეც მას დამკვეთმა სამუშაოების ნაწილი აუნაზღაურა და ამდენად მისი მოთხოვნა მცირდებოდა 709 819.35 აშშ დოლარამდე, რომელიც წარმოადგენდა 57+800 – 64+100 მონაკვეთზე წარმოებული აღდგენითი სამუშაოების ღირებულებას. აღნიშნული თანხის დაზუსტებაც მოითხოვა სადაზღვევო კომპანიამ შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე. ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, 2012 წლის 13 იანვარს სადაზღვევო კომპანიამ მიიღო

წერილი და დოკუმენტაცია მოსარჩელისგან, სადაც ნაცვლად 709 819.35 აშშ დოლარის მოთხოვნისა, მოსარჩელე 2 199 511.22 აშშ დოლარს ითხოვდა. ამასთან, ამ მოთხოვნაში შედიოდა ახალი ლოკაციები (30+138-30+172; 31+394-31+400; 32+041-31+112; 35+905-35+916; 44+087-44+114; 44+151-44+165; 52+509-52+524; 56+613-6+637 და 57+800-64+100), რომელთა დაზიანების მიზეზად მხარე კვლავ 2010 წლის წვიმებზე მიუთითებდა;

3.7. მხარეთა შორის კვლავ შედგა კომუნიკაცია და 2012 წლის 17 სექტემბერს სადაზღვევო კომპანიამ მოსარჩელეს წერილით მიმართა და მიუთითა, რომ ერთადერთი შემთხვევა, რომელთან დაკავშირებითაც მოსარჩელის მიერ დროული შეტყობინების ვალდებულება დაცული იყო, 58+800 კმ მონაკვეთზე მომხდარი შემთხვევაა, ხოლო ყველა სხვა შემთხვევა სადაზღვევო კომპანიისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი. ამ საკითხთან დაკავშირებით მხარემ დეტალურად განმარტა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, პაექრობის სტადიაზე. მოპასუხემ ასევე მიუთითა შესაგებელში, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ღრმა სადრენაჟო ფილტრები და გაბიონები, რომელთა მოწყობის ხარჯსაც ითხოვდა მოსარჩელე, არ ანაზღაურდებოდა დაზღვევის პირობების თანახმად. მოპასუხემ დამატებით დაზღვევის ხელშეკრულების პირობებზე მიუთითა, რომელთა მიხედვითაც: – დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს ტელეფონით, ტელეგრამით და წერილობით და მიუთითოს დანაკარგის ან ზიანის ხასიათი და ოდენობა; ამასთან, მზღვეველი არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი დანაკარგის, ზიანის ან პასუხისმგებლობის გამო, თუკი ამის შესახებ დაზღვეული არ შეატყობინებს მზღვეველს შემთხვევის დადგომიდან 14 დღის ვადაში. დამზღვევი ასევე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს მზღვეველს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია; – მზღვეველი ანაზღაურებს ნარჩენების გატანის ხარჯებს, თუ ასეთი ხარჯები გამოწვეულია შემთხვევით, რომელიც წინამდებარე დაზღვევით იფარება, იმ პირობით, რომ ნარჩენების გატანის ცალკე სადაზღვევო თანხა მითითებულია სადაზღვევო პოლისში (სადაზღვევო პოლისით ნარჩენების გატანის თანხა ცალკე არ ყოფილა შეთანხმებული); – მზღვეველი არ ანაზღაურებს ფრანშიზას, რომელიც მითითებულია პოლისში და ყველა შემთხვევაში დაზღვეულის ხარჯს წარმოადგენს; – სადაზღვევო დაფარვიდან გამონაკლისია და მზღვეველის პასუხისმგებლობა არ ვრცელდება დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია არასწორი პროექტირებით; – დაზღვევით არ იფარება და არ ანაზღაურდება გადაკეთების, დამატების ან/და გაუმჯობესების ხარჯები; – დაზღვევის პირობების მიხედვით მხარეთა მიერ განსაზღვრულია შემთხვევის პერიოდის ლიმი-

ტაცია, კერძოდ, ერთი ზარალის შემთხვევა ლიმიტირებულია დროის გარკვეული თანმიმდევრული პერიოდით და თუ ზარალის შემთხვევა გრძელდება უფრო მეტ ხანს, იგი უნდა დაიყოს ორ ან მეტ შემთხვევადად;

3.8. სასამართლოს მთავარ სხდომაზე სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა მის მიერ წარდგენილ შესაგებელს და დეტალურად განმარტა მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, პირველ რიგში, მოპასუხემ მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე საწარმო აღდგენით სამუშაოებს 2010 წლის იანვრიდან აწარმოებს და შესაბამისად ამ პერიოდიდან აღრიცხავს დოკუმენტალურად ყველა ქმედებას და ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია გზის სამუშაოების დაზიანებასთან. 2011 წლის 29 ივნისისათვის მოსარჩელეს გააჩნია სრულყოფილი ინფორმაცია ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების, მათ შორის იმ დამატებით სამუშაოების შესახებ, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული დაზღვევული პროექტით. მოსარჩელე საწარმომ, 2011 წლის 20 მაისს, როდესაც მის მიერ დათქმულ საბოლოო ვადაში ვერ მიიღო სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიისაგან, სუბიექტურად გააცნობიერა მისი უფლების დარღვევის შესახებ. შესაბამისად, მოპასუხის მტკიცებით, მოსარჩელის წერილის გათვალისწინებით მან 2011 წლის 20 მაისს შეიტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ, ანუ მაშინ როდესაც მან ვერ მიიღო სადაზღვევო ანაზღაურება. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულების პირობის შესაბამისად მზღვეველები აანაზღაურებენ ზარალს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა აუცილებელი ანგარიშისა და დოკუმენტის საფუძველზე დარწმუნდებიან, რომ რემონტი შესრულებულია ან დაზიანებული ნაწილები შენაცვლებულია; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 814-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და ზიანის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, რისი საშუალებაც მზღვეველს არ მიეცა დამზღვევის მიერ არაადეკვატური დოკუმენტაციის წარმოდგენის გამო. შესაბამისად, მოპასუხე მიიჩნევს, რომ მზღვეველს 2011 წლის 20 მაისს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულება დამზღვევის მიმართ არ ჰქონდა წარმოშობილი;

3.9. მოპასუხე სსკ-ის 130-ე, 131-ე, 799-ე და 814-ე მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ ყველაზე გვიანი თარიღიდან ათვლის შემთხვევაშიც, 2011 წლის 29 ივნისს (მილენიუმთან მორიგების აქტის გაფორმების თარიღისათვის) მოსარჩელეს (დამზღვევს) ხელთ ჰქონდა მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და შეეძლო მათი მზღვეველისათვის წარდგენა, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის წარმოშობა ამ თარიღიდან უნდა აითვალოს სსკ-ის 131-ე მუხლის შესა-

ბამისად. იმის გათვალისწინებით რომ სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2015 წლის 13 აპრილს, ხოლო სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობა 3 წელს შეადგენს, მოპასუხე მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია. იმ დაშვებითაც, თუ მიჩნეულ იქნება, რომ 2011 წლის 17 მაისისათვის მზღვეველს მიღებული ჰქონდა ყველა სათანადო დოკუმენტი, ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2011 წლის 20 მაისიდან და სასარჩელო მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც ხანდაზმული გამოდის. სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ ყურადღება კიდევ ერთხელ გაამახვილა შეტყობინების ვადებზე და აღნიშნა, რომ 58+800 კმ ლოკაციის გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში შეტყობინება ერთი და მეტი წლით დაგვიანდა, რის გამოც, სადაზღვევო კომპანიას არ ეკისრება მისი ანაზღაურება;

3.10. სადაზღვევო შემთხვევის ოდენობასთან დაკავშირებით მოპასუხის წარმომადგენელმა ისიც სადავო გახადა, რომ უცნობია რისგან შედგება ზარალი, რადგან მოსარჩელე თავს არიდებს დეტალური დოკუმენტაციის მიწოდებას. მოპასუხის მოსაზრებით, ის სამუშაოები, რომელთა ღირებულების ანაზღაურებასაც მოსარჩელე ითხოვს, არ იყო გათვალისწინებული იმ პროექტით, რომელიც მოსარჩელემ სადაზღვევო კომპანიას წარუდგინა დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის მტკიცება, რომ დაზღვეული იყო არა პროექტი, არამედ – ხარჯთაღრიცხვა, მოკლებულია ყველანაირ საფუძველს, ვინაიდან სადაზღვევო პოლისში პირდაპირ არის მითითებული პროექტი – „სარეაბილიტაციო სამუშაოები ფ-გ“ (LOT SJRRP/CW/04-02). ამასთან, ხარჯთაღრიცხვა როგორც განყენებული დაზღვევის ობიექტი არ შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ხარჯთაღრიცხვა კონკრეტული სამუშაოების შესრულების ღირებულებას წარმოადგენს, ხოლო თავად სამუშაოების აღწერილობა მოცემულია შესაბამის პროექტში. გარდა ზემოაღნიშნულისა, მოპასუხემ განმარტა, რომ ვინაიდან მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ანაზღაურება იმ სამუშაოთა ღირებულებას წარმოადგენს, რომელიც არ იყო გათვალისწინებული პროექტით და ისეთ სამუშაოებს წარმოადგენს, რომლებიც როგორც შემდგომში აღმოჩნდა აუცილებელი იყო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯეროვნად შესრულებისათვის (გაბიონები ღრმა სადრენაჟო ფილტრები, კულვერტები და მილსადენი), მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს გადაკეთებას/გაუმჯობესებას, რომელთან დაკავშირებული ხარჯებიც დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად არ იფარება. მოპასუხის მოსაზრებით, ამას ისიც ადასტურებს, რომ პრობლემების აღმოჩენის შემდეგ, მოსარჩელე სანარმო პერიოდულად უთანხმებდა ინჟინერ ზედამხედველს პროექტში ცვლილებებს/ გადაკეთებას, რომელიც ეხება როგორც

გაბიონებს, ასევე – სხვა მოთხოვნილ სამუშაოებსაც. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხემ განმარტა, რომ დაზღვევულ პროექტში მითითებულია ის ლოკაციები, რომლებზეც პროექტის მიხედვით უნდა მომხდარიყო გაბიონების აშენება. მიუხედავად ამისა, პროექტში მითითებული ლოკაციები არ ემთხვევა მოსარჩელის მიერ მითითებულ ლოკაციებს. იგივე სიტუაციაა კულვერტების, ღრმა სადრენაჟო ფილტრებისა და მილსადენის შემთხვევაში. მხარე საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დამატებით მიუთითებს, რომ 2010 წლის ნალექები თანმიმდევრულ წრილში არ განსხვავდება სხვა იმავე ხანგრძლივობის პერიოდის ნალექების რაოდენობისაგან და მას არ შეიძლება კატასტროფული ოდენობა ეწოდოს (მ. დ-ის დასკვნა). საქმეში წარდგენილი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებით, ნალექების ის ოდენობა, რომელიც 2010 წლის იანვრიდან მაისის პერიოდში მოვიდა, ასევე მოდის ყოველ წელს, ხუთთვიანი უწყვეტი პერიოდის განმავლობაში, ხოლო რაც შეეხება 2010 წლის მაისის ცალკე აღებულს, ნალექების ეს ოდენობა მოდის საშუალოდ 5 წელიწადში ერთხელ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისეთი ობიექტის მშენებლობისას, რომელიც წარმოადგენს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას, დამპროექტებელმა უნდა გაითვალისწინოს ის მეტეოროლოგიური გარემო, რომელიც ახასიათებს ამ გეოგრაფიულ არეალს და პროექტში გაითვალისწინოს შესაბამისი დაცვის საშუალებები;

3.11. ასევე, მოპასუხემ მიუთითა პროექტის ავტორის „K.e.G.“ მიერ 2007 წელს ჩატარებულ საინჟინრო კვლევაზე, რომელიც შეიცავს მითითებებს გეოლოგიური საფრთხეების შესახებ. მაგალითად 30+650 და 31+150 ლოკაციაზე მითითებულია, რომ აღმოჩენილია შესაძლო მეწყერის მონაკვეთი, ასევე აღმოჩენილია მდინარის ნაპირის ეროზია, თუმცა, ამჟამად და შესაძლებელია, უახლოეს მომავალშიც გზა და გზისპირი ამ ადგილას არ დაზიანდება და ამიტომ აღდგენითი პროექტი არ ითვალისწინებს არანაირ ზომებს (მ. დ-ის დასკვნა). შესაბამისად, მოპასუხე მხარე ასკვნის, რომ არც ნალექების ის ოდენობა, რომელსაც 2010 წლის იანვარი – მაისის პერიოდში მოვიდა და არც მეწყრული მოვლენები არ წარმოადგენს ამ გეოგრაფიული არეალისათვის რაიმე განსაკუთრებულ და გაუთვლელ მოვლენას, პირიქით, დამპროექტებელი თვითონვე მიუთითებს მეწყრული და ეროზიული კერების არსებობის შესახებ. შესაბამისად, არასწორი პროექტირება, რამაც გამოიწვია სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ზიანის მიყენება, არ გამოვლინდა, რაც, თავის მხრივ, სადაზღვევო დაფარვიდან გამონაკლისს წარმოადგენს;

3.12. მოპასუხემ ყურადღება გაამახვილა, რომ დამზღვევის მხრიდან მზღვეველისათვის შეტყობინების ვადები დაცულია მხოლოდ 58+800 კმ-ზე მეწყერის ჩამონოლის შესახებ და სწორედ ამ ლოკაცია-

ზეა ექსპერტიზის დასკვნაც ჩატარებული, რომლის მიხედვითაც მიყენებული ზიანის ოდენობაა 841 776.87 აშშ დოლარი. ამავე ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მოპასუხე აღნიშნავს, რომ მინის სამუშაოები (491,854.60 აშშ დოლარის ღირებულების) წარმოადგენს გაბიონის, ღრმა ფილტრისა და სადრენაჟო მილების მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების ნაწილს, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ იფარება. მოპასუხე სადაზღვევო კომპანია უთითებს დამკვეთისა და მოსარჩელის შეთანხმებაზე და განმარტავს, რომ ამ მონაკვეთზე განეული სამუშაოს ღირებულება სრულად აუნაზღაურდა მოსარჩელეს დამკვეთის მიერ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხეს მიაჩნია, რომ სარჩელი სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ გამო უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

4. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

4.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე საწარმოს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

4.2. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ შემდეგი გარემოებები დაადგინა:

4.2.1. აპელანტი საწარმო, როგორც ტენდერში გამარჯვებული კომპანია, 2008-2010 წლებში სამცხე-ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტს ახორციელებდა, რომელიც გამოცხადებული იყო ფონდი „... – საქართველოს“ მიერ და მის მიერვე ფინანსდებოდა;

4.2.2. 2008 წლის 4 ივნისს მოპასუხე სადაზღვევო კომპანიის მიერ სამშენებლო სარემონტო სამუშაოებისა და დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი №CAR/C-00215-08-EL გაიცა. სადაზღვევო კომპანიამ სამშენებლო სარემონტო სამუშაოები დააზღვია. დაზღვეული პროექტის დასახელებად – „სარეაბილიტაციო სამუშაოები ფ-გ, გ-ნ, ნ-ს საავტომობილო გზებზე“ განისაზღვრა. დაზღვევის ობიექტებს: საკონტრაქტო სამუშაოები (თანდართული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად), მანქანა დანადგარები და პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე, წარმოადგენდა; სადაზღვევო თანხა საკონტრაქტო სამუშაოებზე: 65 467 530.16 აშშ დოლარს შეადგენდა;

4.2.3. აპელანტი საწარმოს მიერ სტიქიური უბედურების გამო დამატებით განეული აღდგენითი სამუშაოების ღირებულების განსაზღვრის შესახებ 2016 წლის 24 ივნისის №1/34-2016 აუდიტორული დასკვნის მიხედვით, აპელანტის მიერ სამცხე-ჯავახეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, სტიქიური უბედურების (მენყერი) გამო, 57-

64 კმ მონაკვეთზე ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების (განეული ხარჯების) ღირებულება შესაბამისობაშია საბაზრო ღირებულებასთან და 841 776.87 აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნული თანხის ანაზღაურებაზე მოპასუხე სადაზღვევო კომპანიამ უარი განაცხადა და ხარჯის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა მოითხოვა;

4.2.4. მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას პროექტის ხარჯთაღრიცხვა ერთვის, დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტი ამ ხელშეკრულებაზე თანდართული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად არის განსაზღვრული;

4.2.5. 2008 წლის 4 ივნისს მოპასუხე სადაზღვევო კომპანიასა და აპელანტ სანარმოს (მოსარჩელე მხარე) შორის დადებული ხელშეკრულებით საკონტრაქტო სამუშაოების მიმართ, თითოეულ შემთხვევაზე, ფრანშიზა 10 000 აშშ დოლარი იქნა შეთანხმებული; წყალდიდობის/დატბორვისა და ნიადაგის დაწევის შემთხვევაში – ფრანშიზა 50 000 აშშ დოლარით შეთანხმდა;

4.2.6. დაზღვევის ხელშეკრულებაზე დართული პროექტის ხარჯთაღრიცხვაში (დანართი 52), რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, მითითებულია პროექტით გათვალისწინებული გაბიონების საერთო რაოდენობა, რომელშიც 58+800 ან/და 57-64 კმ. მონაკვეთზე გაბიონების მოწყობა გათვალისწინებული არ ყოფილა;

4.2.7. 2009-2010 წლებში სადავო ადგილას, აღნიშნული ადგილისათვის არადამახასიათებელ შეუსაბამო რაოდენობის ნალექს, რომელსაც მეწყერის პროვოცირება შეიძლება გამოეწვიოს, ადგილი არ ჰქონია;

4.2.8. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აპელანტი სანარმოსათვის მეწყერული პროცესების მიმდინარეობის საფრთხისა და სამშენებლო პერიმეტრზე არსებული გეოლოგიური საფრთხეების შესახებ სამუშაოების დაწყებამდე ცნობილი იყო;

4.2.9. აპელანტ სანარმოს მისი დამკვეთი „ფ-ისგან“ (F.) გზის 57-ე-64-ე კილომეტრზე დამატებითი სამუშაოების შესრულების თაობაზე მითითებები რამდენჯერმე მიეცა და დამკვეთი ქვეკონტრაქტორის მიერ მითითებების შესრულების ტემპით უკმაყოფილო იყო, რაც ცხადყოფს, რომ საბოლოოდ დამდგარი ზიანის ოდენობის შემცირებისთვის აპელანტი სანარმოს ქმედებებს ხელი არ შეუწყვია;

4.3. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული სამუშაოების განხორციელება არ წარმოადგენდა ისეთ სადაზღვევო შემთხვევას, რომელიც სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ანაზღაურებას ექვემდებარებოდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა, ამ შემთხვევაში მთავარია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემო-

ებების შესატყვისი მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის შემთხვევაშიც ან არასწორად მითითების დროსაც კი, მოწინააღმდეგის პოზიციისა და საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და იურიდიული შეფასების საგანია (იხ. სუსგ-ები: №ას-493-473-2016, 14.12.2016წ; №ას-1224-1149 09.06.2016წ.);

4.4 სსკ-ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დაზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სადაზღვევო შემთხვევის შეფასებისათვის, ანუ იმისათვის, რომ სადაზღვევო რისკი განხორციელებულად და შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევა დამდგარად ჩაითვალოს, უნდა დადგინდეს, სადაზღვევო შემთხვევა შეიცავს თუ არა ხელშეკრულებით შეთანხმებულ გამონაკლის შემთხვევებს, რამდენადაც ამგვარი შემთხვევა გამორიცხავს სადაზღვევო შემთხვევის კვალიფიკაციის და სადაზღვევო კომპანიის მხრიდან თანხის გადახდის სამართლებრივ საფუძველს;

4.5. მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის ურთიერთობა წარმოშობილია მათ შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულებიდან, რომლის საფუძველზეც აპელანტი საწარმოსთან სადაზღვევო კომპანიამ „სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის“ ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც ფ-გ (ლოტი №2), გ-ნ (ლოტი №3) და ნ-ს (ლოტი №4) საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაზღვევას ითვალისწინებდა. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სადაზღვევო დაფარვიდან გამონაკლისია და მზღვეველის პასუხისმგებლობა არ ვრცელდება დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია არასწორი პროექტირებით და ასევე, დაზღვევით არ იფარება და არ ანაზღაურდება გადაკეთების, დამატების ან/და გაუმჯობესების ხარჯები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა მის მიერ საკვლევ გარემოებათა წრე, კერძოდ, იმ გარემოების დადგენა, აპელანტისთვის მიყენებული ზიანი ისეთ სადაზღვევო რისკს წარმოადგენდა, რომლის გათვალისწინებაც წინასწარ შეუძლებელი იყო, თუ აღნიშნული ზიანი არასწორმა პროექტირებამ გამოიწვია, რომლის ანაზღაურებაც ხელშეკრულებით ცალსახად გამოირიცხებოდა. ამ მიმართებით სასამართლომ მიიჩნია, რომ პროექტში მითითებულ გზის მონაკვეთზე გეოლოგიური საფრთხეების შესახებ აპელანტი სამუშაოების დაწყებამდე იყო ინფორმირებული. საქმეში წარმოდგენილი ... – საქართველო, სამცხე-ჯავახეთის გზების რეა-

ბილიტაციის პროექტი, სატენდერო დოკუმენტის ტექნიკურ პირობებში, რომელიც 2007 წლის 24 ოქტომბრით თარიღდება, მითითებულია, რომ გზების გასწვრივ გეოსაფრთხეები მოიცავს გეოლოგიურ გრავიტაციისა და სეისმური ძალების პროცესებს, რომლებსაც ზოგჯერ ემატება მაღალი ინტენსივობის უხვი ნალექი, რის შედეგადაც კლიმატური პირობების გამძლე კლდეები და ნიადაგები გადაადგილდება და იწვევს ფერდობის ეროზიას, ტალახის ნაკადს, ნამტვრევების ნაკადს, კლდის ზვავებსა და მენყერს. ასევე, მითითებულია, რომ საპროექტო გზების კონკრეტულ მონაკვეთებზე გეო საფრთხეების საკმაოდ დიდი პოტენციალი არსებობს, როგორცაა, კლდის დიდი ნამტვრევების ვარდნა. სამუშაოებში შეიძლება გათვალისწინებული იყოს უსაფრთხოების ზომები შემდეგი სახით: უნდა მოშორდეს კლდის აშკარად არამყარი ნაწილები, მსუბუქი დეტონატორების გამოყენებით უნდა დაიშალოს ან აფეთქდეს კლდე, უნდა გამაგრდეს კლდე-გრუნტი, აშენდეს ბეტონის კორიდორები, მოხდეს მავთულის ბადის გამოყენება, ჰორიზონტალური დრენაჟების გამოყენება... ასევე, საქმის მასალებში წარმოდგენილ მ.დ-ის დასკვნაში მითითებულია, რომ თავად პროექტის შემდგენი, K.C.G-ის ექსპერტების მიერ 2007 წელს (პროექტის დაწყებამდე) „Engineering report“-ი შედგა, რომელშიც აღნიშნულია: „გეო საფრთხე გზის 30-ე კმ-ზე გზის ვაკის მარცხენა მხრიდან აღმოჩენილია შესაძლო მენყერის მონაკვეთი. მენყერის მიმართულებაა მდინარე ალგეთის მხარეს... 30,5 კმ-ზე გზიდან მარჯვნივ მდინარესთან გადაკვეთის მონაკვეთზე აღმოჩენილია მდინარის ნაპირის ეროზია. ამჟამად და უახლოეს მომავალშიც გზის ორივე ადგილი შეიძლება დაზიანდეს... გეო საფრთხე გზის 31,5 კმ-ზე (32+150), მოხდა თიხნარი ქანების, ქვიშაქვებისა და კონგლომერატების გაშიშვლება, ხოლო ჩამოქცეული ქანები და ნიადაგი დაგროვდა გზის გასწვრივ, დაფიქსირდა მცირეოდენი ცალკეული ახლად ჩამოქცეული უბნები... გეო საფრთხე გზის 33 კმ-ზე (33+630) დაახლოებით 33-დან 34,5 კილომეტრზე გზა ოდნავ მთაში შედის, გზიდან მარჯვნივ მიმდებარე გორაკის მდორე მენყერული პროცესები მიმდინარეობს. ამ მონაკვეთზე საგზაო საფარი სრულად ჩამორეცხილია გრუნტის საფუძვლამდე და უფრო ქვემოთ... ძლიერი ეროზია წარმოიქმნა ზედაპირული წყლების ზემოქმედების გამო, რომელიც გზის გასწვრივ და თვით გზაზე მიედინებიან, ვინაიდან სადრენაჟე არხები არ არსებობს ან არ არის სათანადო მდგომარეობაში და გაჭედებულია... გეო საფრთხეები გზის 39-ე კმ-ზე (3კ 39+570)... დადგენილ იქნა, რომ ნაკადი, რომელიც კვეთს გზას 39-ე კილომეტრის რაიონში, შეიძლება ღვარცოფული მოვლენების მიზეზი აღმოჩნდეს... გეო საფრთხე გზის მონაკვეთზე 9 კმ-დან 46 კმ-მდე (3კ 39+570 – 46+490) ... ზოგიერთ ადგილში გზის ამ მონაკვეთზე მდინარემ გამორეცხა მაღალი და ციცაბო ფერ-

დობები, რის გამოც ჩამოქცევები მოხდა... მდინარე ალგეთის დინების მაღალ სიგრძეზე ეროზიის შედეგად წარმოქმნილი ძალიან ციცაბო ფერდობები. ზოგიერთ ადგილებში მდგომარეობა კრიტიკულია, რამდენადაც ეროზიამ გზის კიდემდე მიაღწია... გარდა ფერდობის ქვედა მხარეს გამონვეული ეროზიისა, არის ფერდობის ზედა ნაწილის ეროზია, რომელიც ზედაპირული წყლების ზემოქმედებითაა გამონვეული... გეო საფრთხე გზის 48-ე კმ-ზე (პკ 48+479), გზის ამ მონაკვეთზე არის მაღალი, 12-15 მეტრის სიმაღლის არამდგრადი ქვიშაქვის ქარაფი, სადაც მაღალია ქვის ქანების ვრცელი ჩამოქცევის რისკი... გეო საფრთხე გზის 63 კმ-ზე (პკ 63+434)... აუცილებელია დაკვირვება ამ მონაკვეთზე, რეგულარულად უნდა მოცილდეს ჩამოვარდნილი ქვები და გრუნტი, ხოლო სადრენაჟო არხები – სათანადო მდგომარეობაში უნდა იყოს. გეო საფრთხე 64 კმ-ზე (პკ 64-427), მოხდა გზის კიდის მოწყვეტა და ჩამონგრევა 50 მეტრი სიგრძეზე. გზის ნაწილის ჩამონგრევის მიზეზს მაღალი ადგილიდან ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ზემოქმედება წარმოადგენს...“ ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 2007 წელს, ანუ სადავო გზის მონაკვეთებზე სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე, აპელანტმა საწარმომ იცოდა, ან შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ეს კონკრეტული გზა და მისი სარემონტო მონაკვეთები მაღალ გეოლოგიურ საფრთხეებს შეიცავდა, რომელთა შორის ასევე მეწყერიც იყო. საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში არსებული მტკიცებულებებით და დაადგინა, რომ აპელანტი საწარმოსთვის სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთზე მეწყერიანი ზონის არსებობის თაობაზე სამუშაოების დაწყებამდე იყო ცნობილი. ის გარემოება, რომ სადავო გზის მონაკვეთებზე გაბიონებისა და ღრმა სადრენაჟო ფილტრების გაკეთება საპროექტო სამუშაოებით არ იყო გათვალისწინებული, დასტურდება როგორც პროექტის ხარჯთაღრიცხვით, ასევე აპელანტი საწარმოსა და მისი კონტრაქტორი შპს „ფის“ 2010 წლით დათარიღებული წერილებით, რომლითაც აპელანტი შპს „ფის“ დამატებითი სამუშაოების დამტკიცებას სთხოვს, რომელთა ჩამონათვალში სადავო ლოკაციებზე გაბიონებისა და ღრმა სადრენაჟო ფილტრების დაყენებაც იყო გათვალისწინებული. ასევე, საქ. გზა მეცნიერების 2016 წლის №60 წერილში მითითებულია, რომ შესაბამისი სპეციალისტების დასკვნით, გზის რეაბილიტაციის პროექტში, სადაზღვეო კომპანიის მიერ მითითებულ პიკეტებზე, როგორც გაბიონების მოწყობის ცხრილში, ასევე, გზის გეგმის განივ პროფილებზე, გაბიონები გათვალისწინებული არ ყოფილა;

4.6. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ 2010 წელს, სადავო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების გან-

ხორციელებისას, განსაკუთრებულად უხვი ნალექი მოვიდა, რომელმაც მეწყრული პროცესების დაწყება და, საბოლოო ჯამში, დამატებითი გაბიონების დამონტაჟების საჭიროება გამოიწვია. საქმეში წარმოდგენილი მ. დ-ის დასკვნისა და გარემოს დაცვის სააგენტოს ცნობის ერთობლივი ანალიზიდან დგინდება, რომ 2010 წლის ნალექი თანმიმდევრულ ქრილში არ განსხვავდება სხვა იმავე პერიოდის ნალექების რაოდენობისგან. ექსპერტის შეფასებით დგინდება, რომ ნალექის ოდენობა, რომელიც 2010 წლის იანვრიდან მაისის პერიოდში მოვიდა, ასევე მოდის ყოველ წელს ხუთთვიანი უწყვეტი პერიოდის განმავლობაში, ხოლო, რაც შეეხება 2010 წელს ცალკე აღებულს, ნალექების ეს ოდენობა მოდის საშუალოდ ხუთ წელიწადში ერთხელ. სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ მოიხმო 2007 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებული ... – საქართველოს, სამცხე ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტის სატენდერო დოკუმენტის ტექნიკური პირობები და განმარტა, რომ ამ დოკუმენტში პირდაპირ, ნათლად და არაორაზროვნადაა მითითებული, რომ სარეაბილიტაციო არეალს მაღალი ინტენსივობის უხვი ნალექი ახასიათებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო პერიოდში განსაკუთრებულად უხვი ნალექის არსებობა, რომელსაც წინასწარ გაუთვალისწინებელი და უცაბედი მეწყრული პროცესების ფორსირება შეიძლებოდა გამოეწვია, არ გამოვლენილა. აღნიშნულ დასკვნას ვერ აქარწყლებს აპელანტი საწარმოს მიერ წარდგენილი სტიქიური უბედურების გამო დამატებით გაწეული აღდგენითი სამუშაოების ღირებულების განსაზღვრის შესახებ 2016 წლის 24 ივნისის № 1/34-2016 აუდიტორული დასკვნა (ბ. და კ-ია), რომლის მიხედვით, აპელანტის მიერ სამცხე-ჯავახეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, სტიქიური უბედურების (მეწყერი) გამო, 57-64 კმ მონაკვეთზე ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების (განეული ხარჯების) ღირებულება შესაბამისობაშია საბაზრო ღირებულებასთან და 841 776.87 აშშ დოლარს შეადგენს. დასკვნაში ექსპერტი უთითებს, რომ აპელანტი საწარმოს მიერ დამატებით შესრულებული სამუშაოები არ იყო გათვალისწინებული პირვანდელ სახარჯთაღრიცხვო ნუსხაში, მაგრამ მისი დაუყოვნებლივი, სავალდებულო წესით ჩატარება განპირობებული იყო უკიდურესი აუცილებლობით – სტიქიის შედეგად განხორციელებული მეწყერის სალიკვიდაციოდ მმართველი ღონისძიებებით, რის გარეშეც დამკვეთის წინაშე არსებული ვალდებულება ვერ შესრულდებოდა, ამიტომ, დამატებით შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 841 776.87 აშშ დოლარი ფაქტობრივად მიყენებულ ზიანს წარმოადგენს;

4.7. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, უხვი ნალექის არსებობის ფაქტი სადავოდ არაა გამხდარი, მოპა-

სუხე მხარე უთითებდა, რომ უხვი ნალექი არ იყო შემსრულებლის მიერ წინასწარ შეუცნობადი და გაუთვალისწინებადი გარემოება, შესაბამისად, იგი სადაზღვევო რისკის ფარგლებში არ ექცეოდა. მართალია, ხსენებული მტკიცებულებით დგინდება, რომ ნალექის გამო შემსრულებელს დამატებითი ქმედებების განხორციელება მოუწია, თუმცა, არ დასტურდება ის გარემოება, რომ სამუშაოების დაწყებამდე, შემსრულებელი კომპანიისთვის უცნობი იყო ანდა არ შეიძლება ცნობილი ყოფილიყო აღნიშნული რისკების დადგომისა და სათანადო სამუშაოების განხორციელების საჭიროების თაობაზე. შესაბამისად, დგინდება, რომ აღნიშნული გარემოებით (ნალექით გამოწვეული მეწყერით) განპირობებული დამატებითი ხარჯების გაუთვალისწინებლობა პროექტის დეფექტს წარმოადგენდა, რაც აღნიშნული შემთხვევის სადაზღვევო რისკად კვალიფიკაციის შესაძლებლობას გამორიცხავდა, მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან დგინდება, რომ დამდგარი ზიანი წინასწარ მოულოდნელი და სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის უცნობი მოვლენებით არ იყო გამოწვეული, რაც, თავის მხრივ, სადაზღვევო კომპანიას ანაზღაურების ვალდებულებას წარმოუშობდა;

4.8. სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია, ყურადღება გაემახვილებინა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტი საწარმოს მიერ 57-64 კმ. მონაკვეთზე, სადაზღვევო კომპანიისთვის დამდგარი ზიანის 14 დღეში შეტყობინებისა და სადაზღვევო მოვლენების ეტაპებად დაყოფის ვალდებულება, რომელიც მან გაფორმებული ხელშეკრულებით იკისრა, არ შესრულებულა, რაც სსკ-ის 814-ე მუხლიდან გამომდინარე, მზღვეველისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას გამორიცხავდა. აპელანტმა დამდგარი ზიანის შესახებ წერილი, სადაზღვევო კომპანიას პირველად, 2010 წლის 13 მაისს გაუგზავნა, რომელიც ადრესატმა იმავე წლის 17 მაისს მიიღო. აღნიშნული წერილით აპელანტმა საწარმომ სადაზღვევო კომპანიას 58+800 კმ-ზე მეწყერის ჩამოწოლის შესახებ შეატყობინა. წერილის პასუხად სადაზღვევო კომპანიამ სადაზღვევო პოლისის ერთ-ერთ მოსარგებლეს, ..., დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა, რათა კომპანიას შემთხვევის სადაზღვევო რისკად კვალიფიციერების პროცესი დაეწყო. წერილს რეაგირება არ მოჰყოლია, რის გამოც, 2010 წლის 10 სექტემბერს სადაზღვევო კომპანიამ აპელანტ საწარმოს 2010 წლის 10 სექტემბერს წერილი გაუგზავნა და დამდგარი შემთხვევის სადაზღვევო რისკად შეფასების მიზნებისთვის დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა, თუმცა, აპელანტს რაიმე მტკიცებულება არ მიუწოდებია. აპელანტმა 2011 წლის 6 მაისს სადაზღვევო კომპანიას დამატებითი შეტყობინება გაუგზავნა, რომელშიც ზიანის შესახებ ინფორმაციას 57-64 კმ-ის მთელს პერიმეტრზე და

მასში შემავალ ცალკეულ ლოკაციებზე აწვდიდა;

4.9. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, როგორც საქმის ზეპირი განხილვისას განიმარტა, 58+800 კმ. მონაკვეთი გულისხმობს 58-ე კილომეტრიდან შემდგომ 800-მეტრს, რაც ცალსახად გამორიცხავს მის იდენტიფიკაციას 57-64 კმ. მონაკვეთთან, რომელიც 57-დან 64 კილომეტრამდე მთელი სიგრძის გზას მოიცავს. ის გარემოება, რომ აპელანტი საწარმოს მიერ 58+800 კმ-ზე გაკეთებული შეტყობინება, ე.წ. „დომინოს პრინციპით“, დანარჩენ 57-64 კმ-ზე შეტყობინებას არ მოიცავდა, დასტურდება ასევე იმ გარემოებითაც, რომ თავდაპირველად მოთხოვნილი ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობა 1 438 900 აშშ დოლარს, ხოლო, მეორე შეტყობინებისას 2 044 936 აშშ დოლარს შეადგენდა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის 14 დღეში შეტყობინების ვალდებულებასთან მიმართებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლით დათარიღებული წერილებით აპელანტის საწარმო შპს „ფ-დთან“ 57-64 კმ. მონაკვეთზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა და მას დამატებითი სამუშაოების დამტკიცებას სთხოვდა, რითიც უდავოდ დასტურდება, რომ, სადაზღვევო კომპანიისთვის 2011 წლის 6 მაისს გაგზავნილ შეტყობინებამდე, აპელანტისათვის ზიანის დადგომის ფაქტი 14 დღეზე ბევრად ადრე იყო ცნობილი და მას აღნიშნული ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიისთვის არ მიუწოდებია. გარდა ზემოაღნიშნულისა, მოდავე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანართის თანახმად, აპელანტს სადაზღვევო შემთხვევის ცალკეულ პერიოდებად დაყოფის ვალდებულება გააჩნდა. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ (სადაზღვევო შემთხვევის მუხლი/დრო), „სადაზღვევო შემთხვევა“ იმ რისკებთან დაკავშირებით, რომელსაც ეს მუხლი ეხება, ნიშნავს ყველა ინდივიდუალურ ზარალს, რომელიც წარმოიშობა ან ერთსა და იმავე შემთხვევას უკავშირდება. თუმცა, ნებისმიერი შემთხვევის ხანგრძლივობა და მოცულობა შეზღუდულია: 1) ქარიშხლის, კოკისპირული წვიმის, სეტყვის, შტორმის, ტორნადოს, ტაიფუნის ან/და ციკლონის შემთხვევაში 72 თანმიმდევრული საათი; 2) რაც შეეხება, მიწისძვრას, ცუნამს, ვულკანურ ამოფრქვევებს ან/და მოქცევის ტალღას – 72 თანმიმდევრული საათი; 3) 72 თანმიმდევრული საათი ნებისმიერ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია ორი ან მეტი ზემოაღნიშნული რისკით; 4) თანმიმდევრული 168 საათი ნებისმიერ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია ზემოაღნიშნულით, მაგრამ არა პირველ და მეორე პუნქტში დასახელებული რისკებით. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სადაზღვევო შემთხვევის ხანგრძლივობა აღემატება ზემოაღნიშნული რისკების ხანგრძლივობას, აპელანტი საწარმო ვალდებულია, გაყოს ასეთი სადაზღვევო შემთხვევა ორ ან მეტ შემთხვევად, რომლის მიხედვითაც – პირველი ზარალის

წარმოშობის დროის ათვლა უნდა დაიწყოს პირველი ინდივიდუალური ზარალის დადგომისას, რომელიც ექვემდებარება დამზღვევის მიერ ანაზღაურებას; – ორი პერიოდი ვერ გადაფარავს ერთმანეთს და ორი პერიოდს შორის შუალედი არ შეიძლება იყოს;

4.10. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტი კომპანიის მიერ სადაზღვევო შემთხვევები ხელშეკრულებით შეთანხმებულ პერიოდებად დაყოფილი არ ყოფილა, რაც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი თანხიდან ფრანშიზის გამოქვითვასთან და შემდგომ სადაზღვევო თანხის ანაზღაურებასთან. აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგო მტკიცებულება, რაც სადაზღვევო კომპანიის მხრიდან არაერთი მოთხოვნის შესაბამისად, აპელანტის მიერ ისეთი ინფორმაციის გაგზავნას დაადასტურებდა, რაც სადაზღვევო კომპანიას შესაძლებლობას მისცემდა, თითოეული სადაზღვევო შემთხვევიდან ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობა გამოეანგარიშებინა, აპელანტი მხარეს საქმისწარმოების არც ერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია, აღნიშნული კი, თავის მხრივ, სსკ-ის 814-ე მუხლის საფუძველზე მზღვეველს ვალდებულებას ვერ წარმოშობდა, რაც აპელანტის მოთხოვნას უსაფუძვლოდ ხდის;

4.11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოთხოვნა, რომელიც დამდგარი ზიანის სადაზღვევო რისკად შეფასების მიზნებისთვის იყო საჭირო, აპელანტი საწარმოს მხრიდან არ შესრულებულა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, აპელანტმა დამდგარი ზიანის შესახებ წერილი, სადაზღვევო კომპანიას პირველად 2010 წლის 13 მაისს გაუგზავნა, რომელიც ადრესატმა იმავე წლის 17 მაისს მიიღო. აღნიშნული წერილით აპელანტმა სადაზღვევო კომპანიას 58+800 კმ-ზე მენყერის ჩამოწოლის შესახებ შეატყობინა. წერილის პასუხად სადაზღვევო კომპანიამ სადაზღვევო პოლისის ერთ-ერთი მოსარგებლე, ...-ს, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა, რათა კომპანიას შემთხვევის სადაზღვევო რისკად კვალიფიცირების პროცესი დაეწყო. წერილს რეაგირება არ მოჰყოლია, რის გამოც, 2010 წლის 10 სექტემბერს სადაზღვევო კომპანიამ აპელანტს 2010 წლის 10 სექტემბერს წერილი გაუგზავნა და დამდგარი შემთხვევის სადაზღვევო რისკად შეფასების მიზნებისთვის დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა, რომელთა მიწოდებაც აპელანტის მხრიდან არ მომხდარა. 2010 წლის 22 ნოემბრის წერილით სადაზღვევო კომპანიამ აპელანტს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების, ხოლო 2011 წლის 4 მაისს 57-64 კმ-ის მთელს პერიმეტრზე დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა. აპელანტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება მზღვეველისათვის ინფორმაციის

მიწოდების თაობაზე არ შეუსრულებია;

4.12. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტის მიერ გაცხადებული მოთხოვნა ხანდაზმულია. სასამართლომ განმარტა, რომ უპირველესად, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობა მოწმდება, ხოლო შემდეგ მისი განხორციელებადობა, თუკი, მოპასუხეს წარდგენილი აქვს ხანდაზმულობის, ანუ მოთხოვნის განხორციელების ხელისშემშლელი შესაგებელი. სასამართლომ ვრცლად ისაუბრა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობის შესახებ და დაასკვნა, რომ გარდა აპელანტი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა, ასევე, დამდგარი ზიანი არ ყოფილა ისეთი წინასწარ უცნობი მოვლენების შედეგად გამოწვეული, რომელიც მის სადაზღვევო რისკად კვალიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ვინაიდან, მოპასუხე მხარემ შესაგებელსა და სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მიუთითა, სააპელაციო სასამართლომ შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციის პირობებში, ამ საკითხთან მიმართებით იმსჯელა. სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულიზაციას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე; თბილისი 2007; ასევე სუსგ №ას-547-515-2012, 11.06.2012წ.); ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას. ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ – მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების

(მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. სასარჩელო ხან-დაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა. ამ ვადის გაცდენა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხან-დაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება № 1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). სასარჩელო ხან-დაზმულობის ვადები საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად მიიჩნევა. გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას გართულებს. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მონმეთა მესხიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისაგან;

4.13. ზემოთ ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. 1996 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ სასამართლო განმარტავს: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თა-

ვის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ამასთან ივარაუდება, რომ მან დარღვევის განხორციელებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს“ (იხ. სუსგ №ას-988-1021-2011, 15.11.2011წ.). სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ე.ი. თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს, ამასთან იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანმხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა;

4.14. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია 2011 წლის 16 მაისით დათარიღებული წერილი, რომლითაც აპელანტი საწარმო სადაზღვევო კომპანიას ზიანის ანაზღაურებას კიდევ ერთხელ სთხოვს და აღნიშნული ქმედების განხორციელების ბოლო ვადად 2011 წლის 20 მაისს ადგენს. ამავე წერილში აპელანტი საწარმო სადაზღვევო კომპანიას აფრთხილებს, რომ დათქმული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, საკუთარი უფლებების დაცვისთვის მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას გამოიყენებდა. სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2011 წლის 20 მაისამდე და არც მას შემდეგ სადაზღვევო კომპანიას აპელანტის სასარგებლოდ ანაზღაურება არ განუხორციელებია. შესაბამისად, სსკ-ის 130-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტისათვის უფლების დარღვევის შესახებ, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად 2011 წლის 20 მაისს უკვე ცნობილი იყო, რადგან მისთვის ცხადი გახდა, რომ მის მიერ განსაზღვრული დროის მონაკვეთში სადაზღვევო კომპანია ზიანის ანაზღაურებას არ აპირებდა. სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს. განსახილველ შემთხვევაში, მოდავე მხარეები

სადაზღვევო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლება-მოვალეობების თაობაზე დავობენ, ამიტომ მოთხოვნის განხორციელების ხანდაზმულობის ვადად სწორედ სამწლიანი მონაკვეთი უნდა განისაზღვროს. ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა 2011 წლის 20 მაისს დაუკავშირა, ცალსახაა, რომ სარჩელის აღძვრის მომენტისთვის (2015 წლის 13 აპრილი) სასარჩელო მოთხოვნა უკვე ხანდაზმული იყო;

4. 15. სააპელაციო სასამართლომ ასევე იმსჯელა ისეთ შემთხვევაზეც, თუკი გაზიარებული არ იქნებოდა მოთხოვნის სსკ-ის 130-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულად ცნობა, და განმარტა, რომ მოცემული შემთხვევა სსკ-ის კოდექსის 131-ე მუხლით დარეგულირდებოდა, ვინაიდან ამ მუხლის თანახმად, თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს აღნიშნული მოქმედების განხორციელება შეეძლო. საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ სადაზღვევო კომპანიაში ზიანის ანაზღაურების შესახებ გაკეთებული პირველი შეტყობინებისა (2010 წლის 13 მაისი) და მეორე შეტყობინების (2011 წლის 06 მაისი) შუალედურ პერიოდში, აპელანტი საწარმო შპს „ფ-თან“ დამატებითი სამუშაოების დამტკიცების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, რომელიც 2011 წლის 29 ივლისს მორიგების აქტის გაფორმებით დასრულდა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის (აპელანტის) მტკიცება, რომ ამ უკანასკნელს ზიანისა და დამატებითი სამუშაოების დასამტკიცებლად ყველა საჭირო დოკუმენტი ხელთ არ ჰქონდა და თითქმის ერთწლიანი მოლაპარაკებები მხოლოდ ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობდა, უფრო მეტიც, აღნიშნული მითითების საწინააღმდეგო ფაქტები მტკიცდება საქმის მასალებში წარმოდგენილი არაერთი წერილით, რომელიც აპელანტი საწარმოსა და შპს „ფ-ის“ მიმონერებს ასახავს და რომლითაც მზღვეველისათვის საჭირო ინფორმაციისა და მტკიცებულებების არსებობა დასტურდება. მიუხედავად აღნიშნულისა, სადაზღვევო კომპანიის მიერ არაერთი წერილი, რომლითაც ისინი დამდგარი ზიანის გამოსათვლელად კონკრეტული დოკუმენტაციის წარდგენას ითხოვდნენ (მაგ. 2010 წლის 26 აგვისტოს წერილი – ს.კ. დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენას ითხოვს; 2010 წლის 10 სექტემბრის წერილი – სადაზღვევო კომპანია რისკის შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაციის კონკრეტულ სიას უგზავნის დაზღვეულს და იმავე შინაარსის 2011 წლის 13 სექტემბრის, 2010 წლის 22 ნოემბრის წერილები, 2010 წლის 05 ოქტომბრის წერილი და სხვა ...) უპასუხოდ დარჩა. საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით ხსენებულ წერილებზე დროული და ეფექტური რეაგირება აპელანტი საწარმოს მხრიდან არ ფიქსირდება, უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოში

საქმისწარმოების განხილვის ეტაპზეც კი, აპელანტის მიერ პროექტის გაუმჯობესებისთვის განეული ხარჯების ზუსტი გაანგარიშება, შპს „ფ-ის“ მიერ ანაზღაურებული კონკრეტული თანხების გაანგარიშება და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის.

4.16. სსკ-ის 814-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მზღვეველმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და საზღაურის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, ხოლო ამავე კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება. სააპელაციო სასამართლოს განსჯით საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან ცალსახად დგინდება, რომ სადაზღვევო შემთხვევის რისკად კვალიფიცირებისთვის და ზიანის განსაზღვრისთვის სადაზღვევო კომპანიას აპელანტისაგან დამატებითი დოკუმენტაცია ესაჭიროებოდა, რომლის გაგზავნაც მისთვის არ მომხდარა. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხანდაზმულობის ვადის დენის თარიღად სასამართლო ყველაზე გვიანდელ პერიოდს, კერძოდ, შპს „ფ-თან“ 2011 წლის 29 ივლისის გაფორმებული მორიგების თარიღს დაუკავშირებს, ამ პირობებშიც კი დგინდება, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამ-წლიანი ვადა სარჩელის აღძვრის მომენტიდან (2015 წლის 13 აპრილი) გასული იყო, ვინაიდან, გონივრულობის პრინციპიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ამ დროისთვის აპელანტს ხელთ ჰქონდა დოკუმენტაცია, რომელსაც სადაზღვევო კომპანია ითხოვდა და აპელანტს ისინი სადაზღვევო კომპანიისთვის არ გადაუცია;

4.17. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 105-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სააპელაციო სასამართლო, პირველ რიგში, განმარტავს, რომ მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს გულისხმობს. შესაპირისპირებელი მტკიცებულებები სსსკ-ის 134-ე-139-ე მუხლების კონტექსტში მოწოდებულ ინფორმაციას წარმოადგენს, რომელიც სანდოობის, სარწმუნოობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, რაც, რა საკვირველია, არა მხოლოდ ამ მტკიცებულების, როგორც ინდივიდუალურად აღებული, არამედ, მხარეთა შორის უდავო/სადავო ფაქტებისა და მათი

განვითარების ქრონოლოგიასთან, ასევე, მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოთქმულ შედავებებთან ერთობლიობაში უნდა შემოწმდეს და ამ გზით უნდა დადგინდეს დავის გადანაცველისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები (იხ. სუსგ №ას-28-25-2017, 28.02.2018წ.). მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული სასამართლოს როლს მტკიცებულებების დასაშვებად ცნობასა და მათი შეფასების ნაწილში ასევე ამყარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი მხოლოდ პროცესუალურ დონეზე მტკიცებულების ადმინისტრირებას მოიცავს. მტკიცებულების დასაშვებობა ან ის, თუ როგორ უნდა შეფასდეს იგი, პირველ ყოვლისა, ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაა, ეროვნული სასამართლოების ამოცანაა, შეაფასონ მათ წინაშე არსებული მტკიცებულებები, ამრიგად, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ევროსასამართლოს შესაძლებლობას არ აძლევს მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასების მხრივ ეჭვქვეშ დააყენოს სამოქალაქო დავის შედეგის სამართლიანობა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადანაცვეტილება საქმეზე „გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ“, /Garcia Ruizv. Spain; GC; par. 28; ამავე სასამართლოს განჩინება საქმეზე „ფარანჟი S.A. საფრანგეთის წინააღმდეგ“, Farange S.A. v. France/). თუმცა, სტრასბურგის სასამართლო მტკიცებულებათა შეფასების კონტექსტში მუდმივად აღნიშნავს, რომ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლოები ვალდებული არიან პროცესის სამართლიანობა უზრუნველყონ, რომელიც, ასევე, მოიცავს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის სამართლიანობის შემოწმებას. სხვა მხრივ, მხოლოდ ეროვნული სასამართლოს პრეროგატივაა შეაფასოს მხარეთა არგუმენტები, მტკიცებულებები და საქმის სხვა ფაქტობრივი გარემოებები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადანაცვეტილება საქმეზე „ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ“, Elsholz v. Germany, GC, par. 66; ამავე სასამართლოს განჩინება საქმეზე „ვან დე ჰურკი ჰოლანდიის წინააღმდეგ; /Van de Hirk v the Netherland/ par.59);

4.18. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დისპოზიციურობისა და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრული რეალიზაციის პირობებში, საქმის უდავო და სადავო ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს შეექმნა მტკიცებულებებით გამყარებული შინაგანი რწმენა, რომ აპელანტის მტკიცება მ. დ-ის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის გაზიარებაზე უარის თქმის შესახებ არ არის დასაბუთებული. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეს აღნიშნულ მტკიცებულებასთან მიმართებით

შედავება არ განუხორციელებია, გარდა ამისა, მხოლოდ ზეპირი მითითება ექსპერტისა და ექსპერტიზის დასკვნის არაკვალიფიციურობის შესახებ გაზიარებული ვერ იქნება, მით უფრო ისეთ პირობებში, როდესაც მასში მოყვანილი მსჯელობა და დასკვნები საქმის მასალებში არსებული სხვა არაერთი მტკიცებულებითაა გამყარებული. მტკიცების ტვირთის ობიექტური გადანაწილების პირობებში აპელანტი მხარეს, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება და სადაზღვევო კომპანიის მიერ ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, ზიანის გამომწვევი მიზეზების სადაზღვევო რისკად კვალიფიკაციის დადასტურება და გაცხადებული მოთხოვნის სსკ-ის 130-ე და 131-ე მუხლების შესაბამისად, ხანდაზმულად ცნობის გამომრიცხველი გარემოებების დამტკიცება ევალებოდა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ზემოთ განვითარებული მსჯელობით ცალსახად დგინდება, რომ მენყერით განპირობებული დამატებითი ხარჯების გაუთვალისწინებლობა პროექტის დეფექტს წარმოადგენდა, რადგან სადავო ტერიტორიისათვის არსებული ნალექი მოსალოდნელი და წინასწარგანჭვრეტადი მოვლენა იყო, რაც აღნიშნული შემთხვევის სადაზღვევო რისკად კვალიფიკაციის შესაძლებლობას გამოიწვავდა. გარდა აღნიშნული გარემოებისა, აპელანტმა საწარმომ ხელშეკრულებით ნაკისრი არაერთი სხვა ვალდებულებაც დაარღვია, მაგალითად, მეორე სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინება მზღვეველს 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ გაუგზავნა. მოთხოვნის მიუხედავად, მზღვეველ კომპანიას შემთხვევის სადაზღვევო რისკად დაკვალიფიციერებისთვის საჭირო დოკუმენტაცია არ მიაწოდა. გარდა ამისა, აპელანტმა სადაზღვევო შემთხვევა ხელშეკრულებით შეთანხმებულ პერიოდებად არ დაყო, რამაც სადაზღვევო კომპანიას შესაძლებლობა მოუსპო, თითოეული სადაზღვევო შემთხვევისთვის შეთანხმებული ფრანშიზა მიესადაგებინა. ყოველივე ზემოაღნიშნული, გარდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისა, ასევე მჭიდრო კავშირშია სსკ-ის მე-8 მუხლით განმტკიცებული კეთილსინდისიერების პრინციპის უგულებელყოფასთან, რაც, თავის მხრივ, სადაზღვევო კომპანიას ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან ათავისუფლებდა. რაც შეეხება მოთხოვნის ხანდაზმულობას, მონინააღმდეგე მხარემ (თავდაპირველი მოპასუხე) წარმატებით დაადასტურა, რომ აპელანტი საწარმოს მოთხოვნები სსკ-ის 128-ე, 130-ე და 131-ე მუხლების თანახმად, ხანდაზმული იყო, აღნიშნული გარემოების გამაბათილებელი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებას კანონი აპელანტი მხარეს აკისრებდა, თუმცა მან სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულება და ვერც დასაბუთებული შედავება, რაც მოთხოვნის ხანდაზმულობას გამორიცხავდა.

5. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

5.1. მოსარჩელე (აპელანტმა) საწარმომ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5.2. კასატორის პრეტენზიით საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების არასწორად აღქმითა და ინტერპრეტაციით სხვა სამართლებრივი შედეგი დადგა. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება ის არის, რომ დაზღვეული არ ყოფილა „პროექტი“, როგორც ამას სასამართლო მიუთითებს, არამედ დაზღვეული იყო „სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები“. აღნიშნულის გარკვევა ასეთი მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ „პროექტი“ გამორიცხავს მის გადაკეთებას შემდგომში, როგორც დაზღვევის ობიექტის, არამედ იმიტომ, რომ სასამართლომ სწორად განსაზღვროს, თუ ვინ რა კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებდა თავიდანვე – სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების დროს და შემდგომ – სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს. სასამართლოს მთავარი არგუმენტია, რომ დაზღვეული იყო პროექტი და რომ პროექტის გადაკეთება არ ექვემდებარება ანაზღაურებას. მიუხედავად იმისა, რომ სადავო არაა, რომ კასატორს არ შეუდგენია სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების პროექტი, სასამართლომ მაინც ის მოსაზრება განავითარა, რომ პროექტი თავიდანვე ხარვეზიანი იყო. საპროექტო სამუშაოები არ იყო კასატორი საწარმოს მიერ წარმოებული, ეს იცოდა სადაზღვევო კომპანიამ და სასამართლოს არსობრივად უნდა შეეფასებინა ეს და არა მხოლოდ ინფორმაციულად. კასატორის მტკიცებით, ის არ აწარმოებდა საპროექტო სამუშაოებს და შესაბამისად არ მომხდარა საპროექტო სამუშაოების ან პროექტის დაზღვევა. მოხდა „სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების“ დაზღვევა და ამაში ძალიან დიდი განსხვავებაა. სადაზღვევო კომპანიამ თავიდანვე იცოდა დაზღვევის რისკები და თუ პროექტი არ ვარგოდა, საერთოდ რატომ აზღვევდა;

5.3. სასამართლო მსჯელობს, რომ კასატორმა თავიდანვე იცოდა, რომ არსებობდა მეწყერსაშიში ზონა და თურმე ამიტომაც უნდა ემოქმედა სხვა „უფრო სწორი პროექტით“, რაც ცოტა არაკომპეტენტური მსჯელობაა. სასამართლო თვითონვე უთითებს, რომ კასატორმა საწარმომ გაიმარჯვა ტენდერში, სადაც პროექტი უკვე დახვდა სხვისი გაკეთებული და მისი კომპეტენცია მხოლოდ პროექტის შესრულებაში მდგომარეობდა, დაზღვევა კი სწორედ იმიტომ არსებობს, რომ კასატორს გასაკეთებელი სამუშაოების რისკები დაეზღვია. კასატორმა შეასრულა პროექტით გათვალისწინებული სამუშაო, როგორც შემსრულებელმა და მას არ აქვს ვალდებულება, რევიზია შეიტანოს პროექტში. მოხდა მეწყრული მოვლენები, რომელიც მანამდე არ მომხდარა, რა მნიშვნე-

ლობა აქვს ნალექების გამო მოხდა თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს ყოველ ხუთთვეში მოდიოდა მანამდე ეს ნალექი თუ არა. შემსრულებელმა საწარმომ დააზღვია მენყერზე თავისი სამუშაოები. სასამართლოსთვის მთავარი სწორედ ეს უნდა იყოს და „მენყერი“ წარმოადგენდა რისკს, რაც ცნობილი იყო სადაზღვევო კომპანიისთვის. სადაზღვევო კომპანია არ აზღვევს მომეტებულ რისკებს? აზღვევს და დააზღვია კიდეც; არასწორი პროექტი რომ იყო, იმიტომ მოხდა მენყერი, თუ არასწორი პროექტი რომ იყო იმიტომ მიიღო კასატორმა ზიანი?! მთავარი სწორედ ის არის, რომ მენყერი სადავო არ არის მხარეებისთვის, მენყერს მოჰყვა მთელი რიგი პროცესები, რომლის შესაჩერებლად საჭირო გახდა ახალი მონყობილობების გამოყენება, რომელმაც დამატებითი სამუშაოების განხორციელება მოითხოვა, რათა ზიანი არ გაზრდილიყო და შეჩერებულიყო ის მოვლენები, რაც მენყერულმა პროცესებმა გამოიწვია. შემდეგ მოხდა გაბიონების და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რაც თავდაპირველ სამუშაოებში არ იყო გაწერილი, მაგრამ ეს უკიდურესი აუცილებლობით იყო გამოწვეული და არა ვინმეს არაკომპეტენტურობით ან ბრალით. იმ სამუშაოებმა, რაც კასატორს დაზღვეული ჰქონდა, ზიანი განიცადა და ექვემდებარება სადაზღვეო ანაზღაურებას;

5.4. სასამართლოს მორიგი წინააღმდეგობრივი მსჯელობა იმას ეხება, რომ კასატორმა საწარმომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შეტყობინება მხოლოდ ერთი მონაკვეთიდან (ლოკაციაზე) განახორციელა და აღნიშნული შეტყობინება, არ მოიცავს მთლიან 57-65 კმ-ებს, რადგანაც სადაზღვევო ხელშეკრულებით ყველა მონაკვეთს ცალ-ცალკე შეტყობინება ესაჭიროება. კასატორი ეთანხმება სასამართლოს ამ ნორმის განმარტებაში, რომ ყველა მონაკვეთს ცალ-ცალკე შეტყობინება სჭირდება, მაგრამ არ ეთანხმება ხელშეკრულების იმ ნორმის გამოყენებლობაში, სადაც ცალსახად არის დაფიქსირებული სხვადასხვა „მონაკვეთები“, ესენია სასამართლოს მიერვე მითითებული მე-8 მუხლში: „ფ-გ“, „გ-ნ“, „ნ-ს“. სწორედ ეს სამი მონაკვეთი არის ხელშეკრულებით განსაზღვრული და სხვა რაიმე დაყოფა თითოეული მონაკვეთის შიგნით არის მხოლოდ მხარის სურვილი და პოზიცია. კასატორის მტკიცებით პირველი შეტყობინება მოიცავს მთელ მონაკვეთს, რაც ხელშეკრულებით სახელდება გ.-ნ-ის ლოკაცია; გაუგებარია, სასამართლოს პოზიცია მ. დ-ის დასკვნასთან დაკავშირებით, რომელიც არაკომპეტენტურია და არაკვალიფიციური, რადგანაც მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ დადგინდა ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და სხვა დოკუმენტების შესაბამისობა მის ექსპერტობასთან. სასამართლომ უპასუხოდ დატოვა ექსპერტის კომპეტენტურობა, თუმცა იშველიებს მის დასკვნებს, არადა ექსპერტი იმავე

დროულად დაინტერესებული მხარის – გადამზღვეველის ინტერესებს წარმოადგენს;

5.5. ასევე სადავო თემა და პრაქტიკისგან განსხვავდება სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის ნორმების შეფარდება და მისი გამოყენების საკითხები. სასამართლო იყენებს სსკ-ის 130-ე მუხლს, როდესაც რეალურად უნდა გამოიყენოს სსკ-ის 131-ე მუხლი. მართალია, სასამართლო ვითომ 131-ე მუხლითაც მსჯელობს, მაგრამ ეს მხოლოდ დამატებითი არგუმენტია და არა – ძირითადი. ამასთან, სსკ-ის 131-ე მუხლზე დაყრდნობისას არ განიხილავს იმ მტკიცებულებებს, რომელიც სადაზღვევო კომპანიისგან არის გამოგზავნილი და მხარეს ეგონა, რომ ეს მიმოწერა საქმის მშვიდობიანი მოგვარების და პრობლემის მოგვარებისკენ არის მიმართული. სანამ მხარეებს შორის არის სამართლებრივი მიმოწერა ვალდებულების შესრულება-არშესრულების მოთხოვნით, სანამ მხარეებმა არ ამოწურეს სამართლებრივი მოლაპარაკებები, მანამდე არ შეიძლება ხანდაზმულობის ათვლის დაწყება; რამეთუ პირველი ვალდებულება სასამართლოს გარეშე მორიგებაა და უფლების დარღვევის აღქმაც მაშინ იწყება, როცა მხარე ათვითცნობიერებს, რომ მოლაპარაკებებმა აზრი დაკარგა და მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით უნდა მოხდეს მოთხოვნის დაკმაყოფილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოთხოვნის ხანდაზმულობას სწორედ სასამართლოსთან მიმართებით განსაზღვრავს, თორემ მხარეებს კეთილი ნება რომ ჰქონდეთ, სასამართლოს გარეშეც დააკმაყოფილებდნენ ერთმანეთს. „უფლების დარღვევის“ შესახებ ათვლის წერტილი სწორედ იმ კრიტიკულ ათვლის წერტილს ჰქვია, საიდანაც მხარეს სასამართლოში (ანუ დავის შემთხვევაში თავისი უფლების დაცვა) სარჩელის აღძვრის უფლება ეძლევა;

5.6. კასატორს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი პასუხობს სსკ-ის 319-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს „საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“. კერძოდ, საქმე ეხება სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს, სადაზღვევო შემთხვევას, ზუსტად განსაზღვრულ სადაზღვევო რისკს, შეტყობინების ვალდებულებას, სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობას ხელშეკრულების ტერმინების ერთგვაროვან აღქმაზე, მისი შესრულების მიმდინარეობისას. არის თუ არა აღნიშნული სამუშაოების შედეგად უკიდურესი აუცილებლობა გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევიდან თუ „პროექტის გაუმჯობესებიდან“, და ზოგადად დამზღვევის და დაზღვეულის უფლებამოსილებების გამიჯვნის, რაც სასამართლო პრაქტიკით არ არის მოწესრიგებული და რეალურად თუ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე უპირობოდ არის ხელშეკრულების ნორმები სადაზღვევო

კომპანიის მიერ ინტერპრეტირებული და მიღებული. დამზღვევს – სტანდარტული პირობების შემდგენს, სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე არ უნდა ჰქონდეს ტერმინების, სადაზღვევო შემთხვევის, მისი ეტაპებად უაპელაციოდ დაყოფის და ანალოგიური მოთხოვნების ფართოდ ინტერპრეტაციის საშუალება. მთავარი გაუგებრობა ფაქტობრივი გარემოების დადგენისა ამ ტერმინების სწორ შეფასებაშია. კერძოდ, სასამართლო სრულად იზიარებს მოპასუხის პოზიციას, რომ ეს იყო გაუმჯობესება პროექტის ანუ პროექტის გადაკეთება, რაც არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას. კასატორი კი იმთავითვე ამტკიცებდა, რომ ეს სტიქიური მოვლენა, რომელიც მოხდა, წინასწარ გაუთვლელია და იმიტომაც არის რისკის მატარებელი და დაზღვეული, რომ მისი წინასწარ ვარაუდი შეუძლებელია. სტიქიური მოვლენების დაზღვევა ნიშნავს მენყერის, ღვარცოფის, მიწისძვრის და ა.შ. მოვლენების დაზღვევას. თუ ვაზღვევთ ამ მოვლენებს გამოდის, რომ ყველა შემთხვევაში ხარჯი გაიზრდება, ანუ პროექტი შეიცვლება (თუ სასამართლის მსჯელობას გავყევით). მაშინ გამოდის, რომ ამ პირობებით დაზღვევა ფიქციაა, ანუ მსჯელობა, რომ რადგან ხარჯი გაიზარდა, ეს ნიშნავს პროექტის გადაკეთებას მცდარია, მაშინ ნებისმიერი ძლიერი სტიქიის დროს, რომელსაც მოჰყვა ნგრევა – დაზიანება, საჭიროა არა მარტო აღდგენითი, არამედ ახალი დამცავი საშუალებები. ამავე დროს მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სტიქიის შემდეგ საჭიროა სასწრაფოდ ჩატარდეს სარეაბილიტაციო-გამაგრებითი სამუშაოები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უფრო მეტი ზიანი. სასამართლო საერთოდ არ მსჯელობს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ მიღებული პირველი წერილის (შეტყობინება მენყერზე) შემდეგ 2010 წლის 13 მაისის, რეაგირებას აკეთებს 4 თვის მერე, როცა მოვლენა უკვე აღმოფხვრილია და სამუშაოები შესრულებული;

5.7. სასამართლო, ერთი მხრივ, ადასტურებს, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა 58+800 კმ. შეტყობინება მოხდა დროულად, მაგრამ რატომღაც აღნიშნულს არ მიაკუთვნებს დავის საგნის 57-64 კილომეტრებს, არადა სწორედ ამ მონაკვეთში მოხდა პირველი შეტყობინება, რომელიც მოიცავს სწორედ მთლიანი მონაკვეთის ნაწილს. სხვა დანარჩენი მონაკვეთები სასამართლო პროცესის დროს კასატორმა მოხსნა, როგორც დავის საგანი. სასამართლო მონაკვეთებს მოპასუხის არგუმენტებით ასაბუთებს, რაც არ შეესაბამება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს. ხელშეკრულების მიხედვით არის სამი ლოკაცია ანუ სამი მონაკვეთი: ფ-გ; გ-ნ და ნ-სა. სწორედ ამ სამი მონაკვეთისგან შედგებოდა სამშენებლო სამუშაოები და თითოეული ლოკაციის კიდე დაყოფა ეწინააღმდეგება მხარეთა შორის ხელშეკრულებას და სასამართლო ვერც უთითებს, თუ რომელი ნორმის მიხედვით იყო კასატორი

ვალდებული, სხვანაირად დაეყო ლოკაციები;

5.8. სააპელაციო სასამართლო არასწორად აფასებს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, საიდანაც გამოჰყავს მოთხოვნა ხანდაზმულად. სასამართლო მსჯელობს მხოლოდ მოპასუხის ერთი წერილით, კერძოდ 2010 წლის 20 მაისის წერილით, სადაც სადაზღვევო კომპანია მოსარჩელეს უარს ეუბნება ანაზღაურებაზე და მოთხოვნის ხანდაზმულობის ათვლის წერტილს აქედან იღებს, ამყარებს რა თავის არგუმენტს იმაზე, რომ მხარემ გაიგო, რომ ვალდებულება არ სრულდებაო. მაგრამ საქმეში არსებობს სხვა წერილებიც, ანუ მინერ-მონერა მხარეებს შორის, რომლითაც დგინდება, რომ სადაზღვევო კომპანია ითხოვს დოკუმენტებს და დასაბუთებას, რომ ანაზღაუროს ზიანი, ანუ სახეზე არ გვაქვს კონტრაჰენტის მიერ ვალდებულებაზე უარის თქმა, პირიქით ეს არის საქმიანი მიმონერა კონფლიქტის, დავის, სასამართლოს გარეშე მოგვარებისა. ბოლო წერილები, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ არის მითითებული გასაჩივრებული განჩინების 3.1.6. პუნქტში, სასამართლოვე აღიარებს, რომ 2012 წლის 27 მარტს მოსარჩელის წერილზე სადაზღვევო კომპანიას გაუგზავნა პასუხი ორ ნაწილად, რომლებიდანაც ირკვევა, რომ მოპასუხემ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მოითხოვა განეულ ხაჯვებთან დაკავშირებით. აღნიშნული მიუთითებს, რომ მხარეები ცდილობენ ეს საქმე მოაგვარონ (სარჩელი აღძრულია 2015 წლის 13 მარტს). უფრო მეტიც, საქმის სასამართლო განხილვის დროს მოპასუხის წარმომადგენელი არ უარყოფდა მინის სამუშაოების ანაზღაურებას, თუ, შესაბამისად, მოსარჩელე დაამტკიცებდა რა მონაკვეთებზე, რა მინის სამუშაოები შეასრულა, საუბარი იყო დაახლოებით 200 000 აშშ დოლარის ანაზღაურებაზე, ანუ საქმის სასამართლოში განხილვის დროსაც მოპასუხეს არ უთქვამს უარი ვალდებულების შესრულებაზე და გაუგებარია როგორ დაასკვნა სააპელაციო სასამართლომ, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია.

6. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოსარჩელე სანარმოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითი განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

7. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში,

ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

8. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოიწვია მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში; მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.). კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

9. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირისაკენ მიმართული უფლებათა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა, საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

10. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და მათი აღრევა არიდებული უნდა იქნეს. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ბოლინგი /ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

11. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლო-სათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

12. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლე-

ბის ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედავებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესო სამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

13. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორცაც ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განა-

ნილებზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება (შეად. სუსგ-ებს: №ას-475-2019, 15.04.2021წ; №ას-1065-2020, 08.04.2021წ; №ას-338-2019, 22.03.2021წ.).

14. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

15. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონიშნულმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

16. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითე-

ბის ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომელითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დაამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბილინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64).

18. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადანწყვეტილება, რაც

არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს შეფასების საგანია წარმოეშვა თუ არა სადაზღვევო კომპანიას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და როდის დაიწყო მოთხოვნის წარდგენის ვადის ათვლა.

20. საკასაციო სასამართლო უპირველესად იმ გარემოებაზე გაამახვილებს ყურადღებას, რომ მოპასუხე სადაზღვევო კომპანიას პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი ჰქონდა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი – ხანდაზმულობის შესაგებელი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როდესაც მოპასუხე ასეთი სახის შესაგებელს წარადგენს, სასამართლო იწყებს კვლევას, თუ როდის წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, რათა შესაბამისად ათვალოს ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის შესაგებელი წარუმატებლად აქცევს სარჩელს, მიუხედავად იმისა მოთხოვნა საფუძვლიანია თუ არა.

21. სასარჩელო მოთხოვნის ინდივიდუალიზაციის შემდეგ სასამართლო შეუდგება შესაგებლის შესწავლას, რომელიც თავისი შინაარსით შეიძლება იყოს მოთხოვნის გამომრიცხველი, შემაფერხებელი ან შემწყვეტი. შესაგებელი, რომელშიც მითითებულია ხანდაზმულობაზე, სასარჩელო მოთხოვნის წარმატებით განხორციელების შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს. იგი გულისხმობს მითითებას იმგვარ ვითარებაზე, როცა გასულია რა მოთხოვნის განხორციელების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, კრედიტორს აღარ შეუძლია იძულებით, სასამართლოს მეშვეობით, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, თუკი მოვალე შესაგებელში სასარჩელო ხანდაზმულობაზე მიუთითებს და ამგვარად შეეცდება მოთხოვნის სასამართლო წესით რეალიზების შეფერხებას. საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ მითითება ხანდაზმულობაზე, როგორც მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ გარემოებაზე, პროცესუალურად მთლიანად მოპასუხის კუთვნილ შესაგებელს წარმოადგენს. რაც შეეხება ხანდაზმულობის შეჩერებისა და შეწყვეტის წინაპირობებს, მისი შესწავლა, შესაბამისი შედავების არარსებობის პირობებშიც კი, სასამართლოს ვალდებულებაა (იხ. სუსგ საქმე №ას-1764-2018, 13 აპრილი, 2020 წელი).

22. სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა; ხოლო 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნ-

ნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

23. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა მოწესრიგებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე. სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. ნორმის აღწერილობითი ნაწილის მითითება – როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო, არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ გარემოების შეტყობა რაიმე განსაკუთრებულ ფაქტს ან მოვლენას უნდა უკავშირდებოდეს. კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი, პრაქტიკულად, ერთმანეთის თანხვედრია და ორიენტირებულია კრედიტორის ობიექტურ აღქმაზე ვალდებულების დარღვევის მიმართ. ამასთანავე, მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორზე – „უნდა შეეტყო“, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაყრდნობა, თუ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტური ფაქტორის განსაზღვრა.

24. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას (იხ. ამ განჩინების 4.12 და 4.14 ქვეპუნქტები), რომ განსახილველ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა 2011 წლის 20 მაისიდან დაიწყო და 3 წელში, 2014 წლის 20 მაისს ამოიწურა, სარჩელი კი 2015 წლის 13 მარტსაა წარდგენილი. მოპასუხემ მოსარჩელეს 2010 წლის 10 სექტემბერს წერილი მისწერა და მოსთხოვა, მისთვის წარედგინა დოკუმენტები, რომლებიც სადაზღვევო კომპანიას ნალექით გამოწვეული მენყერის გამო სადაზღვევო შემთხვევად კვალიფიკაციის შესაძლებლობას მისცემდა. სანარმოც ეს წერილი რეაგირების გარეშე დატოვა, საბოლოოდ კი 2011 წლის 6 მაისს გარკვეული ინფორმაცია მიაწოდა სადაზღვევო კომპანიას და ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვა, რისთვისაც ვადა 2011 წლის 20 მაისამდე განუსაზღვრა. სწორედ ამ ვადას მიიჩნევს საკასაციო სასამართლო ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად, რადგან მხარეთა შორის დოკუმენტების ურთიერთგაცვლა მიმდინარეობდა და მოსარჩელემ თავადვე განსაზღვრა ვადა, თუ როდემდე ელოდა სადაზღვევო კომპანიისაგან ვალდებულების შესრულებას. საკასაციო სასამართლო უარყოფს კასატორის პრეტენზიას, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა 2012 წლის 27 მარტს უნდა დაიწყოს, რადგან სანარმოც ამ დღეს კვლავ მიმართა სადაზღვევო კომპანიას ვალდებულების

შესრულების მოთხოვნით. ის ფაქტი, რომ საწარმო სასამართლოსადმი მიმართვამდე თავად ცდილობდა მოპასუხესთან მოლაპარაკების გზით მოეგვარებინა დავა, მოთხოვნის წარმოშობის თარიღს ვერ შეცვლის, რადგან კანონმდებელმა ნათლად განსაზღვრა, რომ ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულიააა მონესრიგებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე.

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლის წარდგენისას, მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში მითითებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე, ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა, უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი).

26. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ უფლების წარმოშობა, ისევე როგორც მისი შეწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრულ დროსთან. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა უფლების სუბიექტს უდგენს მისი დარღვეული უფლების სასამართლოს გზით განხორციელების ვადას. სასარჩელო ხანდაზმულობა იმ სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია, რომ კონკრეტულ ურთიერთობას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა პირდაპირ გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე (იხ. დამატებით: თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვ. 133; ბესარიონ ზოიძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2003 წ. გვ. 110.).

27. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა, ანუ კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ამ ვადის გასვლა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას.

28. ზემოთ ჩამოთვლილი კანონიერი მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. გადაწყვეტილებაში საქმეზე „სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“,

სასამართლო განმარტავს: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (პ.51). (Stubbings and Others v The United Kingdom, განაცხადის ნომერი №22083/93; №220095/93, 22 ოქტომბერი, 1996).

29. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი წარმოადგენს უფლების დაცვის მატერიალურ-სამართლებრივ საშუალებას, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს, თუმცა სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი განხორციელება კონკრეტული წინაპირობის არსებობისას, არ ხდება.

30. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების შედეგად წარმოშობილი საწინააღმდეგო უფლება მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობით შესაგებელია, რომელიც მოთხოვნის განხორციელებას ხანგრძლივად ან დროებით აფერხებს. „მოთხოვნის ხანდაზმულობის მიზანია მოვალის დაცვა იმ პროცესის ნაწილად გახდომისაგან, რომელშიც პოზიციის დაცვა რთული ან შეუძლებელია მოთხოვნის სიძველის გამო“ (შდრ: სუსგ №ას-898-860-2014, 09.10.2015 წ.).

31. მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების შემოწმება მიმდინარეობს მოპასუხის შედავების შემოწმების ეტაპზე. ამ ტიპის შედავების წარდგენის დროს მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაუღერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა, უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი) (იხ. დამატებით:

ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, გვ.170; მოსამართლის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, შტიფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, GIZ, 2013, გვ.20).

32. ვინაიდან სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას მხოლოდ მოპასუხის მითითების საფუძველზე იკვლევს, მოთხოვნის ვადაში წარდგენა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. „თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენა“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წელი, გვერდი 64.).

33. სსკ-ის 799-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შესარულოს სხვა შეპირებული მოქმედება. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, ხოლო ის, თუ რა შეიძლება იყოს დაზღვევის ობიექტი, მოცემულია სსკ-ის 820-ე-858-ე მუხლებში, კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს პიროვნება ან ქონება. აქედან გამომდინარე, დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია.

34. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, სსკ-ის 799-ე მუხლის თანახმად, მზღვეველმა სადაზღვევო შემთხვევის დროს დამზღვევის მიმართ საკუთარი ვალდებულებების განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელოს სადაზღვევო ხელშეკრულების დებულებებით.

35. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ წინამდებარე დავის გადანყვეტისთვის მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს სადაზღვევო შემთხვევა და სადაზღვევო რისკი. სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს. რისკი შეიძლება იყოს წინას-

წარ განჭვრეტადი, მაგრამ მისი რეალიზაციის (სადაზღვევო შემთხვევის დადგომის) ალბათობა უნდა იყოს განუჭვრეტელი და თავისუფალი მხარეთა შესაძლო გავლენისაგან. რისკი რომ სადაზღვევოდ ჩაითვალოს (დაზღვევადი რისკი), ის გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. რისკი არ უნდა იყოს იმ ხარისხით წინასწარ განუჭვრეტელი, რომ შეუძლებელი გახდეს მისი შეფასება სადაზღვევო კომპანიის მიერ (იხ. <http://www.gccc.ge/>, სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის კომენტარი, გვ. 6).

36. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად, დაზღვევს ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების არსებობისა და სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის მტკიცების ვალდებულება.

37. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ მოპასუხის წინააღმდეგ სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულობაც ვერ დაასაბუთა. მან ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი, რომ ზიანი, რომელიც მას უზვი ნალექის გამო მიადგა სადაზღვევო შემთხვევით იყო გამომწვეული და სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარებოდა.

38. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ კასატორი სანარმოსთვის სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთზე მენყერული ზონის არსებობის თაობაზე სამუშაოების დაწყებამდე იყო ცნობილი. ის გარემოება, რომ სადავო გზის მონაკვეთებზე გაბიონებისა და ღრმა სადრენაჟო ფილტრების გაკეთება საპროექტო სამუშაოებით არ იყო გათვალისწინებული, დასტურდება როგორც პროექტის ხარჯთაღრიცხვით, ასევე კასატორი სანარმოსა და მისი კონტრაქტორი შპს „ფ-ის“ 2010 წლით დათარიღებული წერილებით, რომლითაც მოსარჩელე შპს „ფ-ს“ დამატებითი სამუშაოების დამტკიცებას სთხოვს, რომელთა ჩამონათვალში სადავო ლოკაციებზე გაბიონებისა და ღრმა სადრენაჟო ფილტრების დაყენებაც იყო გათვალისწინებული. ასევე, საქ. გზა მეცნიერების 2016 წლის №60 წერილში მითითებულია, რომ შესაბამისი სპეციალისტების დასკვნით, გზის რეაბილიტაციის პროექტში, სადაზღვევო კომპანიის მიერ მითითებულ პიკეტებზე, როგორც გაბიონების მოწყობის ცხრილში, ასევე, გზის გეგმის განივ პროფილებზე, გაბიონები გათვალისწინებული არ ყოფილა.

39. მართალია, ხსენებული მტკიცებულებით დგინდება, რომ ნალექის გამო შემსრულებელს დამატებითი ქმედებების განხორციელება მოუწია, თუმცა, არ დასტურდება ის გარემოება, რომ სამუშაოების დაწყებამდე, შემსრულებელი კომპანიისთვის უცნობი იყო ანდა არ შეიძლება ცნობილი ყოფილიყო აღნიშნული რისკების დადგომისა და სათა-

ნადო სამუშაოების განხორციელების საჭიროების თაობაზე. შესაბამისად, დგინდება, რომ აღნიშნული გარემოებით (ნალექით გამოწვეული მენყერით) განპირობებული დამატებითი ხარჯების გაუთვალისწინებლობა პროექტის დეფექტს წარმოადგენდა, რაც აღნიშნული შემთხვევის სადაზღვევო რისკად კვალიფიკაციის შესაძლებლობას გამორიცხავდა, მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან დგინდება, რომ დამდგარი ზიანი წინასწარ მოულოდნელი და სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის უცნობი მოვლენებით არ იყო გამოწვეული, რაც, თავის მხრივ, მოსარჩელე (კასატორი) საწარმოს სასარგებლოდ სადაზღვევო კომპანიის ანაზღაურების ვალდებულებას გამორიცხავს.

40. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საკასაციო მოთხოვნის არსებითი განხილვის შედეგად ვერ დადგინდა ის გარემოება, რაც გასაჩივრებული განჩინების შეცვლას გამოიწვევდა.

41. სსსკ-ის 55-ე მუხლის მიხედვით კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში, რადგან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ა. ი-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სადაზღვევო შემთხვევის დადგომით
გამოწვეული ზიანის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ას-331-2024

28 ივნისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემაღვენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ს.გ.ნ.კ-იამ“ (შემდგომ – დამზღვევი, მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს.კ.ე.ჯ-ის“ (შემდგომ – მზღვეველი, სადაზღვევო კომპანია, მოპასუხე, აპელანტი) მიმართ 19 585.80 ლარისა და ექსპერტიზის ხარჯის – 389 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები

2. მხარეებს შორის, 2019 წლის 17 მაისს დადებული სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ CT-051703 ხელშეკრულებით მოსარჩელის ბალანსზე არსებული ავტომანქანა, სახ. ნომრით ..., დაიზღვა. 2019 წლის 19 ივნისს, უფლებამოსილი პირი, კ. ჩ-ძე (შემდგომ – მძღოლი), ფხიზელი, დასაშვები სიჩქარით მართავდა დაზღვეულ ავტომანქანას, როდესაც მძღოლის მარტივი გაუფრთხილებლობით წარმოიშვა ავტოსაგზაო შემთხვევა, კერძოდ, გვერდით მოძრაობდა დიდი სატვირთო ავტომობილი, რომელიც მკვეთრად მანევრირებდა და მასთან შეჯახების თავიდან აცილების მიზნით, მძღოლმა შეცვალა მიმართულება, თუმცა დროულად ვერ შენიშნა მის წინ გაჩერებული ავტომობილი MITSUBISHI DELICA, სახ. ნომრით ... და დაეჯახა. მოსარჩელემ ამ უკანასკნელი ავტომობილის მძღოლს აუნაზღაურა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი.

3. 2019 წლის 24 ივნისს, მოსარჩელემ მოპასუხეს მიმართა დაზღვეულ ავტომობილზე ავტოსაგზაო შემთხვევიდან გამომდინარე სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე. მოპასუხემ უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე.

მოპასუხის შესაგებელი

4. მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებელით სარჩელი არ ცნო და განმარტა, ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული იყო მოსარჩელის ავტომანქანის მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა. ამდენად, მზღვეველი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა 19 585,80 ლარის, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახ. ბაჟის – 587,58 ლარისა და ექსპერტიზის ხარჯის – 389 ლარის გადახდა.

6. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს დაეკისრა მოპასუხის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 784 ლარის, ამ უკანასკნელისათვის ანაზღაურება.

8. პალატის მითითებით, მხარეთა შორის სადავო არ არის გარემოება, რომ უფლებამოსილი მძღოლი მოძრაობდა ინტენსიური მოძრაობის მაგისტრალზე, როდესაც უკნიდან დაეჯახა გაჩერებულ ავტომანქანას, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, გადაადგილდა და დაეჯახა მის წინ მდგომ სხვა ავტომანქანას. დადგენილია, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალეულ პირად მიჩნეულ იქნა დაზღვეული ავტომანქანის მძღოლი, რაც ამ უკანასკნელს სადავოდ არ გაუხდია. საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ლი („მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა ამ კანონით განსაზღვრული სიჩქარის შეზღუდვის გადაჭარბებით. შერჩეული სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს, მუდმივად აკონტროლოს სატრანსპორტო საშუალება ისე, რომ დაცულ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება“) და მე-11 პუნქტების („იმ სატრანსპორტო საშუა-

ლების მძლოლმა, რომელიც მიჰყვება სხვა სატრანსპორტო საშუალებას, უნდა დაიცვას სათანადო დისტანცია, რათა თავიდან აიცილოს შეჯახება მის წინ მიმავალი სატრანსპორტო საშუალების მოულოდნელად დამუხრუჭების ან გაჩერების შემთხვევაში. მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია აგრეთვე გვერდითი ინტერვალის დაცვა“) მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა არ იარსებებდა.

9. წარმოდგენილი სარჩელი არსებითად ემყარება იმ გარემოებას, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის წინაპირობა შექმნა დაზღვეული ავტომობილის გვერდით მკვეთრად მოძრავმა დიდმა სატვირთო ავტომობილმა, ხოლო მძლოლმა მასთან შეჯახების თავიდან აცილების მიზნით შეცვალა მიმართულება, თუმცა დროულად ვერ შენიშნა მის წინ გაჩერებული ავტომობილი და შეეჯახა. პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული გარემოება მძლოლის ბრალეულობის მარტივ გაუფრთხილებლობად კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა, რისი მტკიცების ტვირთიც მოსარჩელე მხარეს აწევს. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად, მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა საპატრულო პოლიციის სამხრე კამერის ჩანაწერებზე მიუთითა. სააპელაციო პალატამ გამოიკვლია პოლიციელის სამხრე კამერის ჩანაწერი და დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნულ ჩანაწერში დიდი სატვირთო ავტომობილის არსებობის შესახებ განმარტა მხოლოდ თავად მძლოლმა, რომელიც საქმის შედეგით დაინტერესებულ მხარეს (მოსარჩელის თანამშრომელს) წარმოადგენს. შესაბამისად, მისი ახსნა-განმარტება ვერ გამოდგებოდა სადავო გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის საკმარის საფუძვლად. სხვა რაიმე მტკიცებულება კი, მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატის განსჯით, მოსარჩელემ ვერ წარადგინა სათანადო და განკუთვნილი მტკიცებულებები საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მძლოლის წინ მდგარი ავტომობილისათვის უკნიდან შეჯახება გამონეუული იყო გვერდზე მოძრავი დიდი სატვირთო ავტომობილის მკვეთრი მანევრით, როდესაც მძლოლმა მასთან შეჯახების თავიდან აცილების მიზნით, შეცვალა მიმართულება, თუმცა დროულად ვერ შენიშნა მის წინ გაჩერებული ავტომობილი და შეეჯახა. შესაბამისად, პალატამ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ მძლოლი მოძრაობდა რა ინტენსიური მოძრაობის ზოლში, უჩვეულოდ მაღალი ხარისხით დაარღვია სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ყურადღებრიანობის მოთხოვნები და უკნიდან შეეჯახა გაჩერებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას (რომელიც, თავის მხრივ, ინერციით შეეჯახა მის წინ მდგომ სხვა ავტომანქანას), რაც

ვერ შეფასდებოდა მარტივ გაუფრთხილებლობად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მოპასუხის უარი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე საფუძვლიანად მიიჩნია, ვინაიდან მოსარჩელე კომპანიის უფლებამოსილი მძღოლი ავტოსაგზაო შემთხვევისას მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით, რაც მზღვეველს ანიჭებდა უფლებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ის) 829-ე მუხლის საფუძველზე, უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

11. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ პრაქტიკას, როგორც უხეში გაუფრთხილებლობის განმარტების, ისე მტკიცების ტვირთის განაწილების კუთხით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, უხეში გაუფრთხილებლობა მარტივი გაუფრთხილებლობისგან გამიჯნულია და განმარტებულია, რომ მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, ასევე, როდესაც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ არ არის იმ ხარისხის ბრალეულობა, რაც მის უხეშ გაუფრთხილებლობად მიჩნევის საფუძველს ქმნის. ქართველი კანონმდებელი, მსგავსად გერმანელი და შვეიცარიელი კანონმდებლისა, მარტივ გაუფრთხილებლობას არ მიიჩნევს სსკ-ის 829-ე მუხლის გამოყენების, ე.ი მზღვეველის სადაზღვევო ანაზღაურებისაგან განთავისუფლების საფუძველად.

13. მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება არცერთი ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, დაედგინა მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა. სასამართლო საქმის განხილვის დროს არაერთხელ აპელირებდა იმაზე, რომ ბრალის თეორიის მიხედვით, უკნიდან შეჯახება წარმოადგენდა ბრალეულ დარღვევას (რაც, ფაქტობრივად, სადავო არც იყო, სადავო იყო ბრალის ხარისხი და არა მისი არსებობა/არარსებობა). შესაბამისად, ფაქტობრივად აცხადებდა იმას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში უკნიდან შეჯახება იყო აუცილებლად უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება (რასაც დააყრდნო კიდევ გადაწყვეტილება), რომელიც არ შეესაბამება საკასაციო სასამართლოს განმარტებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილი (დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა, გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება), ამავე კოდექსის 820-ე (ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით) და 821-ე მზღვეველი ზიანს ანაზღაურებს მხოლოდ სადაზღვევო თანხის ფარგლებში) მუხლები.

17. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებულია დაზღვევის ხელშეკრულება; დამზღვევის მიერ შესრულებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკით სადაზღვევო პრემიის გადახდის თაობაზე ვალდებულება; სადაზღვევო შემთხვევით დაზიანდა დაზღვეული ავტომანქანა.

18. მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარს აცხადებს იმ საფუძველით, რომ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით.

19. სსკ-ის 829-ე მუხლის თანახმად, მზღვეველი თავისუფლდება საკუთარი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფ-

რთხილებლობით. ამდენად, განსახილველ დავაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, მართებულად შეფასდეს მძღოლის ბრალეულობა, კერძოდ, მისი მხრიდან ვლინდებოდა უხეში გაუფრთხილებლობა თუ მართივი გაუფრთხილებლობისთვის დამახასიათებელი ნიშნები. აღნიშნული განაპირობებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის *causa proxima*-ს არსებობა დამზღვევმა უნდა ამტკიცოს, მზღვეველმა კი უნდა დაასაბუთოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი კანონის ან ხელშეკრულების გამონაკლისია და მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო დაფარვა (იხ.: სუსგ №ას-1479-2019, 21.01.2020წ.; №ას-1091-2022, 23.02.2023წ.; №ას-1198-2023, 10.01.2024წ.).

20. სამოქალაქო კანონმდებლობა არ ქმნის უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალურ დეფინიციას. ამდენად, მისი არსებობა უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად. მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით (იხ.: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.; №ას-865-2023, 29.09.2023წ.; №ას-422-2023, 9.11.2023წ.). უხეში გაუფრთხილებლობა გულისხმობს აუცილებელი წინდახედულობის ნორმების განსაკუთრებით მძიმე დარღვევას (იხ.: სუსგ №ას-654-2019, 26.06.2020წ.; №ას-499-2023, 7.06.2023წ.). გამორიცხვის მეთოდით, მართივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზეზოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, ქარაფშუტულად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანხვედნილი მიმართულებით წინ მოძრაობა ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე, სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის დაუთმობლობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე ან არაფხიზელი მყოფი მესამე პირისათვის და ა.შ. (იხ.: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.; №ას-1091-2022, 23.02.2023წ.). ამდენად, დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევები ვიწროდ უნდა განმარტოს, იმგვარად, რომ მზღვეველთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება არ ნახალისდეს და ამით საფრთხე არ დაემუქროს სამართლებრივ

სივრცეში დაზღვევის სამართლებრივ დანიშნულებასა და მიზანს.

21. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2019 წლის 19 ივნისს დაზღვეული ავტომანქანის მძღოლი დასაშვები სიჩქარით, ფხიზელი მართავდა ავტომანქანას TOYOTA HILUX-ს, სახელმწიფო ნომრით ..., როდესაც შემთხვევისას შეეჯახა ავტოსატრანსპორტო საშუალებას MITSUBISHI DELICA სახელმწიფო ნომრით – ... ავტოსატრანსპორტო შემთხვევაში, სამართალდამრღვევად ცნობილ იქნა დაზღვეული ავტომანქანის მძღოლი, რაზეც გაფორმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, რომელიც მხარეს არ გაუსაჩივრებია. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით, რამდენადაც დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და უკანა მხრიდან შეეჯახა გაჩერებულ ავტომობილს.

22. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიუთითებს, რომ მხოლოდ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა არ შეიძლება გახდეს წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევად მიჩნევის საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, როცა უფლებამოსილი მძღოლი ავტომანქანას მართავდა ფხიზელი, დასაშვები სიჩქარით. სხვა მტკიცებულება კი, რომელიც მძღოლის უჩვეულოდ მაღალი ხარისხით უყურადღებობასა და დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევას დაადასტურებდა, მზღვეველს არ წარმოუდგენია, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მას ევალებოდა.

23. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა სათანადო და განკუთვნილი მტკიცებულებები იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ შეეჯახება გამოწვეული იყო გვერდზე მოძრავი დიდი სატვირთო ავტომობილის მხრიდან შესრულებული მკვეთრი მანევრით, საკასაციო პალატის განსჯით, როდესაც სააპელაციო პალატამ პოლიციელის სამხრეთ კამერის ჩანაწერი სათანადო მტკიცებულებად არ მიიჩნია, ხოლო შემთხვევის ადგილი ვერ დააფიქსირა კამერამ, მოსარჩელისათვის სხვა მტკიცებულების წარდგენის ტვირთის დაკისრება გაუმართლებელია. მართალია, სსსკ-ის 102-ე მუხლიდან გამომდინარე, პოზიტიური მტკიცების ტვირთი ევალება იმ მხარეს, რომლის ინტერესებშიცაა ამ ფაქტის დადასტურება, თუმცა მისთვის ობიექტურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულების წარდგენა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სხვა მტკიცებულების წარდგენა მოსარჩელეს არ ხელეწიფებოდა.

24. ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების ერთობლიობა იძლევა მძღოლის მოქმედების მართივ და

არა უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას, დამზღვევის მხრიდან არ ვლინდებოდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევა და არამართლობიერი ამ მოტივით სადაზღვევო კომპანიის უარი ზიანის ანაზღაურებაზე.

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად, გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას, ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, დამზღვევის პასუხისმგებლობის ფარგლების კასატორის მიერი განმარტება ეწინააღმდეგება დაზღვევის, როგორც სამართლებრივ, ისე ეკონომიკურ არსსაც, რადგანაც ასეთი მიდგომა შესაძლებლობას ქმნის, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დამზღვევის ნებისმიერი მოქმედება უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასდეს და მზღვეველმა არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანი (იხ.: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.; №ას-595-2022, 28.04.2023წ.). კიდევ ერთხელ, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უმნიშვნელოვანესია სსკ-ის 829-ე მუხლით გათვალისწინებული დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევის ვიწრო განმარტება, იმგვარად, რომ მზღვეველები პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე არაკეთილსინდისიერად არ წახალისდნენ და ამით, საფრთხე არ დაემუქროს სამართლებრივ სივრცეში დაზღვევის სამართლებრივ დანიშნულებასა და მიზანს (იხ.: სუსგ №ას-1479-2019, 21.01.2020წ.; №ას-595-2022, 28.04.2023წ.). განსახილველ შემთხვევაში კი, აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევის დამადასტურებელი დამატებითი ფაქტორების გარეშე, მხოლოდ დაზღვეული ავტომანქანის მეორე ავტომანქანისათვის უკნიდან შეჯახების უხეშ გაუფრთხილებლობად მიჩნევა, ნორმით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევის ვრცლად განმარტება იქნებოდა.

26. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივა-

რი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი დაკმაყოფილდეს.

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

28. განსახილველ შემთხვევაში, სსსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, მოპასუხეს დაეკისრება მოსარჩელის მიერ სარჩელსა და საკასაციო საჩივრისათვის გაღებული სახელმწიფო ბაჟის – 1 368.3 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ს.გ.წ.კ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ს.გ.წ.კ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. სს „ს.კ.ე.ჯ-იას“ დაეკისროს 19 585,80 ლარისა და ექსპერტიზის ხარჯის – 389 ლარის გადახდა შპს „ს.გ.წ.კ-ის“ სასარგებლოდ;
5. სს „ს.კ.ე.ჯ-იას“ დაეკისროს 1 368.3 ლარის გადახდა შპს „ს.გ.წ.კ-ის“ სასარგებლოდ;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სადაზღვევო შესატანი

ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-198-198-2018

15 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სადაზღვევო პრემიის გადახდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს.კ.ა-სა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „სადაზღვევო კომპანია“, „მზღვეველი“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) და შპს „ს-ას“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „მოპასუხე კომპანია“ ან „დამზღვევე“) შორის 2013 წლის 30 სექტემბერს დაიდო გენერალური ხელშეკრულება ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, იმავე დღეს მოსარჩელემ გასცა სადაზღვევო პოლისი №MO/C..., რომლის თანახმად, დაზღვევის საგანს წარმოადგენდა – ლექსუს 470, სარეგისტრაციო ნომრით – ... სადაზღვევო პრემიად განისაზღვრა 1 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, გადახდის დღისათვის არსებული კურსის მიხედვით. დამზღვევი ვალდებული იყო პრემია გადაეხადა შემდეგი გრაფიკით: 1) 362,50 აშშ დოლარი – არაუგვიანეს 2013 წლის 01 ოქტომბრისა; 2) 362,50 აშშ დოლარი – არაუგვიანეს 2014 წლის 01 იანვრისა; 3) 362,50 აშშ დოლარი – არაუგვიანეს 2014 წლის 01 აპრილისა; 4) 361,50 აშშ დოლარი – არაუგვიანეს 2014 წლის 01 ივლისისა. დაზღვევის პერიოდი განისაზღვრა – 2013 წლის 01 ოქტომბრიდან 2014 წლის 01 ოქტომბრის 24 საათამდე.

2. გენერალური ხელშეკრულების მე-6 პუნქტით განისაზღვრა ანგარიშსწორების წესი და პირობები. კერძოდ, ხელშეკრულების 6.2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე, ხოლო თუ სადაზღვევო პოლისი მრავალწლიანია, როგორც პირველი, ისე ყოველი მომდევნო წლის პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე, მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან; ხელშეკრულების 6.3 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგე-

ნილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, მზღვეველის მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას მზღვეველი უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება; იმავე ხელშეკრულების 11.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

3. დამზღვევმა, გ. ლ-ქმ წერილით მიმართა მოსარჩელეს და აცნობა, რომ 2013 წლის 31 ივლისს მასთან დააზღვია ავტომობილი ლექსუს 470, სახელმწიფო ნომრით – ..., პოლისის ნომერი MO/R-... და გადაიხდა დაზღვევის საფასურის ნაწილი 533,43 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან, განმარტა, რომ ავტომობილი გადავიდა მოპასუხე კომპანიის სარგებლობაში და მოითხოვა აღნიშნული დაზღვევის გაუქმება და გამოუმუშავებელი პრემიის ჩათვლა მოპასუხის პრემიაში.

4. მოპასუხე კომპანიის დირექტორმა, ა. შ-ქმ 2013 წლის 30 სექტემბერს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა მოსარჩელეს: „გთხოვთ, თქვენს მიერ დაზღვეული ავტომობილის – ლექსუს 470, სახელმწიფო ნომრით – ..., დამზღვევი – გ. ლ-ქმ, პოლისის ნომერი MO/R-..., დაზღვევის გაუქმების შედეგად დარჩენილი გამოუმუშავებელი პრემია ჩაგვითვალოთ პრემიაში პოლისზე №MO/C-...“.

5. მოსარჩელემ 2014 წლის 21 ნოემბერს წერილით მიმართა მოპასუხეს და აცნობა, რომ მის მიერ ვადაგადაცილებულია დაზღვევის პოლისით/ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის – 788,25 აშშ დოლარის გადახდა (გადახდას დაქვემდებარებული თარიღი: 01.04.2014). იმავე წერილით მოსარჩელემ შეატყობინა მოპასუხეს, რომ გაფრთხილების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში დაეფარა დავალიანება. მითითებული წერილი მოპასუხეს ჩაჰბარდა 2014 წლის 26 ნოემბერს.

6. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის სადაზღვევო შესატანის დარჩენილი, გადაუხდელი ნაწილის – 788,25 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს დარჩენილი სადაზღვევო პრემია არ აუნაზღაურებია. შესაბამისად, დავალიანების გადაუხდელობის საფუძველით, 2014 წლის 23 ივნისს მოსარჩელემ გააუქმა №MO/C... სადაზღვევო პოლისი. გაუქმების მომენტისათვის მოპასუხის სადაზღვევო პრემიის დავალიანება 788,25 აშშ დოლარით განისაზღვრა.

7. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. მისი მტკიცებით, მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ დავალიანება არ გააჩნია. მოსარჩელი ითხოვს სადაზღვევო პრემიის თანხის გადახდას, რომელთან დაკავშირებული სადაზღვევო მომსახურებითაც მოცემულ პერიოდში მოპასუხეს არ უსარგებლია და ვერც ისარგებლებდა, რადგან დაზღვევის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა და მხარეთა უფლებამოვალეობები დამზღვევის მიერ სადაზღვევო შესატანის გადახდის შემდეგ წარმოიშობა. ამასთან, მოსარჩელემ მოპასუხეს სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის გამო ორკვირიანი ვადის დაცვით არ შეუწყვიტა ხელშეკრულება, დაელოდა ხელშეკრულების ვადის გასვლას და მხოლოდ ამის შემდგომ მოითხოვა სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდა, რითაც დაარღვია სსკ-ის 8.3 მუხლი.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

11. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

12. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ გ. ლ-ქემ და მოპასუხემ, როგორც დამზღვევმა გამოხატეს ნება გ. ლ-ძის №MO/R-... პოლისის გაუქმების შედეგად დარჩენილი გამოუმუშავებელი პრემია ჩათვლილიყო პრემიაში პოლისზე №MO/C-...; მოპასუხე კომპანიის დირექტორმა მიმართა სადაზღვევო კომპანიას და დაუდასტურა წინამდებარე ქმედება; გ. ლ-ძის პრემია იყო 261,61 აშშ დოლარი, ხოლო მოპასუხის 362,50 აშშ დოლარი; სადაზღვევო კომპანიამ მიიღო დაზღვეულის მიერ ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება. ამგვარად, სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის თანახმად, მოპასუხემ ნაწილობრივ შეასრულა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, თუმცა გარდა ამ ნაწილობრივი შესრულებისა მას სხვა შესრულება არ განუხორციელებია.

13. სააპელაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლის სუბიექტებს ავალდებულებს, იმოქმედონ კეთილსინდისიერების ფარგლებში. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და, ამავე დროს, აშკარა

უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს. კანონმდებელი სადაზღვევო ურთიერთობაში მზღვეველს, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების ძლიერ მხარეს, ანიჭებს აქტიურ როლს, რაც მისთვის გარკვეული უფლებების განსაზღვრაში გამოიხატება. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიამ კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებები კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენოს და სადაზღვევო ურთიერთობის ფარგლებში არ უნდა შექმნას დამზღვევისათვის უარესი პირობები.

14. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სადაზღვევო შესატანის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობისას, კანონმდებელი მზღვეველს ავალებს გონივრულ ვადაში შეატყობინოს დამზღვევეს მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ. კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ დამზღვევეს სადაზღვევო შესატანის დროულად არ გადაუხდია. ამასთან, სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობის მიუხედავად, მზღვეველს დამზღვევი წერილობით არ გაუფრთხილებია მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 817-ე-818-ე მუხლები არ არის მავალდებულებელი ხასიათის, თუმცა, მიუხედავად ამისა, კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, დროულად გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და შემდეგ მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თუკი დამზღვევის მიერ შესატანის შეუტანლობა მზღვეველს ათავისუფლებს სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან, დაუშვებელია ძალაში დარჩეს დამზღვევის ვალდებულება, გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი. ასეთ ვითარებაში დგება ხელშეკრულების მოშლის საკითხი, რომლის ინიციატივასაც კანონმდებელი მზღვეველს აკისრებს. სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლის თანახმად, მზღვეველს უფლებამოსილება აქვს, წერილობით აცნობოს დამზღვევეს ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. დაუშვებელია, კანონმდებლის მიერ მზღვეველისათვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების ბოროტად გამოყენება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი აპელანტის მხრიდან.

15. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ სადაზღვევო კომპანიამ მოპასუხეს 2014 წლის 22 მაისს გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება, რომლითაც განუსაზღვრა დავალიანების გადახდის დამატებითი ვადა და ასევე აცნობა გადაუხდელობის შედეგები, რასაც მოპასუხის მხრიდან არ მოჰყოლია რე-

აგირება. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე თანდართული მტკიცებულებით არ დგინდება მოპასუხისათვის ამგვარი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი. მართალია, წარდგენილი წერილის შინაარსი შეიცავს ასეთ გაფრთხილებას, თუმცა არ დასტურდება მისი დაზღვეულის მიერ მიღების ფაქტი. ამასთან, 2014 წლის 21 ნოემბერს სადაზღვევო კომპანიამ წერილით მიმართა მოპასუხეს და აცნობა, რომ მის მიერ ვადაგადაცილებული იყო დაზღვევის პოლისით/ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის 788,25 აშშ დოლარის გადახდის ვადა (გადახდას დაქვემდებარებული თარიღი: 01.04.2014წ.). იმავე წერილით მოსარჩელემ მოპასუხეს შეატყობინა, რომ გაფრთხილების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში დაეფარა დავალიანება. მითითებული წერილი მოპასუხეს ჩაბარდა 2014 წლის 26 ნოემბერს, თუმცა ამ დროისათვის ხელშეკრულების მოქმედების ვადა უკვე გასული იყო, მას ვადა 2014 წლის 01 ოქტომბერს ამოიწურა.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მხარეთა შორის არსებული სადაზღვევო ურთიერთობა მოიშალა, რის შედეგადაც მზღვეველს აღარ გააჩნია სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ვინაიდან მზღვეველი, რომლის მიმართაც დაირღვა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, დაელოდა სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვას და მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მოითხოვა დარღვეული უფლების დაცვა, ისე რომ მას დამზღვევთან სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში არცერთხელ გაუფრთხილებია კონტრაქტის წერილობით და არ უცნობებია მისთვის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე. ამდენად, მზღვეველის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპის უგულებელყოფასა და უფლების ბოროტად გამოყენებას.

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადანყვებილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

18. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადანყვებილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

18.1. წინამდებარე დავის გადანყვებისათვის მნიშვნელოვანია სწორად იქნეს სამართლებრივად შეფასებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: წარმოშობს თუ არა პირველი სადაზღვევო შენატანის არასრულად გადახდა მზღვეველის ვალდებულებას აანაზღაუროს შემთხვევა; არის თუ არა დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებული, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულება; სადაზ-

ღვევო შენატანის მორიგი ტრანშების გადაუხდელობის შედეგები;

18.2. დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებულებელი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის გადახდა და ვალდებულია აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი, დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. თავის მხრივ, დამზღვევი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ვალდებულია, შეთანხმებული ჯერადობითა და ოდენობით იხადოს სადაზღვევო პრემია. დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისას ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სამი დამოუკიდებელი ეტაპი, კერძოდ: დაზღვევის ხელშეკრულების დადება, სადაზღვევო პერიოდის დაწყება და მზღვეველის ვალდებულების წარმოშობა. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დაზღვევის ხელშეკრულებას რეალურ ხელშეკრულებად მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ დაზღვევის ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს არა მხარეთა შეთანხმებისთანავე, არამედ მხოლოდ სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ (სუსგ საქმე №ას-85-81-2013, №ას-663-624-2011). ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს სამოქალაქო კოდექსის მხოლოდ 816-ე მუხლში გათვალისწინებული რეგულირება ქმნის. თუმცა, 816-ე მუხლის განმარტებისას მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსის 806-ე მუხლის პირველი ნაწილის მხედველობაში მიღება, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დაზღვევა იწყება დაზღვევის ხელშეკრულების დადების დღის ოცდაოთხ საათზე. შესაბამისად, სადაზღვევო პერიოდის დაწყება არ არის დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობასთან. მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წლის 10 მარტს, დღის 12:00 საათზე და დამზღვევმა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადაიხდა პირველი პრემია, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგება 10 მარტის 12:00 საათიდან ოცდაოთხ საათამდე შუალედში, 806-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მზღვეველს უფლება აქვს უარი უთხრას დამზღვევს ანაზღაურების ვალდებულების შესრულებაზე, ვინაიდან დაზღვევის პერიოდი ჯერ არ დაწყებულა, ანუ სადაზღვევო კომპანია არ იყო რისკის მატარებელი მიუხედავად იმისა, რომ პირველი სადაზღვევო პრემია იყო ანაზღაურებული;

18.3. სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლში გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება წარმოადგენს არა ხელშეკრულების ძალაში შესვლის, არამედ მზღვეველის ძირითადი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობას (ზიანის ანაზღაურება), რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ დაზღვევის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებ

ბების რიცხვს განეკუთვნება, რადგან სადაზღვევო ურთიერთობების სუბიექტებს, გარდა ზემოთ მოცემული ძირითადი ვალდებულებებისა, ასევე, გააჩნიათ კანონით რეგულირებული სხვა ვალდებულებები, რომლებიც უნდა შესრულდეს დამზღვევის მიერ პირველი ან ერთჯერადი პრემიის გადახდამდე, კერძოდ: დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად მზღვეველი ვალდებულია გადასცეს დამზღვევს ხელმოწერილი საბუთი დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ (სადაზღვევო მოწმობა – პოლისი), მისი დაკარგვის შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი ასლის (დუბლიკატის) გაცემა, ასევე, დამზღვევს მზღვეველის წინაშე წარმოეშობა საფრთხის გაზრდის შესახებ შეტყობინების ვალდებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ვადებულება არ არის დამოკიდებული დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაზე, არამედ ისინი ძალაში შედის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე. შესაბამისად, ხელშეკრულების დადებისათვის ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, დაზღვევის ხელშეკრულების დადების, სადაზღვევო პერიოდის დაწყებისა და, მეორე მხრივ, მზღვეველის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულების წარმოშობის ეტაპები. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებით მზღვეველი და დამზღვევი ორი ურთიერთმფარავი თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე იბოჭავენ თავს, რომ შეასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებისთანავე გარიგება ძალაში შედის და მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეები ხდებიან – დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის საკმარისია მხოლოდ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსკ-ის 816-ე და 806-ე მუხლთა კონკურენციის პირობებში, უპირატესობა 806-ე მუხლის პირველ ნაწილს უნდა მიენიჭოს და დაზღვევის ხელშეკრულება კონსენსუალურ ხელშეკრულებად განვიხილოთ, რომლის საფუძველზეც მზღვეველი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამზღვევს სადაზღვევო პრემიის (მათ შორის პირველი ან ერთჯერადი შესატანის) გადახდა, ხოლო დამატებითი წინაპირობის შესრულების, პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის გადახდის შემდეგ დამზღვევი უფლებამოსილია მოსთხოვოს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

18.4. დამატებით არგუმენტს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლი, რომელიც ადგენს მზღვეველის შესაძლებლობას მოშალოს ხელშეკრულება დამზღვევის მიერ სადაზღვევო შენატანის არადროულად გადახდის გამო. ამ მუხლის შინაარსიდან ცალსახად ირკვევა, რომ დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის არადრო-

ულად გადახდის შემთხვევაში (რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს როგორც პირველი ან ერჯერადი, ასევე, მორიგი შენატანი) მზღვეველს ენიჭება უფლება, მოშალოს ხელშეკრულება. ცხადია, რომ თუ საუბარი არ არის ძალაში მყოფ ხელშეკრულებაზე, კანონმდებელი არ გამოიყენებს ტერმინს „ხელშეკრულების მოშლა“, რადგან აღნიშნული ტერმინი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გამოიყენება მხოლოდ ძალაში შესული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძვლის აღმნიშვნელად;

18.5. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტი კონკრეტულად არის განსაზღვრული იმავე კოდექსის 815-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც ადგენს, რომ დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი (პრემია) დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის (პოლისის) მიღების შემდეგ. სწორედ მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო პოლისის გადაცემის მომენტიდან შედის ძალაში დამზღვევის ვალდებულება, გადაიხადოს სადაზღვევო პრემია. ხოლო, სადაზღვევო პრემიის გადახდა ემსახურება მხოლოდ მზღვეველისთვის ზიანის ანაზღაურების რისკის ტარების საფუძვლებს;

18.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზღვევის ხელშეკრულება (სადაზღვევო პოლისი) მხარეთათვის სავალდებულო ძალას იძენს მხარეთა მიერ ხელმოწერისა და დამზღვევისათვის გადაცემისთანავე და დამზღვევის ვალდებულება გადაიხადოს სადაზღვევო პრემია, ძალაშია სწორედ მზღვეველის მიერ მისთვის სადაზღვევო პოლისის გადაცემის მომენტიდან. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელე უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პრემია;

18.7. მოპასუხეს გადახდილი ჰქონდა პრემიის პირველი ტრანშის ნაწილი, კერძოდ, 261,61 აშშ დოლარი, ამასთან წარდგენილი ჰქონდა წერილობითი თანხმობა, რითაც მოსარჩელეს წარმოეშვა სადაზღვევო შემთხვევის არსებობისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხეს არ სურდა სადაზღვევო კომპანიასთან სამართლებრივ ურთიერთობაში ყოფნა, ის არც აღნიშნულ ქმედებას განახორციელებდა. პრემიის პირველი ტრანშის ნაწილის გადახდა ემსახურებოდა ზუსტად სადაზღვევო კომპანიისათვის რისკის ტარების ვალდებულების ამოქმედებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი ხდება სადაზღვევო ურთიერთობის არსი და მიზანი. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხემ პირველი შენატანი გააკეთა 261,61 აშშ დოლარისა და არა 362,50 აშშ დოლარის ოდენობით, აღნიშნულით მაინც დასტურდება შენატანის გაკეთების ფაქტი, რაც პირდაპირ უკავშირდება სადაზღვევო ვალ-

დებულების ამოქმედებას სადაზღვევო კომპანიის მხრიდან;

18.8. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლით გათვალისწინებული პირველი სადაზღვევო შენატანი არ უნდა იქნეს გაგებული როგორც კონკრეტული ოდენობის თანხის გადახდა, არამედ დამზღვევის ნების გამოვლენა და დადასტურება. ამდენად, სახეზეა ცალსახა მოცემულობა, რომ მზღვეველის (მოსარჩელის) მიერ ნაკისრი რისკი (ვალდებულება) ძალაში იყო შესული და სადაზღვევო შემთხვევის ხდომილებისას, მზღვეველის ვალდებულება აანაზღაუროს ზიანი პოლისის პირობების შესაბამისად, ძალაში იყო მანამ სანამ ძალაში იქნებოდა სადაზღვევო პოლისი – მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია პოლისის მოქმედების ვადაზე;

18.9. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელემ/სადაზღვევო კომპანიამ დროულად არ აცნობა მოპასუხეს მის მიმართ არსებული დავალიანების შესახებ და აქედან გამომდინარე ბოროტად ისარგებლა სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებით. სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობის გამო სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით №ას-1708-1602-2012 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაზღვევო პრემიის შენატანის მარეგულირებელი ნორმები, მათ შორის 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები არ წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის ნორმებს და ცალსახად არ ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობას. კანონმდებელი 817-ე და 818-ე მუხლებით ადგენს მზღვეველის უფლებას შესაბამისი ფორმით განსაზღვროს პრემიის გადახდის დამატებითი ვადა, ასევე, კანონით დადგენილი ფორმის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება, თუმცა მზღვეველის მიერ აღნიშნული უფლების გამოუყენებლობა მისი, როგორც ხელშეკრულების მხარის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს;

18.10. აღნიშნულ საკითხზე განსხვავებულ მსჯელობას გვთავაზობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1308-1246-2014, რომელიც მზღვეველს ავალდებულებს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე დროულად შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც დამზღვევი არ იხდის სადაზღვევო პრემიას, რათა ხელოვნურად არ მოახდინოს მისი გამომუშავება. მიუხედავად აღნიშნულისა სასამართლომ უნდა გაამახვილოს ყურადღება სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლზე, რომელიც მზღვეველის მიერ შეტყობინების უფლების გამოუყენებლობისათვის ერთგვარ სამოქალაქო-სამართლებრივ სანქციას ანესებს (სუსგ საქმე №ას-1708-1602-2012), კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის დათქმა, რომ თუ სადაზღვევო შესატანი

დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება, არ შეიძლება განმარტებულ იქნას ამავე მუხლის მე-2 ნაწილისაგან განყენებულად, რადგანაც ნორმის მე-2 ნაწილით დადგენილია მზღვეველის მიერ შეტყობინების უფლების გამოუყენებლობისათვის ერთგვარი სამოქალაქო-სამართლებრივი სანქცია, კერძოდ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომა მას წარმოუშობს სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანია წერილობით გააფრთხილებს დამზღვევს პრემიის გადახდის თაობაზე და ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა, ამ ვადის გასვლამდე მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი შემთხვევა, მიუხედავად იმისა, დამზღვევს გადაცილებული აქვს თუ არა პრემიის შეტანის ვადა. შესაბამისად, თუ დამზღვევს ანაზღაურებული აქვს სადაზღვევო პრემიის პირველი ტრანში და დაზღვევის პერიოდი დაწყებულია, მზღვეველი არის რისკის მატარებელი სადაზღვევო შემთხვევისას აანაზღაუროს ზიანი;

18.11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის №ას-719-674-2010 განჩინების მიხედვით, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება დაიდო ბანკსა და შპს-ს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე. შპს-ს 100%-იანი წილის მფლობელი ფიზიკური პირის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით მხარეები სადაზღვევო პრემიის ორ ეტაპად გადახდაზე შეთანხმდნენ. დამზღვევმა სესხის სახით გაცემული თანხა ბანკს დაუბრუნა პირველი სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ, პრემიის მეორე ნაწილის გადახდის ვადის დადგომამდე. სასესხო ვალდებულების შესრულების შედეგად დამზღვევს დაეკარგა ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ და მან აღარ გადაიხდა მეორე სადაზღვევო პრემია. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამზღვევის მიერ პირველი პრემიის გადახდის შედეგად მზღვეველს წარმოუშვა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლი). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დამზღვევისათვის სადაზღვევო შესატანის დარჩენილი ნაწილის დაკისრების საფუძველი;

18.12. კანონის ამგვარი განმარტება სახელშეკრულებო თანასწორობის ბალანსის დარღვევას არ იწვევს, რადგანაც დაზღვევის ურთიერთობის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები ითვალისწინებს იმ კერძო (სპეციალურ) შემთხვევებს, როდესაც დამზღვევს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე (სსკ-ის 815.2, 819-ე მუხლები), ამას-

თან, საყურადღებოა, რომ თუ სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში მხარეები რაიმე განსხვავებულ წესს არ დაადგენენ, ამ ურთიერთობის მიმართ თავისუფლად ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც მხარის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას განამტკიცებენ (მაგ., სსკ-ს 399-ე მუხლი).

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

21. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოსარჩელისათვის სადაზღვევო შესატანის (პრემიის) ანაზღაურებაზე უარის თქმის მართლზომიერება.

22. სადაზღვევო შესატანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის მე-2 ნაწილი [დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია)].

23. კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსენსუალურ და არა რეალურ ხელშეკრულებას, რის გამოც მხარეთა შორის დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან და აღნიშნული არ იყო დამოკიდებული დამზღვევის მიერ პირველი სადაზღვევო შესატანის გადახდაზე. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა გადაიხდა თუ არა დამზღვევმა პირველი სადაზღვევო შესატანი, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს მისგან გადაუხდელი სადაზღვევო შესატანის ანაზღაურება. კასატორის მტკიცებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლით დადგენილი რეგულაცია [პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან] წარმოადგენს არა დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლის წინაპირობას, არამედ მზღვეველის ძირითადი ვალდებულების (ანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი) წარმოშობის საფუძველს.

24. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავ-

შირებით და სააპელაციო სასამართლოს მსგავსად მიიჩნევს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას განეკუთვნება.

25. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლის თეორიაში რეალურ ხელშეკრულებად განიხილება იმგვარი ხელშეკრულებები, რომელთა დასადგენად მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმება საკმარისი არ არის. აუცილებელია ასევე ერთი მხარის მიერ მეორესათვის ხელშეკრულების საგნის ფაქტობრივი გადაცემა. შესაბამისად, რეალურ ხელშეკრულებაში ერთი მხარის მიერ ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების მეორე მხარეს ვალდებულებას აკისრებს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, კონსენსუალურ ხელშეკრულებაში ვალდებულების წარმოშობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. ამგვარი ხელშეკრულება დადებულად ითვლება მხარეთა შორის დადგენილი ფორმით შეთანხმების მიღწევის მომენტიდან (იხ. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, გვ. 29; ასევე, იხ. ქეთევან ირემაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში“, თბილისი, 2016, გვ. 22-23).

26. დაზღვევის ხელშეკრულების ცენტრალურ ნორმას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია). ამასთან, იმავე კოდექსის 815-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი მხოლოდ დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ. ხოლო 816-ე მუხლის შესაბამისად, პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

27. მოცემული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. სსკ-ის 799-ე მუხლით ერთმნიშვნელოვნადაა განსაზღვრული, რომ დაზღვევის მიზანი ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესების დაცვაა. დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი, ხოლო მზღვეველი მოვალეა აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზ-

ღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

28. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა. კერძოდ, დაზღვევის ხელშეკრულება ვალდებულებებს წარმოშობს არა მისი დადების ან სადაზღვევო პოლისის გადაცემის, არამედ პირველი სადაზღვევო შესატანის განხორციელების მომენტიდან (მდრ. იხ. სუსგ საქმე №ას-1708-1602-2012, 09 ოქტომბერი, 2013 წელი; №ას-1308-1246-2014, 03 აპრილი, 2015 წელი). ის გარემოება, რომ მზღვეველის მოვალეობა წარმოიშობა არა მხარეთა შეთანხმების, არამედ პრემიის გადახდის მომენტიდან, დაზღვევის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს და აქცევს მას რეალურ ხელშეკრულებად.

29. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ 816-ე მუხლის რეგულაცია წარმოადგენს არა ხელშეკრულების ძალაში შესვლის, არამედ ვალდებულების წარმოშობის წინაპირობას და განმარტავს, რომ მზღვეველის ვალდებულება – ანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი, დაზღვევის ხელშეკრულების საგანს და ამ ხელშეკრულების განმსაზღვრელ არსებით პირობას წარმოადგენს. შესაბამისად, ამ პირობის ამოქმედებამდე დაზღვევის ხელშეკრულება დადებულად ვერ მიიჩნევა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების დადების მიზნებისათვის მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმება იმავდროულად გულისხმობს ხელშეკრულების არსებითი პირობების ამოქმედებას, რასაც დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში ადგილი არ აქვს სანამ დამზღვევი პირველ ან ერთჯერად სადაზღვევო შესატანს შეიტანს.

30. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სადაზღვევო შესატანის ანაზღაურების თაობაზე მზღვეველის მოთხოვნაზე მსჯელობა უნდა მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 806.1 [დაზღვევა იწყება ხელშეკრულების დადების დღის ოცდაოთხ საათზე და მთავრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის ოცდაოთხ საათზე], 815.1 [დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი მხოლოდ დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ] და 816-ე [პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან] მუხლების ერთობლივი ანალიზის შედეგად. აღნიშნული სამართლებრივი ნორმები სპეციალურ ნორმებს წარმოადგენენ, შესაბამისად, მათი კონკურენციის პირობებში რომელიმე მათგანს კი არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა, არამედ ნორმათა ერთობლივი ანალიზის

შედეგად, კანონმდებლის მიზნების გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს მათი გამოყენების ფარგლები. 816-ე მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს 815-ე და 806-ე მუხლებთან ერთობლიობაში, მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, ხელშეკრულება დადებულია არ უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება 817-ე და 818-ე მუხლებს, მათი გამოყენება უნდა მოხდეს არა პირველი/ერთჯერადი, არამედ შემდგომი გადახდის ვალდებულების დარღვევის დროს.

31. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება. ხოლო, იმავე კოდექსის 818-ე მუხლის შესაბამისად, თუ დამზღვევემა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევეი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი. აღნიშნული სამართლებრივი ნორმების შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ძალაში შესული ხელშეკრულებების მიმართ, რასაც ადგილი არ აქვს მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის გადაცემისა და აღნიშნულის საფუძველზე ამ უკანასკნელის მიერ პირველი/ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის გადახდამდე. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა მუხლებითაა რეგლამენტირებული და ერთმანეთისგანაა გამიჯნული პირველი/ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება და შემდგომი შესატანის გადაუხდელობა/დაგვიანებით გადახდა.

32. იმის გათვალისწინებით, რომ დაზღვევის ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები არ წარმოშობილა.

33. წინამდებარე საქმეში სადავო არ არის, რომ მხარეთა შორის 2013 წლის 30 სექტემბერს დაიდო გენერალური ხელშეკრულება ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის შესახებ; აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, იმავე დღეს მოსარჩელემ გასცა დაზღვევის პოლისი, რომლითაც განისაზღვრა დაზღვევის ობიექტი, სადაზღვევო პრემიის ოდენობა და მისი გადახდის პერიოდულობა; დამზღვევს/მოპასუხეს პირველი სადაზღვევო პრემია – 362,50 აშშ დოლარის ოდენობით უნდა გადაეხადა არაუგვიანეს 2013 წლის 01 ოქტომბრისა, თუმცა სადავო არ არის და კასატორიც ადასტურებს, რომ მოპასუხეს სრულად არ გადაუხდია დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირ-

ველი სადაზღვევო შესატანი. კერძოდ, მოპასუხემ ნაცვლად 362,5 აშშ დოლარისა გადაიხდა 261,61 აშშ დოლარი. კასატორი დავობს, რომ მიუხედავად სადაზღვევო პრემიის არასრულად გადახდისა, აღნიშნულით დასტურდება შენატანის გაკეთების ფაქტი, რაც სადაზღვევო ვალდებულების ამოქმედებას უკავშირდება.

34. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ პირველი სადაზღვევო შესატანის ნაწილობრივ გადახდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლის შესაბამისად, წარმოშობს მზღვეველის ვალდებულებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მიხედვით [ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას] ვალდებულება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შესრულებულად თუკი იგი შესრულდება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

35. ვალდებულების ჯეროვნად შესრულება ნიშნავს ვალდებულების შესრულებას კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, იმ გონიერი მოლოდინის ფარგლებში, რაც შესრულების მიმდებს ამ ვალდებულების შესრულების მიმართ ჰქონდა. ვალდებულების შესრულების ჯეროვნება ვალდებულების შესრულების მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კანონისმიერი ან ხელშეკრულებისმიერი მოთხოვნის დაცვას არ გულისხმობს, მაგ.: ვალდებულების უნაკლო (ნივთობრივი, უფლებრივი), ხარისხიან, შეთანხმებული ოდენობით, დათქმულ დროს ან დათქმულ ადგილას შესრულებას. შესრულების ჯეროვნება ყველა ზემოთ დასახელებული ობიექტური ფაქტორის ერთობლიობაა და ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის გარეშე შესრულებას ნიშნავს. თეორიაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა (მოქმედებათა) განუხრელად დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია თვით შესრულების საგანთან (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ქ. მესხიშვილი, თბილისი, 2019, გვ. 358-359).

36. ზემოაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დამზღვევის მიერ პირველი სადაზღვევო შესატანის (პრემიის) ნაწილობრივ გადახდა პრემიის გადახდის ვალდებულების ჯეროვან შესრულებად ვერ შეფასდება. შესაბამისად, გამოდის, რომ განსახილველ შემთხვევაში დამზღვევს პირველი სადაზღვევო შესატანი არ გადაუხდია, რის გამოც, მზღვეველს არ წარმოშობია სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების

ვალდებულება (სსკ-ის 799.1, 816-ე მუხლები) და არც დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობა დაწყებულია მხარეთა შორის. აქედან გამომდინარე, მზღვეველი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს დამზღვევისაგან სადაზღვევო პრემიის ანაზღაურება.

37. საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სადაზღვევო შესატანის შეთანხმებულ ვადაში გადაუხდელობისას, მზღვეველს ევალება გონივრულ ვადებში შეატყობინოს დამზღვევს მოსალოდნელი შედეგები. მზღვეველის ქცევის ამგვარი სტანდარტის არსებობა განპირობებულია კერძო სამართლის სუბიექტების კეთილსინდისიერი ქცევის ფარგლებით (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). მართალია, სამოქალაქო კოდექსის 817-ე-818-ე მუხლები არ წარმოადგენს მავალდებულებელ ნორმებს, მაგრამ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, დროულად გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და სწორედ ამ პერიოდს არ დაუკავშიროს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაცია (იხ. სუსგ საქმე №ას-1308-1246-2014, 03 აპრილი, 2015 წელი).

38. საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, თუკი მზღვეველი, რომლის მიმართაც არ სრულდება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, წერილობით არ გააფრთხილებს დამზღვევს მოსალოდნელ შედეგებზე, იგი კარგავს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოწურვის შემდეგ (საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავსი ტიპის საქმეებზე დადგენილ პრაქტიკასთან, იხ. სუსგ საქმე №ას-85-81-2013, 21 თებერვალი, 2013 წელი; №ას-1308-1246-2014, 03 აპრილი, 2015 წელი).

39. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ მზღვეველს, რომლის მიმართაც დაირღვა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, წერილობით არ გაუფრთხილებია დამზღვევი პრემიის გადახდის თაობაზე და არ განუსაზღვრავს მისთვის გადახდის ორკვირიანი ვადა, არამედ, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, იგი დაელოდა სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვას და მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მოითხოვა დარღვეული უფლების დაცვა. შესაბამისად, თუნდაც გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება, რომ დაზღვევის ხელშეკრულება კონსენსუალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს და დამზღვევი ხელშეკრულების დადებისთანავეა ვალდებული გადაიხადოს პრემია, წინამდებარე პუნქტებში აღ-

ნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მზღვეველმა დაკარგა სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

41. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

42. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

43. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სს „ს.კ.ა-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისგან

გადანაშაულებლობა საქართველოს სახელმწიფო

№ას-1598-2023

20 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: სუბროგაციის წესით თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში ცესკო ან მოპასუხე) სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა სს „ს.კ.უ-ნში“ (შემდგომში მზღვე-ველი, მოსარჩელე, კასატორი ან საკასაციო საჩივრის ავტორი) დააზღვია ავტოსატრანსპორტო საშუალება KIA, SPORTAGE (გამოშვების წელი 2016, სარეგისტრაციო ნომერი: ...),

2. დაზღვევის პოლისის (შემდგომში პოლისი) მიხედვით, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე. სადაზღვევო პრემიები დამზღვევს უნდა გადაეხადა გრაფიკის მიხედვით, ყოველთვიურად.

3. პოლისის მიხედვით, მზღვეველი იყო სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი;

4. სადაზღვევო რისკებს წარმოადგენდა:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (არ აქვს მნიშვნელობა ვისი მიზეზით ხდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა), მიუხედავად იმისა, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება მოძრაობდა, თუ გაჩერებული იყო;
- სატრანსპორტო საშუალების ან მისი ცალკეული ნაწილების დაკარგვა (მათ შორის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, გატაცების ან ქურდობის/ძარცვის ყაჩაღობის გატაცების მცდელობის შედეგად);
- ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზემოქმედება, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ზვავი, გრიგალი, ქარიშხალი, ღვარცოფი, მეხის დაცემა, მეწყერი და სეტყვა ან მოუ-

ლოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება და განადგურება გარეშე და აშკარა მიზეზებით;

- აალება, აფეთქება, ხანძარი, რაიმე საგნის ვარდნა/დაცემა/მოხვედრა, ვანდალიზმი; მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება;
- დაუდგენელი მიზეზით სატრანსპორტო საშუალების დაზიანება;

მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა:

- ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მე-3 პირის (გარდა მძღოლისა და მგზავრებისა) სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობის და/ან ქონებისთვის ზიანის მიყენება.

მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა:

- უბედური შემთხვევის შედეგად მძღოლისა ან/და მგზავრის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება.

5. პატრულ-ინსპექტორის 2022 წლის 12 აპრილის რეაგირების ოქმის მიხედვით, 2022 წლის 12 აპრილს ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანზე, ცესკოს მიმდებარე ტერიტორიაზე, საპატრულო პოლიცია გამოიძახა მ. შ-მა, რომელმაც განაცხადა, რომ შენობის ეზოში გაჩერებული ჰყავდა სამსახურებრივი ავტომობილი (სარეგისტრაციო ნომრით ..., რომელიც ირიცხებოდა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ბალანსზე). დაახლოებით 14 საათზე, ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად, ცესკოს შენობის ფასადიდან ჩამოცვივდა მოსაპირკეთებელი ფილები და დაეცა ავტომანქანას, რის შედეგადაც, დაუზიანდა სახურავი, წინა საქარე მინა, ძრავის ხუფი და პლასტმასის დეტალი ძრავთან;

6. შპს „გ. მ-ის“ მიერ შედგენილი ინვოისის (დეფექტური აქტის) მიხედვით, დაზღვეული ავტომანქანის აღსადგენად საჭირო ნაწილების და შესაბამისი მომსახურების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 2 796.60 ლარით;

7. 2022 წლის 13 მაისის სადაზღვევო შემთხვევის აქტის მიხედვით, დაზღვეული ავტომანქანისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა განისაზღვრა 2 796.60 ლარით.

8. 2022 წლის 17 მაისს მოსარჩელემ დაზღვეული ავტომანქანის აღდგენითი სამუშაოების თანხა, 2 796.60 ლარი გადაურიცხა შპს „გ. მ-ს“.

9. მოსარჩელის მოთხოვნა

9.1. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ცესკოს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისთვის სუბროგაციის წესით თანხის, 2 796.60 ლარის დაკისრება.

9.2. მოსარჩელის განცხადებით, მან სადაზღვევო შემთხვევით გა-

მონვეული ზიანი აუნაზღაურა დამზღვევეს, შესაბამისად, სსკ 832-ე მუხლის მიხედვით, მზღვეველს უფლება ჰქონდა მოეთხოვა გადახდილი სადაზღვევო თანხის ანაზღაურება. მოსარჩელემ წერილობით მიმართა მოპასუხეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, რაზეც მიიღო უარი.

10. მოპასუხის პოზიცია

10.1. მოპასუხემ სარჩელზე წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არ იკვეთება სსკ 832-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობა. დაზღვეული ავტომობილი დაზიანდა არა მოპასუხის კუთვნილი შენობის მოუვლელობის გამო, არამედ ძლიერი ქარის შედეგად. შენობის მდგრადობა მოწმდება პერიოდულად და თუ აღმოჩნდება რაიმე დაზიანება, კეთდება.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

11.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით წარდგენილი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

12.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

13.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-8 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

13.3. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 832-ე, 992-ე, ამავე კოდექსის 1004-ე მუხლით და აღნიშნა, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, ზიანი წარმოიშვა მოპასუხის მფლობელობაში არსებული შენობიდან მოსაპირკეთებელი ფილების ჩამოცვენით, რასაც შედეგად დაზღვეული ავტომანქანის დაზიანება მოჰყვა, შესაბამისად, გამოვლენილია დელიქტური ვალდებულების სპეციალური სახე, სსკ-ის 1004-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის თანახმად, შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამოგრევის შედეგად წარმოიშვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი არ არის გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით. მოხმობილი ნორმა არ შეიცავს მისი განხორციელების წინაპირობების ამომწურავ ჩამონათვალს და მასში მოიაზრება მათ შორის შენობის ექსპლუატაციიდან მომდინარე ყველა ის საფრთხე, რომელთა თავიდან აცილე-

ბა დასაშვებია შენობის მოვლის წესების დაცვის შემთხვევაში. ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის მნიშვნელობა არ აქვს ვალდებული პირის ბრალეულობის ელემენტს.

13.4. სასამართლოს მითითებით, არსებითია, შეფასდეს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანება რამდენად იყო გამოწვეული მოპასუხის მხრიდან შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით.

13.5. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, დამდგარ ზიანსა და შენობის ნაკლს ან არასათანადო მოვლას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რომელსაც არ წარმოუდგენია სასამართლოსათვის რაიმე მტკიცებულება აღნიშნულის დასადასტურებლად და შემოიფარგლა მხოლოდ ზეპირი ახსნა-განმარტებით, რომელიც სსსკ-ის მე-5 მუხლის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, გაქარწყლდა თანაბარმნიშვნელოვანი მტკიცებულებით – მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებით; ამასთან, მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 სექტემბრის ცნობა, იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ შენობიდან ფილების ჩამოცვენა გამოიწვია 2022 წლის 12 აპრილს დაფიქსირებულმა საშიშმა მეტეოროლოგიურმა მოვლენამ – ძალიან ძლიერმა ქარმა (ქარიშხალმა), მაქსიმალური სიჩქარით – 27-30 კმ/წმ-ში; აღნიშნული პოზიცია ემთხვეოდა თავად მოსარჩელე მხარის მიერ სარჩელზე თანდართულ საპატრულო პოლიციის რეაგირების ოქმის შინაარსს, საიდანაც ირკვევა, რომ შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა ეკიპაჟმა დააფიქსირა ძლიერი წვიმისა და ქარის გამო შენობიდან ჩამოცვნილი მოსაპირკეთებელი ფილებით დაზღვეული ავტომობილის დაზიანების ფაქტი.

13.6. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მოსარჩელეს არც პირველ და არც სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას, სადავოდ არ გაუხდია სადაზღვევო შემთხვევისას ძლიერი ქარის (ქარიშხლის) დაფიქსირების ფაქტი და მოპასუხის ის განმარტებაც, რომ შენობის ფასადიდან ფილები არც მანამ და არც ამ ფაქტის შემდგომ არ ჩამოცვნილა. ამასთან, მას მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულების საპირწონედ არ წარუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომელიც საწინააღმდეგოს დაადასტურებდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადაზღვევო შემთხვევა (ავტომანქანის დაზიანება) გამოიწვია არა მოპასუხის კუთვნილი შენობის არასათანადო მოვლამ, არამედ ძლიერმა ქარმა (ქარიშხალმა), რაც განმორიცხავდა დამდგარი ზიანისათვის მოპასუხის სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

14. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

14.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 18 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

14.2. კასატორის განცხადებით, სასამართლომ მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი და საქმეში წარდგენილი მხოლოდ მეტეოროლოგიური ცნობის საფუძველზე არასწორად დაასკვნა, რომ შენობიდან ფილები ჩამოცვივდა არა შენობის არასათანადო მოვლის, არამედ ძლიერი ქარის (ქარიშხლის) გამო. სასამართლოს უნდა დაედგინა, შეეძლო თუ არა 27-30 კმ/სთ სიჩქარის ქარს გამოეწვია შენობიდან ფილების ჩამოცვლა. ზიანის გამომწვევი მიზეზი და შედეგობრივი კავშირი ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის ვერანაირად ვერ დადგინდება მეტეოროლოგიური ცნობით, თუ არ არსებობს ზიანის გამომწვევი მიზეზის შესახებ სხვა მტკიცებულება, რომლის წარდგენის ვალდებულებაც გააჩნდა მოპასუხეს, რაც მას არ გაუკეთებია. თუ მოსარჩელე მიუთითებს ავტომანქანის დაზიანების ფაქტზე და დაზიანება გამომწვეულია შენობიდან ფილების ჩამოცვლით, ხოლო შენობა მოპასუხის საკუთრებაშია, სწორედ მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა, რომ ფილები ჩამოცვივდა არა შენობის მოუვლელით (მოპასუხის ბრალეულობით), არამედ ძლიერი ქარის გამო. მოპასუხემ სათანადოდ ვერ გასწავლა საკუთარი მტკიცების ტვირთი და მას სასამართლოსთვის არ წარუდგენია ნონადი მტკიცებულება, ასეთი კი შეიძლებოდა ყოფილიყო თუნდაც შენობაზე ბოლო დროს ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე შემთხვევის დღეს იმავე ტერიტორიაზე სხვა შენობიდან სამშენებლო მასალის (ფილის) ჩამოგდების დამადასტურებელი ფაქტი (თუ ასეთი ფაქტი დადგა). ამდენად, სასამართლომ მოსარჩელეს დააკისრა იმის დამტკიცების მოვალეობა, რაც მისთვის ობიექტურად შეუძლებელი იყო.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 29 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

15.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 6 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაა-

ნალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

17. საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან მიმართებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

18. კასატორის ძირითადი საკასაციო პრეტენზია ემყარება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის არასწორად განაწილა მტკიცების ტვირთი და სადავო გარემოების (დაზღვეული ავტომობილის დაზიანების მიზეზის) დამტკიცების მოვალეობა ნაცვლად მოპასუხისა, მოსარჩელეს დააკისრა. ამასთან, კასატორი მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ საქმეზე წარდგენილი მეტეოროლოგიური პირობების დამადასტურებელი ცნობა (რომლის მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევის დღეს დაფიქსირდა ძალიან ძლიერი ქარი (ქარიშხალი)) არ შეიძლება მოპასუხის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისა და სსსკ-ის 832-ე მუხლით განსაზღვრული უფლების (სუბროგაციის წესით თანხის ანაზღაურების მოთხოვნა) უარყოფის საკმარის საფუძვლად მიეჩნია სასამართლოს.

19. პირველ რიგში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩე-

ლესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

20. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. ნორმის აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს იმგვარ შემთხვევას, რა დროსაც მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის“ პრინციპის სახით. ეს პრინციპი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მხარე იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია თავის სასარგებლოდ განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ. სუბროგაციის მეშვეობით დამზღვევის ნაცვლად მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დაზარალებულის, ე.ი. როგორც კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი). ასეთ შემთხვევაში ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, მაგრამ იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი. ამ დროს ახალი მოთხოვნა კი არ წარმოიშობა, არამედ იცვლება მხოლოდ კრედიტორი, კერძოდ, დაზარალებული დამზღვევი იცვლება სადაზღვევო კომპანიით (მზღვეველით). სუბროგაციის დროს მზღვეველი ცვლის დამზღვევს იმ ვალდებულებაში, რომელიც წარმოიშვა ზიანის მიყენებისაგან.

21. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2022 წლის 12 აპრილს ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანზე, დაახლოებით 14:00 საათზე მოპასუხის კუთვნილი შენობიდან ჩამოვარდა სამშენებლო ფილა, რომელიც დაეცა მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარ სამ-

სახურებრივ ავტომობილს (რომელიც ირიცხებოდა ცესკოს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ბალანსზე) და დააზიანა. ავტომობილი დაზღვეული იყო მოსარჩელის მიერ. დადგენილია ასევე, რომ მიყენებული ზიანი ანაზღაურა სადაზღვევო კომპანიამ (მოსარჩელემ), რომელიც წინამდებარე დავაში სუბროგაციის წესით ითხოვს დაზიანებული ავტომობილის შეკეთებისთვის გადახდილი თანხის მოპასუხისთვის დაკისრებას.

22. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სამართლოების დასკვნას იმის შესახებ, რომ ვინაიდან მოპასუხის მიერ საქმეში წარდგენილი მეტეოროლოგიური ცნობით დადასტურებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღეს ძლიერი ქარის (ქარიშხლის) არსებობა, გამოირიცხება სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში მოპასუხის ბრალეულობა და შესაბამისად სსკ 832-ე მუხლის გამოყენების საჭიროება.

23. სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით მინიჭებული უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობაზე, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაზე. ნორმა ითვალისწინებს დელიქტურ პასუხისმგებლობას, რომელიც დგება ზიანის მიყენების შედეგად. თავისთავად დელიქტური პასუხისმგებლობა, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას, რომლის სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ბრალი. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დამქირავებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

24. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე გამომდინარეობს დელიქტური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმიდან – სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლიდან, რომლის მიხედვით, შენობის მესაკუთრე ვალდებულია ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი არ არის გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით; თუ ზიანი მიყენებულია შენობიდან საგნის გადაგდებით, გადავარდნით ან გადაღვრით, პასუხს აგებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან დაზარალებულის ბრალით.

25. მოხმობილი ნორმა არ შეიცავს მისი განხორციელების წინაპირობების ამომწურავ ჩამონათვალს და მასში მოიაზრება, მათ შორის, შენობის ექსპლუატაციიდან მომდინარე ყველა ის საფრთხე, რომელთა თავიდან აცილება დასაშვებია შენობის მოვლის წესების დაცვის შემთხვევაში (იხ. სუსგ საქმე №ას-600-2019, 14 ნოემბერი 2019 წელი). ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის მნიშვნელობა არ აქვს ვალდებული პირის ბრალეულობის ელემენტს.

26. სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლით შენობის მესაკუთრის პასუხისმგებლობის განსაზღვრა უკავშირდება მესაკუთრის მიერ შენობის არასათანადო მოვლას ან საკუთრების ობიექტის ნაკლს, რაც მჭიდრო კავშირშია არა უშუალოდ ნივთის ფლობასთან და სარგებლობასთან, არამედ მესაკუთრის ვალდებულებებთან, იხმაროს ყველა ზომა არასათანადო მოვლის ან შენობის ნაკლის გამო საკუთრებიდან მომდინარე საფრთხეების თავიდან ასაცილებლად (იხ. სუსგ. საქმე №ას-1661-2019, 25 თებერვალი, 2020 წელი).

27. ზემოაღნიშნული სამართლებრივი მსჯელობისა და წინამდებარე საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო, ერთი მხრივ, იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის გადანაცვებისთვის არსებითი მნიშვნელობისაა შეფასდეს დაზღვეული ავტომობილის დაზიანება რამდენად იყო გამოწვეული მოპასუხის კუთვნილი შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით, ხოლო, მეორე მხრივ, ვერ დაეთანხმება მითითებული საკითხის დასადასტურებლად სააპელაციო პალატის აპელირებას არა შენობის ნაკლის გამო მომდინარე საფრთხეზე, არამედ სადაზღვევო შემთხვევის დღეს მეტეოროლოგიური პირობების იმგვარად გაუარესებაზე, რაც მისივე მოსაზრებით, გამორიცხავდა სსკ-ის 832-ე მუხლის შესაბამისად მოპასუხის პასუხისმგებლობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სააპელაციო სასამართლო დავის გადანაცვებისას, მართებულად იშველიებს სსკ-ის 1004-ე მუხლის დისპოზიციას, რომელიც შენობის მესაკუთრეს აკისრებს შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუმცა დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან მოპასუხის გათავისუფლების საფუძვლად მიუთითებს სადაზღვევო შემთხვევის დღეს დაფიქსირებულ გაუარესებულ მეტეოროლოგიურ პირობებზე – ძლიერ ქარზე (ქარიშხალზე) და არა მოპასუხის მხრიდან შენობის სათანადო მოვლის ფაქტზე.

28. საკასაციო სასამართლოს არაერთ განჩინებაში ასახული სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის გამოყენების ფარგლები და მითითებულია, თუ რა შემთხვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა შენობის მე-

საკუთრეს შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევისას წარმოშობილი ზიანის დადგომის დროს.

29. ერთ-ერთ საქმეში, სადაც მოსარჩელე დავობდა მოპასუხეთა კუთვნილი შენობიდან თოვლისა და ყინულის მასის ჩამოცვენით მისთვის მიყენებული ზიანის (ავტომობილის დაზიანების გამო) ანაზღაურებაზე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული დავა ექცეოდა სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში და შენობის თითოეულ თანამესაკუთრეს (შენობა საზიარო საგანს წარმოადგენდა) ეკისრებოდა შენობის ექსპლუატაციიდან მომდინარე ყველა საფრთხის აღკვეთის ვალდებულება, ხოლო ნეგატიური შედეგის დადგომისას – ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს შეფასებით, ის ფაქტი, რომ დაზარალებული შემთხვევის დადგომამდე სიტყვიერად იქნა გაფრთხილებული, შეეცვალა ავტომობილის მდებარეობა, რადგან მოსალოდნელი იყო სახურავიდან თოვლის ჩამოქცევა და მისი ნივთის დაზიანება, ბუნებრივია, წარმოადგენს ზიანზე პასუხისმგებელი პირის მხრიდან საფრთხის აღკვეთის მცდელობას, თუმცა ნივთის მოვლის (სახურავის გადათოვლის) ვალდებულების დარღვევიდან, ასევე, საფრთხის აშკარა და სერიოზული ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოირიცხებოდა მოპასუხის პასუხისმგებლობა (იხ. სუსგ საქმე №ას-600-2019, 14 ნოემბერი, 2019 წელი).

30. სხვა საქმეში, სადაც სადავო იყო მოპასუხის კუთვნილი ჯიხურიდან რკინის კონტრუქციის ჩამოვარდნის გამო მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლიანობა, საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო პალატის მოსაზრებას მოპასუხის ბრალეულობის შესახებ და არ გაიზიარა კასატორის (მოპასუხის) პოზიცია, რომ მის მფლობელობაში არსებული ჯიხურიდან რკინის კონსტრუქციის ჩამონგრევა გამოიწვია უბედურმა შემთხვევამ, ძლიერმა ქარმა. სსკ-ის 1004-ე მუხლზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „შენობის ჩამონგრევის შედეგად ზიანის დადგომაში ბრალის გამომრიცხავი გარემოების მტკიცების ტვირთი ამ შენობის მფლობელს, მოცემულ შემთხვევაში, კასატორს ეკისრება, რომელმაც სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ შენობიდან რკინის კონტრუქციის ჩამონგრევა არა შენობის ნაკლისა და მისი არასათანადო მოვლის, არამედ ძლიერი ქარის გამო მოხდა“ (იხ. სუსგ საქმე №ას-1422-2022 წელი, 30 მარტი, 2023 წელი).

31. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება და მხარის პოზიციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უტყუარად შეძლებს იგი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურებას (სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები). შესაბამისად, სასამართლოში წარმატების მომ-

ტანია არა მხოლოდ მოთხოვნის დამასაბუთებელ არგუმენტზე (არგუმენტებზე) მითითება, არამედ მისი ნამდვილობის სათანადო მტკიცებულებით (მტკიცებულებებით) დადასტურება. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან საქმის გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ სწორი დასკვნა სასამართლოს მიერ სწორედ მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას შეიძლება დაეფუძნოს. ბუნებრივია, ერთი მხარე ყოველთვის შეეცდება, სასამართლოს სიტყვიერად თავის სასარგებლო პოზიციაზე მიუთითოს, ხოლო მეორემ – ეს პოზიცია უარყოს. მათი პოზიციების განხილვით ჭეშმარიტების დადგენა, რა თქმა უნდა გამორიცხულია (იხ. სუსგ საქმე №ას-1423-2019, 28.02.2020). მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები კი უნდა იყოს დასაბუთებული და, იმავდროულად, უნდა დასტურდებოდეს რელევანტური მტკიცებულებებით [სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი].

32. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანაცველისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. ამავე დროს, სადავო გარემოებების დადგენისას სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს არა ერთ რომელიმე მტკიცებულებაზე განყენებულად, არამედ იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობით დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლიობაში, რომელთა ურთიერთშეჯერებით გადანაცველს, სარწმუნოდ მიიჩნიოს თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა.

33. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლო ობიექტურ სანყისებზე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, კერძოდ, განსაზღვრავს, თუ რა გარემოების დადგენა ან პირიქით, უარყოფა შესაძლებელია. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი შემოწმება, მათი დაპირისპირება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა შეფასებას კი, პროცედურულად მოჰყვება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა (იხ. სუსგ საქმე №ას-400-2020, 15.02.2020).

34. ზემოაღნიშნული სამართლებრივი შეფასებებისა და წინამდებ-

რე დავაზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის კუთვნილი შენობიდან ძლიერი ქარის გამო ჩამოვარდნილმა სამშენებლო ფილამ დააზიანა მოსარჩელის მიერ დაზღვეული ავტომობილი, ზიანის დადგომაში ბრალის გამომრიცხავი გარემოების დამტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა. სწორედ მას უნდა ემტკიცებინა, რომ შენობიდან სამშენებლო მასალის ჩამოვარდნა გამოიწვია არა შენობის სათანადო წესით მოუვლევლობამ, არამედ უბედურმა შემთხვევამ, ძლიერმა ქარმა. ხოლო იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული მტკიცების ფარგლებში, სასამართლოსთვის არ წარუდგენია რაიმე დოკუმენტი, რაც მის საკუთრებაში არსებული შენობის სათანადო მოვლას დაადასტურებდა (მაგ. საექსპერტო დასკვნა, რომელიც შენობის მდგრადობას დაადასტურებდა, ან უახლოეს წარსულში შენობაზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.), მხოლოდ მეტეოროლოგიური პირობების გაუარესების დამადასტურებელი ცნობა, სადაც მითითებულია, რომ შემთხვევის დადგომისას ქალაქში დაფიქსირდა 27-30მ/წმ სიჩქარის ძლიერი ქარი და არსადაა მითითება, თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა გამოეწვია ამ სიჩქარით მოძრავ ქარს (მაგ. შენობების დაზიანება, შენობებიდან სამშენებლო მასალების ჩამოცვენა და სხვა), იგი არ შეიძლება მოპასუხის ბრალეულობის გამომრიცხავ საკმარის მტკიცებულებად ჩაითვალოს და საფუძვლად დაედოს პასუხისმგებლობისგან მის გათავისუფლებას.

35. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს გადახდილი აქვს დაზიანებული დაზღვეული ავტომანქანის აღდგენითი სამუშაოების თანხა, 2796.60 ლარი, ხოლო ვინაიდან წინამდებარე დავაში დადასტურებულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა (უმოქმედობა – შენობის არასათანადო მოვლა) და დამდგარ შედეგს (ავტომანქანის დაზიანება) შორის, სახეზეა სუბროგაციის წესით სარჩელის დაკმაყოფილებისა და ზემოაღნიშნული თანხის მოპასუხისთვის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი ნიშანპირობა.

36. ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება (რომლითაც უცვლელი დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ) დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამა-

ტებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

37. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს.კ.უ-ნის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 18 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „ს.კ.უ-ნის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სს „ს.კ.უ-ნის“ სასარგებლოდ დაეკისროს 2 796.6 ლარის გადახდა;
5. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სს „ს.კ.უ-ნის“ (ს.კ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟის – 50 ლარის (საგადახდო დავალეზა №..., გადახდის თარიღი: 25.08.2022); მეორე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟის – 150 ლარის (საგადახდო დავალეზა №...; გადახდის თარიღი: 21.04.2023) და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟის – 300 ლარის (საგადახდო დავალეზა №...; გადახდის თარიღი: 01.12.2023), ჯამურად 500 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამფუძნებლის ბრალი
სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

განჩინება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-176-2023

16 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2019 წლის 22 თებერვალს გ. გ-ძესა (შემდეგში „მოსარჩელე“, „დამზღვევი“ ან „მოსარგებლე“) და სს „ს.კ.უ-ს“ (შემდეგში „მოპასუხე“, „სადაზღვევო კომპანია“, „მზღვეველი“, „აპელანტი“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) შორის გაფორმდა ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულება (შემდეგში „ხელშეკრულება“), რომლის საფუძველზე, ამავე დღეს გაიცა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის პოლისი №MHL – 959666 (შემდეგში „პოლისი“).

2. პოლისის თანახმად, დამზღვევსა და მოსარგებლეს წარმოადგენდა მოსარჩელე, უფლებამოსილ მძღოლებს – მოსარჩელე და ქ. ლ-ძე (შემდეგში „მძღოლი“ ან „დაზღვეული ავტომანქანის მძღოლი“), ხოლო დაზღვევის ობიექტს – „TOYOTA“-ს მარკის, „PRIUS“-ის მოდელის ავტოსატრანსპორტო საშუალება, სახელმწიფო ნომრით ... (შემდეგში „დაზღვეული ავტომანქანა“).

3. სადაზღვევო რისკებად განისაზღვრა: სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო) – ხანძარი, სეტყვა, მიწისძვრა, სხვადასხვა საგნის დაცემა, ავტოსაგზაო შემთხვევა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება/ვანდალიზმი, სტიქიური მოვლენები; მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა – ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მესამე პირის (გარდა მძღოლისა და მგზავრებისა) სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისთვის ზიანის მიყენება; მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა – უბედური შემთხვევის შედეგად მძღოლისა და/ან მგზავრის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება.

4. სადაზღვევო თანხა განისაზღვრა – 7 500 აშშ დოლარით – ავტო-

კასკოს შემთხვევაში და 5 000 აშშ დოლარით მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევასა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის თითოეულ შემთხვევაში; ასევე განისაზღვრა სადაზღვევო პრემია და გადახდის წესი: 342,60 აშშ დოლარი ჯამურად (85,65 აშშ დოლარი, ოთხი გადახდა); დაზღვევის პერიოდი მოიცავდა დროს 2019 წლის 22 თებერვლიდან 2020 წლის 22 თებერვლამდე.

5. მზღვეველს დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადახდის ფაქტი სადავოდ არ გაუხდია.

6. ხელშეკრულების მე-7 მუხლით შეთანხმდა გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდებოდა. კერძოდ, ხელშეკრულების 7.7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემოდა, თუ ავტოტრანსპორტისათვის მიყენებული ზიანი გამონვეული იყო ავტოტრანსპორტის მართვისას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების მდგომარეობაში ყოფნისას ან იმ სამკურნალო პრეპარატის მიღებისას, რომლებიც უკუნაჩვენებია ავტოტრანსპორტის მართვასთან, მიუხედავად ბრალეული მხარისა (დამზღვევის ან მესამე პირის), ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის) თანახმად მზღვეველს უფლებამოსილებას ანიჭებდა უარი ეთქვა სადაზღვევო ანაზღაურებაზე. 7.7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემოდა თუ ავტოტრანსპორტისათვის მიყენებული ზიანი გამონვეული იყო სიჩქარის გადაჭარბებით 30 კმ/ს-ზე მეტი სიჩქარით, წითელზე გავლით, გარდა იმ შემთხვევებისა თუ აღნიშნული აუცილებელია მესამე მხარის სიცოცხლისა და ქონების გადარჩენისათვის).

7. 2019 წლის 11 ოქტომბერს თბილისში, სასტუმრო „ჰუალინგ თბილისის“ ტერიტორიაზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, დაზიანდა დაზღვეული ავტომანქანა, რომელსაც მართავდა პოლისით უფლებამოსილი მძღოლი – ქ. ლ-ძე. მან გზაზე მარცხნივ შეხვევის მიზნით, გადაკვეთა უწყვეტი ღერძულა ხაზი, გადავიდა გზის საპირისპირო მხარეს და შეეჯახა საპირისპირო მიმართულებით მოძრავ „მიცუბის“ მარკის ავტომანქანას. შედეგად, მძღოლმა დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6, 6.2 და მე-7-მე-8 მუხლის მოთხოვნები და დაჯარიმდა 250 ლარით. აღნიშნული ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმი მოსარჩელემ გაასაჩივრა, თუმცა იგი არ გაუქმებულა.

8. მძღოლის სახელზე გამოწერილი ჯარიმა გადახდილია;

9. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 10 აპრილის №002286820 დასკვნაში მითითებულია შემდეგი: „შემთხვევის ადგილის ვიზუალური დათ-

ვალეირების შედეგად დადგინდა, რომ საავტომობილო გზაზე სადაც ადგილი ჰქონდა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევას, განთავსებული იყო საგზაო ნიშანი 4.1.1 „მოძრაობა პირდაპირ“, რომელიც ავალდებულებდა მძღოლს ემოდრავა მხოლოდ პირდაპირ. ნიშნის მოქმედება ვრცელდებოდა სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც დადგმული იყო ნიშანი. 4.1.1 „მოძრაობა პირდაპირ“ ნიშნის მოქმედება, რომელიც გზის დასაწყისში იყო დადგმული, ვრცელდებოდა უახლოეს გზაჯვარედინამდე. ნიშანი არ კრძალავდა მარჯვნივ მოხვევას ეზოში და გზასთან მიმდებარე სხვა ტერიტორიაზე შესასვლელად. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდებოდა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე. შესაბამისად, ნიშნის მოქმედების ზონაში ავტომობილ „ტოიოტა პრიუსის“ მძღოლს ქ. ლ-ძეს უნდა ემოდრავა პირდაპირ და არა მარცხნივ“. ამავ დასკვნაში აღნიშნულია, რომ შემთხვევის ადგილის მონაკვეთზე საპირისპირო სავალი ნაწილები ერთმანეთისაგან გაყოფილი იყო ჰორიზონტალური მონიშვნის უწყვეტი ღერძულა ხაზით, რომელიც წყდებოდა ერთ-ერთ მონაკვეთში, კერძოდ, საცხოვრებელი კორპუსებიდან გამოსასვლელის გასწვრივ. აღნიშნულ მიდამოში ღერძულა ხაზის გასწვრივ, გზის სავალ ნაწილზე მკრთალად აღინიშნებოდა უწყვეტი ღერძულა ხაზიც, რომელზეც საღებავი ფაქტიურად წაშლილი იყო და მძღოლის სამუშაო ადგილიდან ნაკლებად შესამჩნევი იყო“.

10. მზღვეველმა ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა იმ საფუძველზე, რომ მძღოლმა სამართალდარღვევა ჩაიდინა უხეში გაუფრთხილებლობით, რაც არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

11. სასარჩელო მოთხოვნა:

11.1 დამზღვევმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სადაზღვევო კომპანიის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტომანქანისათვის მიყენებული ზიანის, 2 975 ლარის, მოპასუხისთვის გადახდის დაკისრება.

11.2 მოსარჩელის განცხადებით, მის საკუთრებაში არსებული და დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, მართალია, დაზიანდა უფლებამოსილი მძღოლის, ქ. ლ-ძის მიერ მანევრირების ნესების დარღვევის შედეგად, თუმცა სადაზღვევო კომპანიამ უსაფუძვლოდ არ აანაზღაურა დამდგარი შედეგი და მიუთითა მძღოლის უხეშ გაუფრთხილებლობაზე, რაც არასწორია და არ შეესაბამება რეალობას. აღნიშნულის საპირისპიროს ადასტურებს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა.

12. მოპასუხის შესაგებელი:

12.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ დაზღვეული ავტომანქანის მძღოლმა სამართალდარღვევა ჩაიდინა უხეში გაუფრთხილებლობით, რაც მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია. ამასთან, მიღება-ჩაბარების დოკუმენტით ავტომობილის შეკეთების ხარჯის გაწევის ფაქტი ვერ დადასტურდება და იგი ვერ გაუთანაბრდება თანხის გადახდის დადასტურებელ მტკიცებულებას.

13. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივროლუციო ნაწილი:

13.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2 975 ლარის ანაზღაურება.

14. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი:

14.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

15.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 5 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15.2. სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-10 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 799.1, 829-ე მუხლებით და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დგინდებოდა ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მძღოლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობის ფაქტი და მძღოლი მოქმედებდა მარტივი გაუფრთხილებლობით, რაც სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად ვერ განიხილებოდა.

15.2. სასამართლომ ასევე შეაფასა ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა, იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 820-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, უდავო იყო დაზიანებული ავტომანქანის აღდგენის ფაქტი და მხარეები სადავოდ ხდიდნენ ამ ავტომანქანის აღდგენისთვის გაწეული ხარჯის ოდენობას. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ფოტოსურათებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით დგინდე-

ბოდა, თუ რა ოდენობის ხარჯი გასწია მოსარჩელემ დაზღვეული ავტომანქანის შეკეთებისთვის, მოპასუხეს კი არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც ამ ხარჯის სხვაგვარად გამოთვლის ან/და გაქარწყლების შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს.

16. კასატორის მოთხოვნა და საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

16.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, მოითხოვა სასაჩივრებელი განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

16.2. კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არასწორად დაასკვნა, რომ სადაზღვეო შემთხვევა არ შედიოდა პოლისით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში. სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები არსებითად ეწინააღმდეგება ხელშეკრულების პირობებს და მსგავს საკითხზე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუსგ საქმე №ას-1306-1226-2015; №ას-943-901-2013; №ას-1319-1257-2014 და ა.შ).

16.3. სასამართლომ მიიჩნია, რომ მძღოლი არ მოქმედებდა უხეშო გაუფრთხილებლობით და ეს დასკვნა იმ მსჯელობით გაამყარა, რომ ღერძულა ხაზის გასწვრივ გზის სავალ ნაწილზე მკრთალად აღინიშნებოდა უწყვეტი ღერძულა ხაზი, რომელზეც საღებავი ფაქტიურად წაშლილი და მძღოლის სამუშაო ადგილიდან ნაკლებად შესამჩნევი იყო. კასატორის აზრით, ორივე ინსტანციის სასამართლო ვალდებული იყო, განემარტა, თუ რატომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და შედავება ან თავად სამართალდამრღვევი მძღოლის მიერ გაცხადებული ინფორმაცია, რომ მან შეგნებულად გადაწყვიტა მოკლე გზით სამსახურში მისვლა, იმის მიუხედავად, რომ იცოდა მოცემულ ადგილზე დაუშვებელი იყო შეხვევა, რასაც კრძალავდა საგზაო ნიშანიც 4.1.1 „მოძრაობა პირდაპირ“. თუ ღერძულა ხაზი წაშლილი იყო და ისიც გზის მცირე მონაკვეთზე და შემთხვევის ადგილზე, საგზაო ნიშანი ხომ ვერ იქნებოდა მძღოლისთვის შეუმჩნეველი. მძღოლმა უგულებელყო ეს ნიშანი. შესაბამისად, სახეზეა მოძრაობის წესების ისეთი დარღვევა, რომელიც უნდა შეფასდეს უხეშ გაუფრთხილებლობად.

16.4. კასატორის მითითებით, სასამართლომ ასევე არასწორად იმსჯელა როგორც დაზიანებული ავტომანქანის აღდგენისა და შეკეთების ხარჯის, ისე მხარის მიერ გაღებული იურიდიული მომსახურების ხარჯის გადახდასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

17. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

17.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 6 მარტის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექს-

სის, 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე პალატის 2023 წლის 2 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსკ-ის 391-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

18. სსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზიები ნაწილობრივ საფუძვლიანია, რის გამოც, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

19. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრით სადავოდაა გამხდარი ავტოსაგზაო შემთხვევისას დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის ბრალის ხარისხის სათანადო შეფასება სააპელაციო სასამართლოს მიერ. კასატორი აცხადებს, რომ სააპელაციო პალატამ მძღოლის ქმედება არასწორად შეაფასა და იგი ნაცვლად უხეში გაუფრთხილებლობისა, დააკვალიფიცირა მარტივ გაუფრთხილებლობად, რის გამოც, არასწორად დაადგინა, რომ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანი მოპასუხეს უნდა აენაზღაურებინა. ამდენად, საკასაციო პალატის შეფასების საგანია, არსებობდა თუ არა სსკ-ის 829-ე მუხლით (მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით) გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისაგან მოპასუხის გათავისუფლების საფუძველი.

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, მზღვეველმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს დამზღვევის მიმართ საკუთარი ვალდებულებების განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელოს სადაზღვევო ხელშეკრულების დებულებებით.

21. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი მზღვეველს ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან დამზღვევის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებმა აღნიშნულისაგან განსხვავებულ პირობაზე შეთანხმების სურვილის არსებობისას (კერძოდ, ბრალის მიუხედავად მზღვეველის მხრიდან ანაზღაურების ვალდებულება), ამის შესახებ ხელშეკრულებაში პირდაპირ უნდა მიუთითონ. თუ ხელშეკრულებით მხარეები პირდაპირ არ გაითვალისწინებენ ამ პირობას (პირდაპირ არ შეთანხმდებიან დამზღვევის ბრალით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ), აღნიშნული შემთხვევა დარეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლით, რომელიც განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მომხდარი შემთხვევისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გამორიცხავს (იხ. სუსგ საქმე №ას-1319-1257-2014, 30 ოქტომბერი, 2015 წელი).

22. ამდენად, საკასაციო პრეტენზიის საფუძვლიანობის კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, მართებულად შეფასდეს მძღოლის ბრალეულობა, კერძოდ, მისი მხრიდან აშკარაა უხეში გაუფრთხილებლობა თუ ვლინდება მარტივი გაუფრთხილებლობისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც განაპირობებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

23. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე ნამოჭრილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: დამზღვევმა უნდა ამტკიცოს სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის *causa proxima*-ს არსებობა, მზღვეველმა კი უნდა ამტკიცოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი წარმოადგენს კანონის ან ხელშეკრულების გამონაკლისს, რის გამოც, მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო დაფარვა (იხ. სუსგ საქმე №ას-1091-2022, 23 თებერვალი, 2023 წელი).

24. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას გაამახვილებს მხარეთა შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულების პირობებსა და სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის მოთხოვნებზე ერთობლივად და განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტებით შეთანხმდა გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც დამზღვევს ათავისუფლებდა სადაზღვევო ანაზღაურებისგან. მათ შორისაა 7.7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლითაც შეთანხმდა, რომ სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემოდა, თუ ავტოტრანსპორტისთვის მიყენებული ზიანი გამომწვეული იყო ავტოტრანსპორტის მართვისას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების მდგომარეობაში ყოფნისას ან იმ სამკურნალო პრეპარატის მიღებისას, რომლე-

ბიც უკუჩვენებაშია ავტოტრანსპორტის მართვასთან, მიუხედავად ბრალეული მხარისა (დამზღვევის ან მესამე პირის), ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის) თანახმად, მზღვევებს უფლებამოსილებას ანიჭებდა უარი ეთქვა სადაზღვევო ანაზღაურებაზე. ამდენად, ნათელია, რომ მხარეებმა, ერთი მხრივ, სახელშეკრულებო პირობით, ხოლო მეორე მხრივ, ამავე ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაზე (სსკ 829-ე მუხლის დანაწესი) მითითებით გამორიცხეს მზღვევლის ვალდებულება ისეთი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, როდესაც შედეგი გამონეუული იქნებოდა დაზღვეულის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

25. საკასაციო პალატამ სსკ-ის 829-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის კონტექსტში არაერთხელ განმარტა „უხეში გაუფრთხილებლობის“ დეფინიცია. მაგალითად, საქმეში №ას-1479-2019, 21.01.2020წ., სადაც სადაზღვევო კომპანია მიუთითებდა მძღოლის უხეშ გაუფრთხილებლობაზე, როგორც ზარალის ანაზღაურების გამომრიცხველ გარემოებაზე, დადგინდა, რომ მძღოლის ბრალეულობა გამოიხატა მარტივ გაუფრთხილებლობაში და არა გაზრახვასა თუ უხეშ გაუფრთხილებლობაში. ამგვარი დასკვნა დაეფუძნა საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტებს: დაზღვეულ ავტომობილს მართავდა უფლებამოსილი მძღოლი; ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას; ავტოსაგზაო შემთხვევისას მძღოლი იმყოფებოდა ფხიზელ მდგომარეობაში; მძღოლი მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით საკუთარ ზოლში; შემთხვევა მოხდა ღამით, უამინდობისას; ავტოსაგზაო შემთხვევისას მძღოლს არ აღენიშნებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ამ ფაქტების ერთობლიობა, საქმის მასალების გათვალისწინებით, იძლეოდა დამზღვევის მოქმედების მარტივ და არა უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი შემთხვევის ადგილის სქემის მიხედვით, მძღოლი მოძრაობდა მის სავალ ზოლში. არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა შემთხვევის დროს მძღოლის მხრიდან გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა ან/და მისი ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნა.

26. სხვა საქმეში (იხ. სუსს საქმე №ას-943-901-2013, 17 თებერვალი, 2014 წელი), რომლითაც დაუშვებლობის გამო განუხილველად დარჩა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი, სადავო იყო სწორედ სამინისტროს უფლებამოსილი მძღოლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ საქმეში საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო

სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილზე მოქმედი საგზაო ნიშნების უგულებელყოფისა და სიჩქარის გადაჭარბების ფაქტის არსებობის გამო სახეზე იყო უხეში გაუფრთხილებლობა, რის გამოც, მოპასუხე სადაზღვევო კომპანიას არ ეკისრებოდა თანხის ანაზღაურების ვალდებულება.

27. მსგავსი განმარტება გააკეთა საკასაციო სასამართლომ საქმეებში №ას-943-901-2013, №ას-1319-1257-2014 და უხეშ გაუფრთხილებლობად შეაფასა უფლებამოსილი მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების (მანევრირების წესებისა და საგზაო ნიშნების უგულებელყოფა) დარღვევა („ავტომობილის მძღოლმა, რომელიც მოძრაობდა გადაჭარბებული, 70 კმ/სთ სიჩქარით, მაშინ, როდესაც დასაშვები სიჩქარე 40 კმ/სთ იყო, ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოება, გადაკვეთა უწყვეტი ღერძულა ხაზი, გადავიდა საპირისპირო მიმართულებით სამოძრაო ზოლში და შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსს“ (იხ. სუსგ საქმე №ას-943-901-2013); „ავტოვარია გამოიწვია მძღოლის უხეშმა გაუფრთხილებლობამ – „ავტოსაგზაო შემთხვევა განაპირობა მძღოლის მიერ მანევრირების წესების უგულებელყოფამ, რომელთა დაცვის შემთხვევაში, მას შეეძლო საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. ამასთან, წარმოდგენილი ავტოტექნიკური და ავტოტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ ავტომობილი „შკოდა ოქტავია“ სახელმწიფო ნომრით ... შეეჯახებამდე მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით“ (იხ. სუსგ საქმე №ას-1319-1257-2014).

28. ამდენად ზემოაღნიშნული განმარტებებით ნათლადაა გამიჯნული, თუ რა შემთხვევებში შეიძლება სამართალდამრღვევი მძღოლის ქმედება შეფასდეს უხეშ გაუფრთხილებლობად და რა შემთხვევებში – მარტივ გაუფრთხილებლობად.

29. წინამდებარე საქმეში, ვინაიდან სადავოა დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის ბრალის ხარისხის ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სათანადო შეფასება, საკასაციო პალატა ზემოთ მითითებულ მსჯელობებთან ერთად ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ და მხარეთა მიერ შეუდავებელ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ა) ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 2019 წლის 11 ოქტომბერს თბილისში, სასტუმრო „ჭუალინგ თბილისის“ ტერიტორიაზე;

ბ) დაზღვეულ ავტომანქანას მართავდა ქ. ლ-ძე, რომელმაც გზაზე მარცხნივ შეხვევის მიზნით გადაკვეთა უწყვეტი ღერძულა ხაზი, გადავიდა გზის საპირისპირო მხარეს და შეეჯახა საპირისპირო მიმართულებით მოძრავ „მიცუბის“ მარკის ავტომანქანას. შედეგად, დაზიანდა დაზღვეული ავტომანქანა;

გ) დაზღვეული ავტომანქანის მძღოლი მუშაობდა სასტუმრო „ჭუა-ლინგ თბილისში“;

დ) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმით ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევად ცნობილი იქნა დაზღვეული ავტომანქანის მძღოლი, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6, 6.2, მე-7 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის დაჯარიმდა 250 ლარით;

ე) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 10 აპრილის №002286820 დასკვნაში მითითებულია შემდეგი: „ნარმოდგენილი საპატრულო პოლიციის სამხრე კამერის ჩანაწერის და ფოტომასალის მიხედვით ირკვევა, რომ შემთხვევის ადგილი მდებარეობს ქ. თბილისში, კერძოდ ვარკეთილში, ჭუალინგის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ორგანიზებულია ორმხრივი მოძრაობა და საავტომობილო გზა გაყოფილია ოთხ სამოძრაო ზოლად. როგორც საპატრულო პოლიციის სამხრე კამერების ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, ავტომობილი „ტოიოტა პრიუსი“ თავისი მოძრაობის მიმართულების მიხედვით აპირებდა მარცხნივ მოხვევის მანევრის განხორციელებას, რა დროსაც მას შეეჯახა მისგან საპირისპირო სამოძრაო ზოლში მოძრავი ავტომობილი „მიცუბიში აირტეკი“. შემთხვევის ადგილის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საავტომობილო გზაზე, სადაც ადგილი ჰქონდა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევას, განთავსებული იყო საგზაო ნიშანი 4.1.1 „მოძრაობა პირდაპირ“ (რომელიც ავალდებულებს მძღოლს იმოძრაოს მხოლოდ პირდაპირ. ნიშნის მოქმედება ვრცელდებოდა სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც ნიშანია დადგმული. 4.1.1 „მოძრაობა პირდაპირ“ ნიშნის მოქმედება, რომელიც გზის დასაწყისშია დადგმული, ვრცელდება უახლოეს გზაჯვარედინამდე. ნიშანი არ კრძალავს მარჯვნივ მოხვევას ეზოში და გზასთან მიმდებარე სხვა ტერიტორიაზე შესასვლელად. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე). შესაბამისად, ნიშნის მოქმედების ზონაში ავტომობილ „ტოიოტა პრიუსის“ მძღოლს ქ. ლ-ძეს უნდა ემოძრავა პირდაპირ და არა მარცხნივ“. ამავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე საპირისპირო სავალი ნაწილები ერთმანეთისგან გაყოფილია ჰორიზონტალური მონიშვნის უწყვეტი ღერძულა ხაზით, რომელიც წყდება ერთ-ერთ მონაკვეთში, კერძოდ, საცხოვრებელი კორპუსებიდან გამოსასვლელის გასწვრივ. აღნიშნულ მიდამოში, ღერძულა ხაზის გასწვრივ, გზის სავალ ნაწილზე მკრთალად აღინიშნება უწყვეტი ღერძულა ხაზიც, რომელზეც სალებავი არის ფაქტიურად წაშლილი და მძღოლის სამუშაო ადგილიდან

არის ნაკლებად შესაძლებელი“;

ე) შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის პატაკში აღნიშნულია შემდეგი: „ტოიოტა პრიუსი“ აპირებდა შეხვევას და მანევრის განხორციელებას მარცხნივ, სასტუმრო „ჭუალინგის“ უკანა მხარეს. არსებულ გზაზე გადაკვეთა ღერძულა ხაზი, რა დროსაც მარჯვენა ბორტში წინა ნაწილით შეეჯახა „მიცუბის“ მარკის ავტომანქანას“.

30. მითითებული გარემოებების ერთობლივი შეფასების შედეგად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ ვინაიდან სამართალდარღვევის ადგილას მკრთალად აღინიშნებოდა უწყვეტი ღერძულა ხაზი (გზის ამ მონაკვეთზე საღებავი ფაქტობრივად ნაშლილი იყო), რასაც ნაკლებად შეამჩნევდა მძღოლი, აღნიშნული მოსარჩელის ქმედების მარტივ გაუფრთხილებლობად კვალიფიკაციის შესაძლებლობას ქმნიდა.

31. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს 2020 წლის 10 აპრილის №002286820 საექსპერტო დასკვნის შინაარსს, სადაც ექსპერტი, გარდა იმისა, რომ საუბრობს უწყვეტი ღერძულა ხაზის მძღოლის მიერ სავარაუდო შეუმჩნეველობაზე, აქვე ხაზგასმით მიუთითებს გზის ამავე მონაკვეთში საგზაო მოძრაობის ნიშნის – „მოძრაობა პირდაპირ“ არსებობაზე და განმარტავს, რომ მითითებული ნიშნის მოქმედება ვრცელდებოდა გზის სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, სადაც მოძრაობდა სამართალდამრღვევი, შესაბამისად, ნიშნის მოქმედების ზონაში მძღოლს უნდა ემოძრავა პირდაპირ და არა მარცხნივ.

32. აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებაზე ხაზგასმით მიუთითებს მოპასუხეც მის მიერ სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში და აღნიშნავს, რომ მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის ნიშნის – „მოძრაობა პირდაპირ“ – უგულებელყოფას ადასტურებს როგორც ექსპერტი (2020 წლის 10 აპრილის საექსპერტო დასკვნაში), ასევე თავად სამართალდამრღვევი ავტოსაგზაო შემთხვევის აქტზე ხელმოწერით.

33. ამდენად, იმ პირობებშიც კი, თუ სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევდა ავტომობილით მოძრაობისას უწყვეტი ღერძულა ხაზის მძღოლის მიერ შეუმჩნეველობის ფაქტს, საექსპერტო დასკვნაში, ასევე მოპასუხის მიერ წარდგენილ შესაგებელში ასახული ფაქტობრივი გარემოებებისა და მსჯელობის ურთიერთშეჯერებით, მას უნდა შეეფასებინა ჩაითვლებოდა თუ არა საგზაო მოძრაობის ნიშნის – „მოძრაობა პირდაპირ“ – მოქმედების უგულებელყოფა მძღოლის მიერ უხეშ გაუფრთხილებლობად.

34. საგულისხმოა მსგავს საკითხებზე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკაც (იხ. წინამდებარე განჩინების 25-27 პუნქტები).

35. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

36. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და მსგავს დევებზე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რომელმაც საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემული მსჯელობების შესაბამისად, უნდა შეამოწმოს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტომანქანისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის ბრალის ხარისხის გათვალისწინებით და საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად, იმსჯელოს სარჩელის საფუძველიანობაზე.

37. რაც შეეხება დაზიანებული ავტომანქანის აღდგენისა და შეკეთების ხარჯის სასამართლოს მიერ არასწორად განსაზღვრის შესახებ მოპასუხის (კასატორის) პრეტენზიას, ვინაიდან მითითებული საკითხი სასარჩელო მოთხოვნის თანმდევი იურიდიული შედეგია, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ იგი უნდა შეაფასოს ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობასთან მიმართებით.

38. საქმის ხელახლა განხილვისას, ასევე, უნდა შეაფასდეს მოპასუხის პრეტენზია იურიდიული მომსახურების ხარჯის გადახდასთან დაკავშირებულ საკითხებზეც.

39. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს.კ.უ-ის“ საკასაციო საჩივარი, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 5 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამზღვრვის ბრალი
სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

გადანაწესილება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-501-2024

28 ივნისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: სადაზღვევო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ (შემდგომ – სამინისტრო, დამზღვევი, მოსარჩელე, აპელანტი) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს.კ.უ-ის“ (შემდგომ – მზღვეველი, სადაზღვევო კომპანია, მოპასუხე, კასატორი) მიმართ 17 865 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2022 წლის 29 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად, სამინისტროს ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალება ავტომანქანა „ტოიოტა“, სახელმწიფო ნომრით ..., დაიზღვა. 2022 წლის 26 მაისს, ქ. თბილისში, ..., ავტოსაგზაო შემთხვევისას, დაზღვეული ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ბ. ოძე (შემდგომ – მძღოლი, მესამე პირი), შეეჯახა ავტომობილ BMW-ს, სახელმწიფო ნომრით ..., რომელსაც მართავდა თ. ი-ია. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე, საჯარიმო ქვითარი გამოიწერა ავტომობილ „ტოიოტას“ მიმართ, საგზაო ნიშნის – „დაუთმე გზის“ დაუმორჩილებლობისათვის.

3. მოსარჩელის განმარტებით, საგზაო ნიშანი, „დაუთმე გზა“, არ იყო განთავსებული თვალსაჩინოდ, მას ეფარებოდა იქვე არსებული ხეების ტოტები, რის გამოც მძღოლმა ვერ დაინახა. დაზიანებული ავტომობილების შეკეთების ღირებულება, დაზღვეული ავტომანქანის შემთხვევაში, შეადგენს 12 890 ლარს, ხოლო ავტომობილ BMW-ის – 4 975 ლარს. მძღოლმა აანაზღაურა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მეორე მძღოლისათვის მიყენებული ზიანი 9 000 ლარი. სადაზღვევო კომპანია უარს

აცხადებს, როგორც დამზღვევის, ისე მეორე მძღოლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

მოპასუხის შესაგებელი

4. მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, მოსარჩელის მითითება – საგზაო ნიშანი „დაუთმე გზა“, არ იყო განთავსებული თვალსაჩინოდ და მას ეფარებოდა იქვე არსებული ხეების ტოტები, გაქარწყლებულია ექსპერტიზის დასკვნით, ფოტომტკიცებულებებითა და ვიდეომასალით, რომლებიც გადაღებულია როგორც უშუალოდ შემთხვევის დროს, ასევე – შემთხვევის შემდეგ. დგინდება, რომ დამნაშავე მძღოლს არ ჰქონდა შემაფერხებელი გარემოება, ხილვადობა იყო საკმარისი უსაფრთხო გადაადგილებისთვის, სავალი გზის ზედაპირი იყო მშრალი, მაგრამ ავტომობილის მართვისას მან გამოიჩინა უყურადღებობა, გულგრილობა, მეტისმეტი დაუდევრობა, მძღოლმა არ დაიცვა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნები, რასაც მოჰყვა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. ამდენად, დგინდება, რომ შემთხვევა გამონეუულია დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით, რაც ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს დაეკისრა 17 865 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ; მოპასუხესვე დაეკისრა 1250.55 ლარის გადახდა, მოსარჩელის მიერ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, მხარეთა შორის გაფორმებულია დაზღვევის ხელშეკრულება; დამზღვევის მიერ შესრულებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკით სადაზღვეო პრემიის გადახდის თაობაზე ვალდებულება; სადაზღვევო შემთხვევისას დაზიანდა დაზღვეული ავტომანქანა; მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევის

გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარს აცხადებს იმ საფუძვლით, რომ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით; ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალეულ პირად მიჩნეული იქნა დაზღვეული ავტომანქანის მძღოლი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე. შედავებული არ არის, რომ არ დასტურდება მძღოლის მხრიდან სიჩქარის გადაჭარბების ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, შესაფასებელია მხოლოდ ის გარემოება, რაზეც აპელანტი სარჩელშივე (და სააპელაციო საჩივარშიც) ამახვილებდა ყურადღებას სუბიექტური და ობიექტური თვალსაზრისით – იგი მოძრაობდა მთავარ თუ მეორეხარისხოვან გზაზე, ანუ საგზაო ნიშანი „დაუთმე გზა“ მძღოლისათვის იყო თუ არა ხილვადი და აღქმადი, რადგან, მისივე განმარტებით, მთავარი და მეორე ხარისხოვანი გზების სხვა განმასხვავებელი ნიშანი არ არსებობდა – გზები თავისი პარამეტრებით ერთმანეთის ტოლი იყო და ეს გარემოება საქმის მასალებით სადავოდ არ გამხდარა. აპელანტს საგზაო მონიშვნა ან ნიშანი მთავარი გზის აღსანიშნავად საერთოდ არ შეუმჩნევია. მან ფიზიკურად ვერც „დაუთმე გზის“ ამკრძალავი ნიშანი ვერ დაინახა, რადგან შემთხვევის დროს არსებული აყვავებული და გაფოთლილი ხეების ტოტების გამო არ ჩანდა არცერთი ამკრძალავი ნიშანი.

9. სწორედ ზემოაღნიშნული გარემოების გაანალიზებისათვის პალატამ მიუთითა ავტოსაგზაო შემთხვევისა და ექსპერტიზის დროს შორის არსებულ ინტერვალზე (26 მაისი და 14 ოქტომბერი). შემთხვევის დროიდან ექსპერტიზამდე თითქმის ხუთი თვე იყო გასული და მოიცავდა გაზაფხულს, ზაფხულსა და შემოდგომას, რომელიც საქართველოში, კერძოდ, თბილისში ბუნების სეზონური ცვალებადობით გამოირჩევა. სწორედ ამ გარემოებას უსვამდა ხაზს აპელანტი ერთმნიშვნელოვნად, როდესაც განმარტავდა, რომ შემთხვევის დროს არსებული აყვავებული და გაფოთლილი ხეების ტოტების გამო არ ჩანდა არცერთი ამკრძალავი ნიშანი. ამ ფაქტორის გათვალისწინებით კი, სააპელაციო პალატამ დადასტურებულად ვერ მიიჩნია ის გარემოება, რომ 14 ოქტომბერს ექსპერტის მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, საგზაო ნიშნის, „დაუთმე გზა“, ხილვადობა იქნებოდა ზუსტად ისეთივე, როგორიც 26 მაისს.

10. პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების ერთობლიობა ქმნიდა მძღოლის მოქმედების მარტივ და არა უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას, დამზღვევის მხრიდან არ იკვეთებოდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევა და არამართლზომიერია ამ მოტივით სადაზღვევო კომპანიის უარი ზიანის ანაზღაურებაზე. მნიშვნელოვანია, რომ

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის საფუძველზე, რომელიც არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას, არ დგინდება, მძღოლის ბრალეულობის ხარისხი. ამასთან, სადავო არ გამხდარა, დაზიანებული ავტონაწილებისა და შესაბამისი სარემონტო მომსახურების ღირებულების შესახებ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა, რის გამოც მოპასუხე არ არის უფლებამოსილი, უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე. შესაბამისად, დაზღვეული ავტომანქანის შეკეთების ღირებულების – 17 865 ლარის ანაზღაურების მოპასუხისთვის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა პალატამ კანონიერად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

11. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვდა.

12. სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა მძღოლის ბრალის ხარისხი მარტივ გაუფრთხილებლობად. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მან უხეში გაუფრთხილებლობა გამოიჩინა. აპელანტის დაუსაბუთებელი მითითების საპირწონედ მოპასუხემ წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ავტოსაგზაო შემთხვევასა და ექსპერტიზას შორის დროის ინტერვალის გამო. ამ დროს მტკიცებულება ერთადერთია, რომელითაც შესწავლილი და დასურათებულია შემთხვევის ადგილი. დასკვნით დგინდება, რომ საგზაო ნიშნის შემჩნევისათვის დამაბრკოლებელი გარემოება ხეები არ არის. აღსანიშნავია, ისიც, რომ თუნდაც მძღოლს ვერ შეემჩნია საგზაო ნიშანი, საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის შესაბამისად, ისედაც მას უნდა დაეთმო გზა. გარდა ამისა, დადგენილია, რომ საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სწორედ დაზღვეული მძღოლი დაჯარიმდა სამართალდარღვევისათვის. ამრიგად, ვლინდება უხეში გაუფრთხილებლობის დამადასტურებელი აუცილებელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

სამოტივაციო ნაწილი:

13. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემო-

ებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 799.1 (დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა, გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება), 820-ე (ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით) და 821-ე (მზღვეველი ზიანს ანაზღაურებს მხოლოდ სადაზღვევო თანხის ფარგლებში) მუხლები.

16. კასატორი მიუთითებს კანონით გათვალისწინებულ ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძველზე, კერძოდ, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამოსარიცხად მოსარჩელის უხეშ გაუფრთხილებლობაზეც მიუთითებს. საკასაციო პალატა იზიარებს გაუფრთხილებლობის ხარისხის განსაზღვრის თაობაზე კასატორის პრეტენზიას შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სსკ-ის 829-ე მუხლიდან (მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევემა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით) გამომდინარე, დამზღვევის მიერ განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევა მზღვეველის ვალდებულებისაგან გათავისუფლების კანონიერი საფუძველია. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მზღვეველი არ თავისუფლდება ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ დამზღვევემა შემთხვევა გამოიწვია მართივი გაუფრთხილებლობით. სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალურ დეფინიციას. ამდენად, მისი არსებობა უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის განმარტებით და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად. მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ

მაღალი ხარისხით (იხ.: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.; №ას-254-2023, 07.06.2023წ.; №ას-865-2023, 29.09.2023წ.). უხეში გაუფრთხილებლობა გულისხმობს აუცილებელი წინდახედულობის ნორმების განსაკუთრებით მძიმე დარღვევას (იხ.: სუსგ №ას-654-2019, 26.06.2020წ.; №ას-499-2023, 07.06.2023წ.). თავის მხრივ, წინდახედულება განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამრღვევი არ ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

18. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე ნამოჭრილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: დამზღვევმა უნდა ამტკიცოს სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის *causa proxima*-ს არსებობა, მზღვეველმა კი უნდა ამტკიცოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი წარმოადგენს კანონის ან ხელშეკრულების გამონაკლისს, რის გამოც მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო დაფარვა (იხ. სუსგ №ას-1091-2022, 23.02.2023წ.).

19. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2022 წლის 26 მაისს თბილისში, ... ქუჩა №29-ში, ავტოსაგზაო შემთხვევისას სამინისტროს ბალანსზე რიცხული და მოპასუხე სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეული ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით ..., რომელსაც მართავდა მესამე პირი, შეეჯახა BMW მარკის ავტომობილს, სახელმწიფო ნომრით ... ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალეულ პირად მიჩნეულ იქნა მესამე პირი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე. სამართალდარღვევის ოქმი არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

20. მოსარჩელე არ ეთანხმება მისი მხრიდან ჩადენილი სამართალდარღვევის მხოლოდ უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასებას იმ საფუძველით, რომ „დაუთმე გზა“, ამკრძალავი ნიშანი, ვერ დაინახა, რამდენადაც, შემთხვევის დროს არსებული აყვავებული და გაფოთლილი ხეების ტოტების გამო, არ ჩანდა ნიშანი. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტის საწინააღმდეგოდ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ „შემთხვევის ადგილის, ავტომობილების დაზიანებების, გზის საფარის და დოკუმენტების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შემთხვევაში დამნაშავე ავტომობილის მძღოლს არ ჰქონდა შემაფერხებელი გარემოება, ხილვადობა იყო საკმარისი უსაფრთხო გადაადგილებისთვის, სავალი გზის ზედაპირი იყო მშრალი.“ ექსპერტმა დაადგინა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით, მძღოლს არ ჰქონდა მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოება, უნდა შეესრულებინა საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნები და მისი ქმედებები არ გამოიწ-

ვევდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას.

21. სააპელაციო პალატამ ექსპერტიზის დასკვნა არ გაიზიარა იმ საფუძვლით, რომ ის ავტოსაგზაო შემთხვევიდან 5 თვის შემდეგ იყო ჩატარებული, შესაბამისად, პალატამ ექსპერტიზის დასკვნა უარყო იმ ვარაუდით, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, სეზონის (გაზაფხული) მიხედვით, აყვავებული და გაფოთილი ხეების ტოტები დაფარავდა ნიშანს, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის ჩატარებისას (შემოდგომით) ფოთლები ნიშანს არ ფარავდა. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და მიუთითებს, როდესაც ექსპერტიზის დასკვნის გასაბათილებლად საპირისპირო მტკიცებულება საქმეში წარმოადგენილი არ არის, ზემოხსენებული ვარაუდი ვერ გამოდგება მტკიცებულების გაზიარებაზე უარის თქმის საფუძვლად. მით უფრო, მიუხედავად დროის სხვაობისა, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნას თან ახლავს ანალიზი, დასურათება და ვიდეომასალა. დასურათებაში კარგად ჩანს, რომ ხეებსა და სავალი ნაწილის გვერდით გაშენებულ მცენარეულ საფარს, ხეებს კვლავ აქვს ფოთლები. ექსპერტის კვლევა არ ეყრდნობა იმგვარ პერიოდში გადაღებულ ფოტო და ვიდეომასალას, რომ გაფოთილი ხეების მფარავი ეფექტი გამორიცხულიყო. ექსპერტიზის დასკვნიდან ირკვევა, რომ კასატორმა ექსპერტიზის ჩატარებლად საექსპერტო დაწესებულებას მიმართა 2022 წლის 14 ივნისის და სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად წარუდგინა ფოტომასალა, რაც გამოყენებულია კიდეც კვლევის პროცესში.

22. სსსკ-ის 102-ე-105-ე მუხლების შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხის მხოლოდ ზეპირსიტყვიერი განმარტება ვერ გამოდგება ექსპერტიზის დასკვნის გასაბათილებლად, რომელიც დარღვევას ადგენს და რომელიც სპეციალური ცოდნის მქონე ექსპერტის მიერ არის შედგენილი. მოპასუხეს სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით შეეძლო, სასამართლოსათვის შეეთავაზებინა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მოსარჩელის მიერ წარდგენილ დასკვნას ეჭვქვეშ დააყენებდა, სასამართლოს კი დაარწმუნებდა, რომ წინდახედულების გამოჩენის შემთხვევაშიც კი, საგზაო ნიშნის დანახვა შეუძლებელი იყო. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხოლოდ მძღოლის განმარტება, რომ ვერ დაინახა საგზაო ნიშანი, რადგან ხის ტოტები ეფარებოდა და კარგად არ ჩანდა, არ არის საკმარისი ზემოხსენებული მტკიცებულების გასაბათილებლად. მით უმეტეს, აღსანიშნავია, რომ „ერთი მხარის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებითი მნიშვნელობის შეფასება დამოკიდებულია მეორე მხარის კვალიფიციურ შედავებაზე. ცხადია, აქ მხოლოდ მონინაალმდევე მხარის ზეპირსიტყვიერი, ექსპერტიზის დასკვნის საწინააღმდეგო მოსაზრება არ იგულისხმება. ამდენად, ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი ექ-

სპერტიზის დასკვნის გაქარწყლების ვალდებულება, მტკიცებულება-თა შეფასების ეტაპზე უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონეა. კერძო დავებზე წარმატების მისაღწევად კი, მხარეებმა ჯეროვნად უნდა განკარგონ თავიანთი საპროცესო უფლებები, რაც დავის ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებისა და მათი რელევანტური მტკიცებულებებით დამტკიცების ტვირთის რეალიზებაში მდგომარეობს. ამ უფლებით თანაბრად სარგებლობს როგორც მოსარჩელე (სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება), ასევე, მოპასუხე (სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების გაქარწყლება)“ (იხ.: სუსგ №ას-671-2023, 12.09.2023წ.; ილონა გაგუა, „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, გვ: 117-121. რედაქტორები: ზ. ძლიერიშვილი, ნუნუ კვანტალიანი). კასატორის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საპირწონედ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა ვერცერთი კონკრეტული მტკიცებულება, რაც დადასტურებდა მისი პოზიციის მართებულობას.

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია მოსარჩელის კუთვნილი ავტომობილის მძღოლის მიერ მნიშვნელოვანი საგზაო მოძრაობის – ამკრძალავი ნიშნის უგულებელყოფამ. გზაჯვარედინზე ამგვარი წესის უგულებელყოფა და, ნაცვლად გზის სავალი ნაწილის დათმობისა, ავტომობილის ექსპლუატაციის გაგრძელება და მოძრაობის სახიფათო მონაკვეთზე შემხვედრ ავტომობილთან შეჯახება, დადგენილი წესრიგის დარღვევაა უხეში დაუდევრობის მაღალი სტანდარტით. წინდახედულების ობიექტური მასშტაბით შეფასებისას, აღნიშნული მიიჩნევა სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ყურადღებიანობის მოთხოვნების დარღვევად. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების ერთობლიობა ქმნის მძღოლის მოქმედების უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საფუძველს, დამზღვევის მხრიდან ვლინდებოდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის მძიმე დარღვევა და მართლზომიერია ამ მოტივით სადაზღვევო კომპანიის უარი ზიანის ანაზღაურებაზე.

24. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტი-

ლება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

25. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

26. განსახილველ შემთხვევაში, სსსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, მოსარჩელეს დაეკისრება 893 ლარის გადახდა მოპასუხის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს.კ.უ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი ადანყვეტილება;
3. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაეკისროს 893 ლარის გადახდა სს „ს.კ.უ-ის“ სასარგებლოდ;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება

ბანკინება საქართველოს სახელმთო

№ას-702-702-2018

29 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების
ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა (შემდგომში – „სამინისტრო“) და სს „ს.კ.ი.ე.ს“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „მზღვეველი“, „სადაზღვევო კომპანია“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) შორის 2016 წლის 27 იანვარს დაიდო №50 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მზღვეველმა იკისრა ვალდებულება, დაეზღვია სამინისტროს თანამშრომლების, მათ შორის, გ. ხ-ძის (შემდგომში – „დაზღვეული“ ან „პაციენტი“) ჯანმრთელობა.

2. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, დაზღვეულზე გაიცა NC124702 სადაზღვევო პოლისი. სადაზღვევო პოლისით განისაზღვრა დაზღვევის პერიოდი 2016 წლის 01 თებერვლიდან 2017 წლის 31 იანვრამდე.

3. ხელშეკრულების 3.3.5.2 პუნქტის მიხედვით, სამინისტრო იღებდა ვალდებულებას, მზღვეველისათვის საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 05 რიცხვამდე ეცნობებინა სამინისტროს თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

4. მზღვეველმა 27.07.2016 წელს გასცა №1310816 საგარანტიო წერილი დაზღვეულის გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების განევის შესახებ 5390 ლარის ღირებულების ფარგლებში. საგარანტიო წერილის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2016 წლის 20 აგვისტომდე.

5. შპს „აკად. გ.ჩ.ს.გ.კ.ც-ში“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „სამედიცინო დაწესებულება“ ან „კლინიკა“) დაზღვეულ პაციენტს მზღვეველის მიერ 27.07.2016 წელს გაცემული №1310816 საგარანტიო წერილის საფუძველზე, გაენია 5390 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ ანაზღაურებულა.

6. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის 5 390 ლარის გადახდის დაკისრება.

7. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

7.1. 2016 წლის 02 აგვისტოს დაზღვეულს კლინიკაში ჩაუტარდა 5 390 ლარის ღირებულების ოპერაცია და 03 აგვისტოს გაენერა კლინიკიდან;

7.2. ოპერაციის დაფინანსების თაობაზე პაციენტმა წარადგინა მზღვეველის მიერ 27.07.2016წ. გაცემული №1310816 მიმართვა;

7.3. აღნიშნულის შემდგომ მზღვეველს დადგენილი წესით წარედგინა საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია, თუმცა 2017 წლის 27 იანვარს მან უარი განაცხადა დაფინანსებაზე იმ მიზეზით, რომ პაციენტის სადაზღვევო პოლისი გაუქმებული იყო 2016 წლის 01 აგვისტოდან და, შესაბამისად, მათი მხრიდან დაზღვევას აღარ ექვემდებარებოდა;

7.4. სადაზღვევო კომპანიას ოპერაციის ჩატარებამდე არ მიუწოდებია კლინიკისთვის ინფორმაცია პოლისის გაუქმების შესახებ. აღნიშნულის თაობაზე კლინიკას ეცნობა მხოლოდ ოპერაციის ჩატარებისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, 2017 წლის 27 იანვრის წერილით. მოპასუხეს დროულად, რომ მიეწოდებინა კლინიკისთვის ინფორმაცია პოლისის გაუქმების შესახებ, ეს უკანასკნელი ზარალის წინაშე აღარ დადგებოდა და ოპერაციის საფასურის გადახდას პაციენტისგან მოითხოვდა;

7.5. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზღვეულისათვის განეული სამედიცინო მომსახურების საფასურის ანაზღაურების ვალდებულება სადაზღვევო კომპანიას ეკისრება.

8. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო. მოპასუხემ შესაგებელში შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა:

8.1. მზღვეველს 2016 წლის 01 აგვისტოს ჩაბარდა სამინისტროს 29.07.2016წ. წერილი, რომლითაც ეცნობა იმ პირების შესახებ, რომელთა მიმართაც სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება უნდა შეწყვეტილიყო 2016 წლის ივლისის თვიდან. მათ შორის იყო დაზღვეულიც. შესაბამისად, ეს უკანასკნელი, რომელსაც დაზღვევა შეუწყდა 2016 წლის 01 ივლისიდან, სადაზღვევო პერიოდის შეწყვეტის შემდგომ სადაზღვევო მომსახურებას ვეღარ მიიღებდა;

8.2. მზღვეველის მიერ 27.07.2016წ. გაცემული მიმართვა არ წარმოადგენს ანაზღაურების უდავო და უპირობო საფუძველს. აღნიშნულ მიმართვაში ცალსახად და ნათლად არის მითითებული შემდეგი: „სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გააკეთოს შეტყობინება სადაზღვევო კომპანიის 24-საათიან ცხელ ხაზზე; დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებისთანავე, რათა მომსახურე-

ბის განწევამდე გაარკვიოს დაზღვეულის პოლისის ვალიდურობა; დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანისას; წინასწარ განსაზღვრული გასანევი მომსახურების სქემაში ცვლილებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას მკურნალობა/ გამოკვლევის ხარჯის ანაზღაურებაზე;

8.3. მოსარჩელემ უგულებელყო მიმართვის ეს ჩანაწერი და მომსახურება გაუწია პაციენტს. მას არ მიუმართავს მზღვეველის ცხელი ხანისათვის პაციენტის პოლისის ვალიდურობის გარკვევის მიზნით. მოსარჩელეს ეს ინფორმაცია დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებისთანავე რომ გადაემოწმებინა, იგი აუცილებლად იქნებოდა ინფორმირებული პოლისის გაუქმების შესახებ. შესაბამისად, მოსარჩელეს მართებულად ეთქვა უარი ანაზღაურებაზე;

8.4. სადაზღვევო კომპანიას რამდენიმე ასეული ათასი დაზღვეული ჰყავს, რომელთა მიმართ ყოველდღიურად გაიცემა მიმართვები სხვადასხვა მომსახურებაზე სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში. შესაბამისად, ამ პირობებში შეუძლებელია, მზღვეველმა შეატყობინოს ყველა სამედიცინო დაწესებულებას პოლისის ვალიდურობის თაობაზე. სწორედ ამიტომ გაკეთდა მიმართვაზე ზემოაღნიშნული ჩანაწერი და პირობა, რაც სამედიცინო დაწესებულებამ არ შეასრულა (თან იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის იმ დროისათვის არ არსებობდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება და ურთიერთობა რეგულირდებოდა მხოლოდ სიტყვიერი კომუნიკაციისა და გაცემული მიმართვების მიხედვით).

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 390 ლარის გადახდა.

10. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

12. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

13. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხის შესაგებელი და სააპელაციო საჩივარი არსებითად იმ გარემოებას ემყარება, რომ სამინისტროს 29.07.2016წ. წერილის თანახმად, დაზღვეულის მიმართ დაზღვევის ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო 2016 წლის 01 ივლისიდან და ამდენად, სადაზღვევო კომპანიას აღარ გააჩნდა ხელშეკრულების

შენწყვეტის შემდგომ (2016 წლის 02 აგვისტოს) განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება. ამასთან, საგარანტიო წერილის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულება ვალდებული იყო, მომსახურების განევაამდე სადაზღვევო კომპანიის 24-საათიან ცხელ ხაზზე გაერკვია დაზღვეულის პოლისის ვალიდურობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია არ იღებდა განეული ხარჯების ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობას. აპელანტის მოსაზრებით, ვინაიდან მოსარჩელემ უგულებელყო საგარანტიო წერილის აღნიშნული ჩანაწერი და მომსახურება გაუნია პირს, რომლის პოლისი გაუქმებული იყო 2016 წლის 01 ივლისიდან, მოპასუხის მხრიდან მას სწორად ეთქვა უარი განეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებაზე.

14. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის შედავება და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მიიჩნია, რომ საგარანტიო წერილის არსებობის პირობებში, სამედიცინო ცენტრს არ გააჩნდა სადაზღვევო პოლისის ვალიდურობის შემოწმების ვალდებულება. კერძოდ: დადგენილია, რომ მზღვეველის მიერ 2016 წლის 27 ივლისის გაცემული საგარანტიო წერილის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2016 წლის 20 აგვისტომდე; სადავო სამედიცინო მომსახურება განეულ იქნა საგარანტიო წერილის მოქმედების ვადაში – 2016 წლის 02 აგვისტოს. სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ არის გამხდარი ის გარემოება, რომ მზღვეველს სამედიცინო დაწესებულებისათვის არ შეუტყობინებია დაზღვეულის მიმართ ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელე სამედიცინო მომსახურების განევის მომენტისათვის (2016 წლის 02 აგვისტოს) არ იყო ინფორმირებული საგარანტიო წერილის არავალიდურობის შესახებ.

15. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგარანტიო წერილით დადგენილი სადაზღვევო პოლისის ვალიდურობის შემოწმების პირობა სამედიცინო დაწესებულების მიმართ ვერ წარმოშობს ამ პირობის შესრულების ვალდებულებას, ვინაიდან სამედიცინო დაწესებულება არ წარმოადგენს საბანკო გარანტიის მხარეს და მას ხელმოწერით არ დაუდასტურებია საგარანტიო წერილში მითითებული პირობის შესრულების ვალდებულება. ამასთან, მოპასუხეს არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც მოსარჩელის მხრიდან ასეთი ვალდებულების არსებობას დაადასტურებდა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საგარანტიო წერილში მითითებული სადაზღვევო პოლისის ვალიდურობის გადამოწმების პირობა მოსარჩელის მიმართ არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს გამოხატული ნების ცალმხრივობის გამო და მის შეუსრულებლობას არ შეიძლება დაკავშირებოდა მოსარჩელის მიმართ სადა-

ვოდ გამხდარი სამართლებრივი შედეგები.

16. აპელანტის მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებულ იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სამედიცინო მომსახურების განევის მომენტისათვის მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო და, შესაბამისად, მოპასუხეს აღარ გააჩნდა შესრულების ვალდებულება, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე, 881-ე მუხლებით და განმარტა, რომ ვინაიდან, მოცემულ შეთხვევაში, სადავო სამედიცინო მომსახურება განეულია საგარანტიო წერილის საფუძველზე, გარანტიის მოქმედების ვადაში, თანაც იმ პირობებში, როდესაც სამედიცინო დაწესებულება არ იყო ინფორმირებული სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (რომლის ვადაც სადაზღვევო პოლისის თანახმად, 2017 წლის 31 იანვრამდე იყო განსაზღვრული), ხელშემკერელ მხარეთა შორის (სამინისტრო და სადაზღვევო კომპანია) სადაზღვევო ურთიერთობების შეწყვეტის ფაქტი საგარანტიო წერილით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულებაზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტია არააქცესორული ბუნებისაა და გარანტის მხრიდან ბენეფიციარისათვის ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის იგი გაცემული.

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადანყვევების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

18. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

18.1. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

18.2. სააპელაციო სასამართლომ სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული მიმართვა შეაფასა ამ უკანასკნელის მიერ პრინციპალისათვის (დაზღვეული) გაცემულ გარანტიად, რაც უსაფუძვლო და გაუმართლებელია;

18.3. სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო გარანტიის გაცემისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: პრინციპალსა და გარანტს შორის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ბანკი/სადაზღვევო ორგანიზაცია (განარტი) ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნისთანავე ბენეფიციარს უპირობოდ გადაუხდის ფულად თანხას. სადაზღვევო კომპანიასა და მომსახურების მიმღებს, დაზღვეულს შორის არ არსებობდა მსგავსი სახელშეკრულებო ურთი-

ერთობა. დაზღვეული წარმოადგენდა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეულ პირს, რომელსაც უფლება ჰქონდა მიეღო სადაზღვევო მომსახურება დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

18.4. პრინციპალსა (დაზღვეული) და გარანტს, სადაზღვევო კომპანიას შორის არსებობს ერთადერთი დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, დაზღვეული უფლებამოსილია მიიღოს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. დაზღვევის ხელშეკრულების არსს კი წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომსახურების განხორციელება;

18.5. სააპელაციო სასამართლოს მიერ გარანტიად აღქმული მიმართვა არის სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული სერვისი, რომლის მიხედვით, პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებებში დაზღვეულები თავისუფლდებიან გადახდის ვალდებულებისაგან და მიმართვაში მითითებული წესების დაცვით, სადაზღვევო კომპანია ახორციელებს პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდას. სადაზღვევო კომპანიის მიერ ხარჯის გადახდის საფუძველს კი წარმოადგენს მოქმედ სადაზღვევო პერიოდში დამდგარი შემთხვევა. შესაბამისად, მიმართვის ფორმის გარანტიად კვალიფიცირების დაუშვებლობა იმაშიც მდგომარეობს, რომ სადაზღვევო კომპანია ვერ და არ აიღებს ვალდებულებებს იმ შემთხვევებზე, რაც სადაზღვევო პერიოდს გარეთ განხორციელდება. სწორედ ამიტომ მიმართვაში მითითებულია კონკრეტული ვალდებულება პოლისის მოქმედების გადამოწმების თაობაზე;

18.6. საბანკო გარანტიით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების საფუძველია პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც, თავის მხრივ, ხდება ბენეფიციარის მიერ გარანტორისაგან შესრულების მოთხოვნის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში დაზღვეულსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის არ არსებობს ისეთი სახის ვალდებულება, რომლის დაზღვეულის მიერ დარღვევის შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა სადაზღვევო კომპანიას ეკისრება. შესაბამისად, დაზღვეულისათვის გაწეული მომსახურების ღირებულების სადაზღვევო კომპანიისათვის მოთხოვნის საფუძველი არის – არა საბანკო გარანტია, არამედ სამედიცინო დაწესებულების მიერ ნაბაყოფლობით მიღებული მიმართვა. დაზღვეულის ფულადი ვალდებულება სამედიცინო დაწესებულების წინაშე შესაძლებელია იყოს ე.წ. თანაგადახდის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების ნაწილის თავად გადახდა და ამ ნაწილში სადაზღვევო კომპანიის მიმართ ვერანაირი მოთხოვნა ვერ იარსებებს, ვინაიდან თანაგადახდა არის სწორედ დაფინანსების ის ნაწილი, რაზეც დაზღვევის

ხელშეკრულება არ ვრცელდება;

18.7. კასატორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ მიმართვა წარმოადგენს პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებასთან არსებული თანამშრომლობის ფორმატს, რომლის მიხედვით, დაზღვეულები თავისუფლდებიან სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის ღირებულების გადასახადისგან. მიმართვაში გარდა პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებისა, დამატებით მითითებულია ის ძირითადი დებულებები, რაც სამედიცინო დაწესებულების მიერ უნდა იქნეს დაცული. კერძოდ, მიმართვა არ წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების წინაპირობას, რაც არსებითად ეწინააღმდეგება გარანტიის არსს და სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, დაზღვეულის დაწესებულებაში მოთავსებისთანავე დაუკავშირდეს მზღვეველის ქოლ-ცენტრს და დაადგინოს არის თუ არა ვალიდური პოლისი, ვინაიდან სადაზღვევო კომპანიის ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ ვალიდური პოლისის ფარგლებში მიღებულ მომსახურებაზე და საგარანტიო ვადა ამ პირობაზე გავლენას ვერ მოახდენს. შესაბამისად, მიმართვაში პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ მიმართვის ვალიდურობის განმსაზღვრელი არის ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ვალიდური მოთხოვნა;

18.8. საბანკო გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის თავისებურება მდგომარეობს ძირითად ხელშეკრულებასთან მიმართებით არააქცესორულ ხასიათში, სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემულ მიმართვაში კი, მითითებულია სწორედ ის ფაქტი, რომ მიმართვის ვალიდურობა პირდაპირ არის დაკავშირებული პოლისის აქტიურობასთან, ანუ ძირითადი ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნის ვალიდურობასთან;

18.9. შეჯამების სახით, სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემულ მიმართვას არ გააჩნია საბანკო გარანტიისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ბუნება, რადგან საბანკო გარანტია ფულადი ვალდებულებაა, რომელიც ბენეფიციარს შესაძლებლობას ანიჭებს მოვალის (პრინციპალის) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს გარანტს წერილობით, მოითხოვოს გადახდა და მიიღოს მოთხოვნილი თანხა. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, რადგან დაზღვეულს სამედიცინო დაწესებულების მიმართ რაიმე სახის ვალდებულება არ გააჩნდა, შესაბამისად, ვერც ვალდებულების დარღვევის ფაქტი იარსებებდა;

18.10. საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება განმარტებულია უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 01 თებერვლის №ას-1038-999-2016

გადაწყვეტილებაში, რომლის განხილვის შედეგად, ცხადია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული შეფასება არასწორია და სრულიად ეწინააღმდეგება როგორც საბანკო გარანტიის, ასევე დაზღვევის ხელშეკრულების არსსა და ბუნებას;

18.11. სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული მიმართვა არის მხარის მიერ გამოხატული ნება, ოფერტი, სადაც მითითებულია მიმართვის გამოყენებისა და შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობები. მიმართვაში მკაფიოდ და ნათლად არის აღნიშნული, რომ დოკუმენტი არ წარმოადგენს ანაზღაურების წინაპირობას და სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, მომსახურების განეცემდე გადაამოწმოს სადაზღვევო პოლისის ვალიდურობა. მიუხედავად ამ ჩანაწერისა, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და აღნიშნა, რომ ვინაიდან მხარეთა შორის არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, სადაზღვევო კომპანიის მიერ მიმართვაში მითითებულ პირობებს ვერ ექნებოდა სამედიცინო დაწესებულებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა;

18.12. სადაზღვევო კომპანიასა და სამედიცინო დაწესებულებას შორის მართლაც არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულების მიერ ყოველგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშე, სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული მიმართვის მიღება და შემდეგ ამ წერილის საფუძველზე პაციენტისათვის მომსახურების მიწოდება წარმოადგენს კონკლუდენტური მოქმედებით მიმართვის პირობების მიღებას, სამედიცინო დაწესებულების გამოხატულ ნებას მიეღო მიმართვა და განეხორციელებინა შესაბამისი მოქმედება. ამდენად, არგუმენტი, რომ მზღვეველის მიმართვა არ შეიძლებოდა გამხდარიყო სამედიცინო დაწესებულებისათვის სავალდებულებელი ხასიათის დოკუმენტი, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული;

18.13. სამედიცინო დაწესებულების არჩევანი იყო არასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მომსახურებოდა სადაზღვევო კომპანიის დაზღვეულს, მაშინ, როცა თავისუფლად შეეძლო უარი ეთქვა და არ მიეღო აღნიშნული მიმართვა;

18.14. კასატორმა იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 52-ე, 361-ე, 799-ე მუხლებით და განმარტა, რომ სამედიცინო დაწესებულების მიერ დაზღვეულისათვის მომსახურების განევა წარმოადგენს ნების გამოვლენას სადაზღვევო კომპანიის პირობების მიღებისა და შესრულების შესახებ, ვინაიდან მომსახურების განევა სწორედ გაცემული მიმართვის საფუძველზე მოხდა. შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულება ვალდებული იყო, შეესრულებინა სწორედ ის პირობები, რომლის შესრულების თაობაზეც გამოხატა ნება კონკლუდენტური მოქ-

მედებით დაზღვეულისათვის მომსახურების გაწევით;

18. 15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის მიხედვით, სადაზღვევო კომპანიის ვალდებულება მოიცავს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სადაზღვევო თანხის ანაზღაურების ვალდებულებას, შესაბამისად, მზღვეველს არ წარმოეშობა დაზღვეულთან სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულება.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

21. წინამდებარე საქმეში დავის საგანს წარმოადგენს სამედიცინო დანესებულების მიერ დაზღვეულისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურება.

22. საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არასწორად განსაზღვრასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა არა საბანკო გარანტიის, არამედ დაზღვევის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს უნდა დაეფუძნოს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებას [დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად], 836-ე [დამზღვევეს შეუძლია მზღვეველთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი სახელით სხვა პირის სასარგებლოდ. ამ პირის დასახელება სავალდებულო არ არის] და 843¹-ე [ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს დაზღვეული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებული მკურნალობის და ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული სხვა სამედიცინო მომსახურების ხარჯები ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით. ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დადოს დამზღვევმა დაზღვეული პირის სასარგებლოდ] მუხლებს.

23. საკასაციო სასამართლო მოკლედ შეეხება დაზღვევის ხელშეკრულებისა და საბანკო გარანტიის სამართლებრივ ბუნებასა და მათ შორის არსებულ განსხვავებებს.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს პრინციპალის (მოვალის) მიერ ბენეფიციარის (კრედიტორი) მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე [საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე] და 880-ე [საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას] მუხლების შესაბამისად, საბანკო გარანტია წარმოადგენს ფულად ვალდებულებას, რომელიც ბენეფიციარს შესაძლებლობას აძლევს, მოვალის (პრინციპალის) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს გარანტს, წერილობით მოითხოვოს გადახდა და მიიღოს მოთხოვნილი თანხა (იხ. სუსგ საქმე №ას-1038-999-2016, 01 თებერვალი, 2017 წელი). საბანკო გარანტია სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე (იხ. სუსგ საქმე №ას-562-871-09, 20 ოქტომბერი, 2009 წელი; №ას-781-996-08, 17 მარტი, 2009 წელი). პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას (იხ. სუსგ საქმე №ას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი).

25. საბანკო გარანტიისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაზღვევის საგანს წარმოადგენს არა მოვალის ფულადი ვალდებულების შესრულების, არამედ დაზღვეულისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც სწორედ რომ მხარეთა მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობიდან გამომდინარეობს. დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ქონება ან პიროვნება. სადაზღვევო შემთხვევა კი, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არის მოვ-

ლენა, რომლის დადგომისას სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას.

26. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ სამინისტროსა და სადაზღვევო კომპანიას შორის 2016 წლის 27 იანვარს დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, დაზღვეულ იქნა სამინისტროს თანამშრომლების, მათ შორის, გ. ხ-ძის ჯანმრთელობა. აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაზღვეულზე გაიცა სადაზღვევო პოლისი; დადგენილია ასევე, რომ 2016 წლის 02 აგვისტოს კლინიკამ დაზღვეულს მზღვეველის მიერ 27.07.2016 წელს გაცემული საგარანტიო წერილის (მიმართვა) საფუძველზე, გაუწია სამედიცინო მომსახურება, რომლის ღირებულებაც არ ანაზღაურებულა. ამდენად, სახეზეა ზემოაღნიშნული დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევა – დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რომლის მკურნალობის (ჩატარებული ოპერაციის) ხარჯის ანაზღაურებასაც ითხოვს მოსარჩელე განსახილველი სარჩელით. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დაზღვევის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს უნდა დაეფუძნოს.

27. კასატორი დავობს, რომ მას არ ეკისრება კლინიკის მიერ დაზღვეული პაციენტისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ვინაიდან აღნიშნული მომსახურების გაწევის დროისათვის დაზღვეულის სადაზღვევო პოლისი გაუქმებული იყო. კასატორის მტკიცებით, მზღვეველის მიერ 27.07.2016წ. გაცემული საგარანტიო წერილის (მიმართვის) მიხედვით, კლინიკას ეკისრებოდა დაზღვეულის პოლისის ვალიდურობის შემოწმების ვალდებულება, რაც მას არ განუხორციელებია; მიუხედავად კლინიკასა და სადაზღვევო კომპანიას შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არარსებობისა, დასახელებული მიმართვის საფუძველზე დაზღვეული პაციენტისათვის მომსახურების გაწევა კლინიკის მხრიდან საგარანტიო წერილის პირობების კონკლუდენტური მოქმედებით მიღებას გულისხმობს.

28. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. ამ გარემოებების დამტკიცება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება მხარე-

თა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

29. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი).

30. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში არ წარუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულება, რომ კლინიკის მიერ დაზღვეულისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დროისათვის ამ უკანასკნელის სადაზღვევო პოლისი გაუქმებული იყო. მხოლოდ მოპასუხის ახსნა-განმარტება ამ გარემოების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

31. ამასთან, კასატორი თავად ადასტურებს, რომ მას კლინიკისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია დაზღვეულის სადაზღვევო პოლისის გაუქმების შესახებ, ხოლო საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ კლინიკა თავად იყო ვალდებული პაციენტის კლინიკაში მოთავსებისთანავე გამოერკვია ამ უკანასკნელის სადაზღვევო პოლისის ვალიდურობის საკითხი.

32. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგარანტიო წერილი (მიმართვა) წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, მზღვეველის მიერ გაცემულ ცალმხრივ დოკუმენტს (მას ხელს აწერს მხოლოდ მზღვეველის უფლებამოსილი წარმომადგენელი), რომლითაც ეს უკანასკნელი გამოხატავს თანხმობას დაზღვეულისათვის კონკრეტულ ვადაში და კონკრეტულ სამედიცინო დანესებულებაში, კონკრეტული ღირებულების სამედიცინო მომსახურების (სადაზღვევო შემთხვევის) ანაზღაურების თაობაზე. კლინიკა არ წარმოადგენს ამ დოკუმენტის მხარეს, შესაბამისად, მასში მითითებულ პირობას, რომ: „სამედიცინო დანესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გააკეთოს შეტყობინება სადაზღვევო კომპანიის 24-საათიან ცხელ ხაზზე: დაზღვეულის სამედიცინო დანესებულებაში მოთავსებისთანავე, რათა მომსახურების განევაძღვ გაარკვიოს დაზღვე-

ულის პოლისის ვალიდურობა“, კლინიკისთვის სავალდებულო ხასიათი ვერ ექნება. ის გარემოება, რომ კლინიკამ აღნიშნული საგარანტიო წერილის (მიმართვის) საფუძველზე პაციენტს გაუწია სამედიცინო მომსახურება, ვერ განიხილება მის მიერ კონკლუდენტური მოქმედებით მიმართვის პირობებზე დათანხმებად და სადაზღვევო კომპანიასთან პაციენტის მომსახურების თაობაზე ხელშეკრულების დადებად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. მოცემულ შემთხვევაში, კლინიკამ დაზღვეულის მიერ წარდგენილი და მზღვეველის მიერ გაცემული მიმართვის საფუძველზე, გამოხატა თანხმობა, რომ დაზღვეულისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება მესამე პირს, სადაზღვევო კომპანიას შეესრულებინა. ამასთან, კასატორის მითითებით მხარეთა შორის არ ყოფილა რაიმე წერილობითი შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, ხოლო საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომლითაც კლინიკას დაზღვეულის პოლისის ვალიდურობის გადამოწმების ვალდებულება გააჩნდა.

33. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველად მითითებულ იმ გარემოებას, რომ 2016 წლის ივლისიდან გაუქმებული იყო დაზღვეულის სადაზღვევო პოლისი და აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში საფუძველს მოკლებულია კასატორის მტკიცება კლინიკის მიერ კონკლუდენტური მოქმედებით მიმართვის პირობების მიღების თაობაზე, ვინაიდან სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემთხვევაში, ბუნებრივია, ძალას დაკარგავდა აღნიშნული პოლისის საფუძველზე მზღვეველის მიერ 27.07.2016წ. გაცემული მიმართვა და, შესაბამისად, კლინიკის მიერ მიმართვით განსაზღვრული პირობების მიღება თავისთავად გამორიცხული იქნებოდა.

34. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ მითითებული გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ სადაზღვევო კომპანიას ყოველდღიურად ათასობით პაციენტის მიმართ უწევს მიმართვების გაცემა სხვადასხვა მომსახურებაზე სხვადასხვა სამედიცინო დანესებულებებში, ვერ შეამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას – დაზღვეულის სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემთხვევაში, ამის თაობაზე აცნობოს სამედიცინო დანესებულებას და ამ პასუხისმგებლობას სამედიცინო დანესებულებაზე ვერ გადაიტანს. აღნიშნული ინფორმაციის სამედიცინო დანესებულებისათვის მიუწოდებლობა წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიის რისკს – ანაზღაუროს არავალიდური პო-

ლისის ფარგლებში განეული სამედიცინო მომსახურება.

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საგარანტიო წერილის არსებობის პირობებში, კლინიკას არ გააჩნდა სადაზღვევო პოლისის ვალიდურობის გადამოწმების ვალდებულება; აღნიშნული თავად სადაზღვევო კომპანიის ვალდებულებას წარმოადგენდა, რომელიც, სადავო არ არის, რომ მას არ შეუსრულებია. მან მხოლოდ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ აცნობა კლინიკას აღნიშნულის თაობაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კლინიკას არ ჰქონდა პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების განევაზე უარის თქმის საფუძველი.

36. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 8431-ე მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს დაზღვეული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებული მკურნალობის და ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული სხვა სამედიცინო მომსახურების ხარჯები ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით. ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დადოს დამზღვევმა დაზღვეული პირის სასარგებლოდ.

37. აღნიშნული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, მოსარჩელე უფლებამოსილია მზღვეველს მოსთხოვოს პაციენტის მკურნალობის ხარჯები, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ვალდებულია დაზღვევის ხელშეკრულების პირობებისა და მის მიერ წინასწარ გაცემული თანხმობის შესაბამისად, აანაზღაუროს მოსარჩელის მიერ განეული ხარჯები.

38. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე სამედიცინო დაწესებულებამ მზღვეველის მიერ 27.07.2016წ. გაცემული №1310816 საგარანტიო წერილის (მიმართვის) საფუძველზე, დაზღვეულს გაუწია 5390 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ ანაზღაურებულა; დადგენილია ასევე, რომ დაზღვეულს სამედიცინო მომსახურება გაეწია საგარანტიო წერილის მოქმედების ვადაში და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული დაზღვევის პერიოდში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაზღვევო კომპანია ვალდებულია კლინიკას აუნაზღაუროს დაზღვეულის მიმართ განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება.

39. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტი-

ლება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

40. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

42. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სს „ს.კ.ი.ე-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. საბანკო მომსახურება

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-558-2021

26 იანვარი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით „პ. ბ-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე, ბანკი, გამსესხებელი, პირველი აპელანტი ან კასატორი) სარჩელი შპს „მ-ო“-ს (შემდეგში: მოპასუხე, შპს, კლიენტი, მსესხებელი ან მეორე აპელანტი) წინააღმდეგ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, ბანკის სასარგებლოდ, მოპასუხეს 3000 ლარის გადახდა დაეკისრა: სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის 7000 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

2. სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები

2.1. მოსარჩელის მითითებით, 2017 წლის 14 სექტემბერს, ბანკსა და მოპასუხე შპს-ს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც შპს-მ ბანკის წინაშე იკისრა ვალდებულება, იპოთეკით დაეცვითა ექვსი უძრავი ქონება და სესხის დამტკიცებიდან 1 თვის განმავლობაში დამტკიცებული 600 000 ლარის სესხის ლიმიტიდან აეთვისებინა 500 000 ლარი შემდეგი პირობებით: სესხის პროცენტი-10%, სესხის გაცემის საკომისიოს პროცენტი 0,5% და სესხის ვადა-120 თვე;

2.2. სესხთან დაკავშირებით შპს-მ ბანკს აგვისტოში მიმართა, რის შემდეგაც ბანკმა დაიწყო ამ სესხზე მუშაობა; გაესაუბრა კლიენტს, მისი პირობები შეამოწმა და ა.შ. ყოველივე ამას დასჭირდა დიდი დრო და მხოლოდ 2017 წლის 20 სექტემბრისათვის მოხდა ბანკის მხრიდან სესხის დამტკიცება. ამის შემდეგ, მოპასუხე შპს-მ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, 2017 წლის 26 სექტემბერს, ბანკის სასარგებლოდ, იპოთეკის ხელშეკრულებებით ექვსი უძრავი ქონება დატვირთა, ხოლო შემდეგ შეთანხმებით გათვალისწინებულ 1-თვიან ვადაში სესხის ხელ-

შეკრულებას კლიენტმა ხელი არ მოაწერა და არც სესხის თანხა აითვისა;

2.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული 1-თვიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ბანკმა კლიენტს გაუგზავნა გაფრთხილების ხელნერილი პირგასამტეხლოს გადახდასთან დაკავშირებით, თუმცა კლიენტმა უარყო მისი მხრიდან ვალდებულების დარღვევა იმ მიზეზით, რომ თითქოს ბანკს არ დაუმტკიცებია მისთვის სესხი, რის გამო არც სესხის ხელშეკრულება გაფორმდა. მოსარჩელის მტკიცებით, აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან ბანკის ბიზნეს-კომიტეტმა 2017 წლის 20 და 26 სექტემბერს მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რომ გაეცა სესხი, რაც კლიენტისათვის (მოპასუხისათვის) ცნობილი იყო.

3. მოპასუხის შესაგებელი

3.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მან, მართალია, ბანკში გადააგზავნა მისი საქმიანობის ამსახველი ფინანსური მონაცემები და სურდა სესხით სარგებლობა, თუმცა მისთვის უცნობი იყო სესხის დამტკიცების თაობაზე. ასეთი ინფორმაცია ბანკს არ უცნობებია კლიენტისათვის და ეს ფაქტი მხოლოდ სარჩელისა და თანდართული მასალების მიღების შემდეგ გახდა მისთვის ცნობილი. მიუხედავად ამისა, სესხის რეალურად დამტკიცება ეჭვს იწვევს, რადგან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშის შესწავლა/ანალიზი ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია და თუკი მოხდებოდა სესხის დამტკიცება, ასეთ შემთხვევაში ბანკი დაუყოვნებლივ აცნობებდა კლიენტს და მოითხოვდა ხელშეკრულების გაფორმებას, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია;

3.2. მხარეთა შორის 2017 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმება წარმოადგენდა სესხის გაცემის წინაპირობას და ითვალისწინებდა კლიენტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების იპოთეკით დატვირთვას. კლიენტის არაერთი სიტყვიერი მიმართვის მიუხედავად, შეთანხმებულ ვადაში ბანკმა სესხი არ დაუმტკიცა, შემდეგ კი, 2017 წლის 17 ოქტომბერს აცნობა სესხის დამტკიცების თაობაზე და იმ მიზეზით, რომ თითქოსდა კლიენტის მიერ არ მოხდა თანხის ათვისება, მოპასუხე ვალდებული იყო, გადაეხადა პირგასამტეხლო. მოპასუხემ ბანკს მოთხოვნიდან უმოკლეს ვადაში მიაწოდა ყველა ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ, ასევე – პარტნიორთა კრების ოქმი სესხის აღებისა და ქონების იპოთეკით დატვირთვის თაობაზე, თუმცა ბანკმა გაურკვეველი მიზეზის გამო არ დაუმტკიცა სესხი და ვერც მიზეზი დაუსახელა. ასეთ მოცემულობაში შპს-სთვის მნიშვნელობა დაკარგა კონკრეტულმა საბანკო შეთავაზებამ და იძულებული გახდა, სხვა ბანკის მომსახურებით ესარგებლა;

3.3. მოპასუხე შპს-ს სესხის ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი

არ განუცხადებია, მისი დამტკიცების გადანყვეტილების შესახებ ბანკს კლიენტისათვის არ უცნობებია და ხელშეკრულების გაფორმებისათვის არც ბანკში გამოცხადება მოუთხოვია, როგორც ამას მოსარჩელე აცხადებს.

3.4. ბანკმა სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულება, რომ სესხი დათქმულ ვადაში დაამტკიცა, ხელშეკრულების გაფორმებისათვის მიმართა კლიენტს და ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა სესხის ხელშეკრულების გაფორმებაზე. აქედან გამომდინარე, არ არსებობს კლიენტისათვის (მოპასუხისათვის) სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი.

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება

4.1. ბანკსა (წარმოდგენილი ქუთაისის ფილიალის მმართველის დ. დიდის მიერ) და შპს-ს შორის 2017 წლის 14 სექტემბერს, გაფორმდა „შეთანხმება“, როგორც ბანკსა და მსესხებელს შორის შემდეგზე: ბანკის მიერ 600 000 (ექვსასი ათასი) ლარის ოდენობით სესხის დამტკიცების შემთხვევაში (წლიური საპროცენტო განაკვეთი – 10% /რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული საპროცენტო განაკვეთი/; სესხის გაცემის საკომისიო – 0,5%, სესხის მაქსიმალური ვადა – 120 თვე) კლიენტმა განაცხადა თანხმობა და აიღო ვალდებულება, ამ შეთანხმების გაფორმებიდან არა უგვიანეს 1 თვეში აეთვისებინა სესხიდან მინიმუმ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი და, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, ბანკის სასარგებლოდ, იპოთეკით დაეტვირთვა 6 უძრავი ქონება, ხოლო ამ შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ის ვალდებულებას ღებულობდა, ბანკისათვის გადაეხადა პირგასამტეხლო 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით;

4.2. ბანკის საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების კომიტეტის მიერ 20.09.17წ. მიღებული იქნა გადანყვეტილება კლიენტისათვის (მოპასუხისათვის) სესხის ლიმიტის დამტკიცების თაობაზე, ხოლო ბიზნეს კომიტეტის №2069 გადანყვეტილებით, შპს-ს დაუმტკიცდა სესხი;

4.3. შპს-ს პარტნიორობა კრებაზე, რომელიც 2017 წლის 27 სექტემბერს გაიმართა, მიღებულია გადანყვეტილება საზოგადოების საჭიროებისათვის სესხის – 500 000 ლარის ალების თაობაზე მოსარჩელე ბანკიდან, რისთვისაც უნდა გაფორმებულიყო გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება და საზოგადოებას ესარგებლა ყველა სახის საბანკო პროდუქტით. ამასთან, სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკის/გირავნობის უფლებით დატვირთულიყო საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონება ასევე, მომავალში შეძენილი ნებისმიერი უძრავ/მოძრავი ქონება;

4.4. ბანკსა და მოპასუხე შპს-ს შორის 2017 წლის ბოლომდე გასა-

ფორმებელი გენერალური ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მსესხებლის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, 2017 წლის 26 სექტემბრის ხელშეკრულებებით, იპოთეკით დაიცვირთა მსესხებლის (მოპასუხის) საკუთრებაში არსებული 6 უძრავი ნივთი მდებარე:

1. ქ. ქუთაისი, ... (ყოფილი ... შესახვევი №16). ს/კ №...;

2. ქ. ქუთაისი, ..., ს/კ №...;

3. ქ. ქუთაისი, ..., ს/კ №...;

4. ქ. ქუთაისი, ...; ს/კ №...;

5. ქ. ქუთაისი, ...; ს/კ №...;

6. წყალტუბო, სოფელი ...), ს/კ № ...

4.5. იპოთეკის საგნის-უძრავი ქონებების შეფასების მიზნით, ბანკს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ე-თან“, რომლითაც განსაზღვრულია მომსახურების ღირებულება და ანაზღაურების პირობები, კერძოდ, ადგილზე ინსპექტირებით თითოეული უძრავ/მოძრავი ქონების შეფასებისათვის – 100 ლარი დღგ-ის ჩათვლით, ხოლო ადგილზე ინსპექტირების გარეშე, თითოეული უძრავ/მოძრავი ქონების შეფასებისათვის – 70 ლარი დღგ-ის ჩათვლით. ხელშეკრულების შესაბამისად მოხდა იპოთეკით დატვირთული ექვსი ქონების შეფასება;

4.6. ბანკმა 28.09.2017წ. წერილით სს „თ. ბ-ს“ აცნობა, რომ მოპასუხე შპს-ს დაუმტკიცდა სესხი, რომლითაც გათვალისწინებულია სს „თ. ბ-ში“ მოპასუხის მიმდინარე დავალიანების რეფინანსირება, რათა კომპანიის დავალიანების დაფარვა სრულად მომხდარიყო;

4.7. ბანკმა 17.10.2017 წელს გაფრთხილების წერილი გაუგზავნა კლიენტს და აცნობა, რომ მსესხებელი ვალდებული იყო, არა უგვიანეს 2017 წლის 14 ოქტომბრისა, საკრედიტო ლიმიტიდან, რომლის უზრუნველსაყოფად, მისივე თანხმობით უძრავი ქონებები იპოთეკით დაიცვირთა, მინიმუმ 500 000 ლარი აეთვისებინა და ვინაიდან, კლიენტის მიერ ვალდებულების შესრულება არ მოხდა, შეთანხმებისამებრ, მას, ბანკისთვის პირგასამტეხლო – 10000 ლარი უნდა გადაეხადა;

4.8. ბანკის 17.10.2017წ. გაფრთხილების პასუხად კლიენტმა 24.10.2017წ. №7/17 წერილით აცნობა, რომ მას არ შეეძლო 1 თვის ვადაში აეთვისებინა 600 000 ლარი, რადგან თანხასთან წვდომა არ გააჩნდა, რის გამოც ამ შეთანხმებამ მათთვის ინტერესი დაკარგა და ისარგებლა სხვა საკრედიტო ორგანიზაციის დახმარებით. შესაბამისად, ბანკის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და მოითხოვა სამართლებრივი შეზღუდვისაგან იპოთეკით დატვირთული ქონებების გათავისუფლება.

4.9. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა დ. ი-ძემ განმარტა, რომ 2005 წლიდან მუშაობს მოსარჩელე ბანკში სხვადასხვა პოზიციაზე. მოპასუხე შპს-მ ბანკს სესხის გა-

ცემის თაობაზე მიმართა და მხარეებს შორის გაფორმდა მემორანდუმი. კლიენტზე ინფორმაციის მოძიებას და ფინანსური ანალიზის გაკეთებას 7-10 დღე სჭირდება. ბანკს ყველა მონაცემის დაკორექტირებისათვის ერთი თვე დასჭირდა, რის შემდეგაც იპოთეკით დაიტვირთა მსესხებელი შპს-ს ქონებები, დამტკიცდა სესხის ლიმიტი და სესხიც, რაც კლიენტს სიტყვიერად ეცნობა და მეილით გაეგზავნა კიდეც დოკუმენტები. ასევე, ბანკმა კლიენტს გაატანა წერილი სს „თ. ბ-ისთვის“, თუმცა მისგან პასუხი არ მიუღიათ. ამის შემდეგ მოპასუხე მხარე აღარ მისულა გამსესხებელ ბანკში ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად, რადგან მოპასუხემ სესხი აიღო სს „თ. ბ-იდან“;

4.10. მოწმემ განმარტა, რომ ბანკს განსხვავებული მიდგომა აქვს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებით. ბიზნეს სუბიექტთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებისათვის მაქსიმალური ვადაა 1 თვე. ამიტომ, როდესაც ბანკი ხარჯავს თავის დროს, რესურსს ბიზნეს სუბიექტზე, გასწევს ხარჯს და საპასუხოდ ვერავითარ სარგებელს ვერ იღებს, ის უფლებამოსილია კლიენტს მოსთხოვოს პირგასამტეხლო, მით უფრო, როდესაც, მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის ამასთან დაკავშირებით არსებობს შეთანხმება.

4.11. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 317-ე „1. ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. 2. 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას. 3. მოლაპარაკების მონაწილეს შეუძლია მეორე მონაწილეს მოსთხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად არ დადებულა“, 361.2 „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“, 628-ე „სესხის შეპირებისას დამპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე, თუ მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას. სესხის შეპირება უნდა გაფორმდეს წერილობით“, 408.1 „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“, 411-ე „ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებ-

ლი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯერონად რომ შესრულებულიყო“, 417-ე „პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯერონად შესრულებისათვის“, 418-ე „ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ მუხლებზე და განმარტა. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ბანკსა და კლიენტს შორის წერილობითი შეთანხმება შედგა სესხის გაცემის შეპირებით და ამისათვის შესაბამისი პირობების დაცვის ვალდებულებით (სსკ-ის 628-ე მუხლი). სესხის შეპირება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, სესხის ხელშეკრულების წინარე ხელშეკრულებას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ სესხის დაპირების ხელშეკრულებით მომავალში სესხის ხელშეკრულების დადების ვალდებულება წარმოიშობა და მსესხებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს მისთვის სესხის გადაცემა;

4.12. განსახილველ შემთხვევაში ირკვევა, რომ ბანკმა შეისწავლა კლიენტის (მსესხებლის) ფინანსური მდგომარეობა, შეაფასა მისი უძრავი ქონებები, გააფორმა მასთან იპოთეკის ხელშეკრულებები, დაუმტკიცა სესხი შეთანხმებული ოდენობით, ხოლო მოპასუხეს სესხი არ აუთვისებია და არც სესხის ხელშეკრულება გაუფორმებია. ამდენად, დასტურდება, რომ კლიენტმა დაარღვია მხარეთა შორის არსებული შეთანხმება და თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ბანკს ზიანი მიჰყენა. სწორედ, ამ ვალდებულების დარღვევის გამო, მოსარჩელე პირგასამტეხლოს სახით მოპასუხისათვის 10000 ლარის გადახდის დაკისრებას ითხოვს;

4.13. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლებზე (ნორმათა დეფინიცია იხ. 4.11 ქვეპუნქტში) დაყრდნობით პირგასამტეხლოს ორმაგ ფუნქციაზე იმსჯელა, რაც, ერთი მხრივ, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად მის პრევენციულ დატვირთვაში გამოიხატება, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს, ვალდებულება ჯეროვანად შეასრულოს, ხოლო, მეორე მხრივ, განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურება მიიღწევა. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს,

როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება (იხ. სუსგ №ას-816-767-2015, 19.11.2015წ.). პირგასამტეხლო პრევენციული და მინიმალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციას ატარებს, შესაბამისად პირგასამტეხლო, რომელიც გადააჭარბებს ამოდენობას, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს სტატუსს იძენს, მაგრამ მისი ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან; პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება, შესაბამისად, პირგასამტეხლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული უნდა იყოს.

4.14. პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯით, ვინაიდან მოპასუხემ თავისი უმოქმედობით დაარღვია შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, მოსარჩელეს გაანევირა ხარჯები სესხის დასამტკიცებლად, მისი ფინანსური მდგომარეობისა და ქონების შეფასებების შესასწავლად, შემდეგ კი არ აითვისა დამტკიცებული სესხი და არ გააფორმა სესხის ხელშეკრულება, ის ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას სსკ-ის კოდექსის 420-ე მუხლის გამოყენება და მოთხოვნილი პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება, რაც სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის 3000 ლარის დაკისრებით გამოიხატა.

5. მხარეთა სააპელაციო საჩივრები

5.1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, პირველმა აპელანტმა (ბანკმა) მოითხოვა სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მეორე აპელანტმა (მოპასუხემ) მოითხოვა მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა.

6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

6.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 2021 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით პირველი აპელანტის (ბანკის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე აპელანტის (კლიენტის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოსარჩელეს (ბანკს) უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

6.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (იხ. 4.1-4.10 ქვეპუნქტები) და დამატებით დაადგინა:

6.2.1. ბანკსა (წარმოდგენილი ქუთაისის ფილიალის მმართველის დ. დ-ის მიერ) და შპს-ს შორის 2017 წლის 14 სექტემბერს გაფორმებულ შეთანხმებაში სესხის გაცემის პირობები იქნა გათვალისწინებული. „სესხის დამტკიცების შემთხვევისათვის“ ასევე დაფიქსირებულია, რომ სესხის გაცემის წინაპირობას წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების გაფორმება. ბანკის ბიზნესკომიტეტის 2017 წლის 26 სექტემბრის №2069 გადაწყვეტილებით დადგინდა „გაფორმდეს გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება კლიენტზე შემდეგი მონაცემებით: თანხა 500 000 დოლარი, ვადა 360 თვე, მაქსიმალური წლიური საპორცენტო განაკვეთი 36,00%. ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სესხის უზრუნველსაყოფად მეორე რიგის იპოთეკით იტვირთება 6 უძრავი ქონება;

6.2.2. ბანკსა და კლიენტს შორის 2017 წლის 26 სექტემბრის იპოთეკის ხელშეკრულებებში დაფიქსირებულია, რომ 2017 წლის ბოლომდე გასაფორმებელი გენერალური ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მსესხებლის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, 2017 წლის 26 სექტემბერსვე იპოთეკით იტვირთება უძრავი ნივთები.

6.3. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მისი მსჯელობის საგანზე მიუთითა და შემდეგი საკითხები გამოჰყო:

6.3.1. ბანკსა და კლიენტს შორის 2017 წლის 14 სექტემბერს გაფორმებულ შეთანხმებაში დაფიქსირებული ნების განმარტება, რომლითაც კლიენტმა (მოპასუხემ, მეორე აპელანტმა) თანხმობა განაცხადა და ვალდებულება აიღო, ამ შეთანხმების გაფორმებიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში აეთვისებინა სესხის თანხიდან მინიმუმ 500 000 ლარი, ანუ, რეალურად რა ვალდებულება იკისრა სამომავლო მოვალემ, 2017 წლის 14 სექტემბრიდან 1 თვის ვადაში აეთვისებინა სესხის თანხიდან მინიმუმ 500 000 ლარი, თუ საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში;

6.3.2. საბანკო დანესებულებამ აცნობა თუ არა სესხის ლიმიტის დამტკიცებისა და სესხის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ბანკში გა-

მოცხადების თაობაზე კლიენტს;

6.3.3. დაარღვია თუ არა მოპასუხემ (ბანკის კლიენტმა) 2017 წლის 14 სექტემბრის ხელშეკრულებით („შეთანხმებით“) აღებული ვალდებულება.

6.4. მოცემული დავის გადანაცვებისათვის სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის ხელმოწერილ 2017 წლის 14 სექტემბრის შეთანხმებაზე მიუთითა, რომელიც, თავისი შინაარსით, სესხის გაფორმებაზე წინარე ხელშეკრულებას წარმოადგენს, ვინაიდან „შეთანხმების“ მიხედვით სესხის ოდენობა, საპროცენტო სარგებელი და სხვა პირობები განისაზღვრებოდა, მხოლოდ სესხის დამტკიცების შემთხვევაში. სხვა სადავო საკითხების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედი მტკიცების სტანდარტის საფუძველზე იმ გარემოებების სარწმუნოდ და სათანადოდ მტკიცებულებებით დადასტურება, რომლებზეც მხარეები თავის პოზიციას აფუძნებენ, ვინაიდან სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ამდენად, დარღვეული უფლების დაცვა მხარეს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია. ამ ფაქტების მითითება მისი მოვალეობაა, ხოლო ფაქტების დამტკიცების ტვირთი მიმთითებელ მხარეს ეკისრება.

6.5. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას, არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი (იხ. სუსგ №ას-233-221-2017, 11.05.2017წ.). სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მტკიცებულების გამოკვლევა, უპირველესად, გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოების) შემოწმებას.

6.6. სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა, მარტოდენ, გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან“. ამ ნორმის თა-

ნახმად, სააპელაციო საჩივრით სადავოდ გამხდარ 14.09.2017წ. შეთანხმებაში მხარეთა მიერ გამოხატული ნებაც გონივრული განსჯის შედეგად უნდა დადგინდეს. კერძოდ, რა ნება გამოავლინა კლიენტმა (შპს-ამ), როდესაც თანხმობა განაცხადა და ვალდებულება აიღო, „ამ შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში“ აეთვისებინა სესხის თანხიდან მინიმუმ 500000 ლარი, ანუ, რეალურად რა ვალდებულება იკისრა სამომავლო მოვალემ, 2017 წლის 14 სექტემბრიდან 1 თვის ვადაში აეთვისებინა სესხის თანხიდან მინიმუმ 500000 ლარი, თუ საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში;

6.6.1. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სესხი რეალური ხელშეკრულებაა, მისი დადებულად ცნობისათვის აუცილებელია მსესხებელზე სესხის გადაცემა. მხარეთა შორის დადებული 2017 წლის 14 სექტემბრის წინარე ხელშეკრულებით – „შეთანხმებით“, ასევე ბანკის ბიზნესკომიტეტის 2017 წლის 26 სექტემბრის №2069 გადაწყვეტილებითა და 2017 წლის 26 სექტემბრის იპოთეკის ხელშეკრულებების შინაარსით დგინდება, რომ სესხის ხელშეკრულება წერილობით უნდა გაფორმებულიყო. ამდენად, სესხის ხელშეკრულების გაფორმებამდე მოვალე ვერ მიიღებდა თანხას, რაც იმის დასტურია, რომ 14.09.2017წ. „შეთანხმებაში“ კლიენტის მიერ დაფიქსირებული ნება (ვალდებულება) – არა უგვიანეს 1 თვის ვადაში აეთვისებინა სესხის თანხიდან მინიმუმ 500 000 ლარი, შპს-ს უნდა მოეხდინა უშუალოდ, სესხის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და არა წინარე ხელშეკრულების ე.წ. „შეთანხმების“ გაფორმებიდან ერთ თვეში. შესაბამისად, ამ სადავო საკითხზე მეორე აპელანტის პოზიცია დასაბუთებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ.

6.7. სააპელაციო სასამართლოს განსჯით, მოცემული დავის გადანყვეტისათვის აუცილებელია დადგინდეს ფაქტი, აცნობა თუ არა ბანკმა (პირველმა აპელანტმა) სესხის ლიმიტის დამტკიცებისა და სესხის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით საბანკო დანესებულებაში გამოცხადების თაობაზე კლიენტს (მოპასუხეს);

6.7.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ამ საკითხზე მოსარჩელემ ვერ დაძლია მისი მტკიცების ტვირთი. საქმეზე წარმოდგენილი ბიზნესკომიტეტის 2017 წლის 26 სექტემბრის №2069 გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ბანკმა დაადგინა კლიენტზე მხოლოდ სამომავლოდ გასაცემი სესხის ლიმიტი, თუმცა, ამ გადაწყვეტილების თაობაზე და მისი აღსრულების მიზნით მოპასუხისათვის რაიმე სახის შეტყობინების გაგზავნა საქმეში არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება;

6.7.2. ამ სადავო საკითხთან მიმართებით მოსარჩელის (ბანკის) ახსნა-განმარტებასთან, როგორც მტკიცებულებასთან, დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება,

თუ მას მოწინააღმდეგე მხარე არ ეთანხმება, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობის ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მხარის მიერ მიცემული ნებისმიერი ახსნა-განმარტების მიჩნევა ეწინააღმდეგება სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს; ამდენად, პირველი აპელანტის (მოსარჩელის) მტკიცება, რომ კლიენტს ეცნობა სესხის დამტკიცების, ხელშეკრულების გაფორმების მიზნით საბანკო დაწესებულებაში გამოცხადების თაობაზე, თუმცა მოპასუხემ 14.09.2017წ „შეთანხმება“ დაარღვია, არ გააფორმა სესხის ხელშეკრულება, არ აითვისა მისთვის დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში მინიმუმ 500 000 ლარის ოდენობით სესხი, რაც ვალდებულების დარღვევაა, არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ;

6.7.3. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 316.1, 317-ე მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილებზე, 417-ე მუხლზე (ნორმათა დეფინიცია იხ. 4.11 ქვეპუნქტში) და 394.1 მუხლზე „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის“ მიუთითა და დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში გამოკვეთილი არ არის მოპასუხის (მეორე აპელანტის) მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტი, რაც გამოორიცხავს, როგორც შეთანხმებული 10 000 ლარის ოდენობით ბანკის სასარგებლოდ მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას, ასევე – ზიანის ანაზღაურებას.

7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

7.1. ბანკმა საკასაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ანუ მოპასუხისათვის 10 000 (ათი ათასი) ლარის დაკისრება მოითხოვა შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე დაყრდნობით:

7.1.1. სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც არ არის სესხის წინარე ხელშეკრულება; არ გაითვალისწინა მოვლენების ლოგიკური ბმა, რაც ირიბად, თუმცა, აშკარად მიუთითებს მოწინააღმდეგე მხარის ინფორმირებულობაზე, როდესაც მან საწარმოს პარტნიორთა

კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება და იპოთეკით დატვირთა ექვსი უძრავი ქონება; როდესაც მან კრედიტორის წერილი წაიღო სს „თ. ბ-ში“; „გონიერი პერსონის სტანდარტით“ (reasonable person/man standard) განსჯის გზით, ცხადია, რომ მოპასუხე მოქმედებდა, როგორც ინფორმირებული მხარე და იცოდა, რომ მას დაუმტკიცდა სესხი კონკრეტული პირობებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ექვსი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა იმ პირობებში, როდესაც გაურკვეველია სამომავლოდ დაუმტკიცდება თუ არა პირს სესხი, არ მოხდებოდა;

7.1.2. მოპასუხე იურიდიული პირია, რომელსაც ბანკებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს; სესხის აღებამდე, მსესხებელი, როგორც წესი, არაერთ საკრედიტო დაწესებულებაში ეცნობა პირობებს. ყველა ბანკის სასარგებლოდ, სადაც შესაძლოა რომ სესხი აიღოს პირმა, თუ ქონების იპოთეკით დატვირთვა მოუწია მსესხებელს, ეს არარეალური იქნებოდა. ასევე, ბანკი ხელმძღვანელობს „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განვებისა მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 151/04 ბრძანებით (კონკრეტულად 2017 წლის რედაქცია იგულისხმება) და მასთან წინააღმდეგობაში ვერ მოვა ბანკის ქმედებები. ამ განმარტების საწინააღმდეგო მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა, რაც მას არ შეუძლებელია, ხოლო მოსარჩელეს მეტი მტკიცების ტვირთი არ მოეთხოვება;

7.1.3. სასამართლომ არ იმსჯელა მოპასუხის განმარტებაზე, რომ მან კრედიტორი ბანკისაგან წერილი წაიღო „თ. ბ-ში“, ამ წერილის გამოკველევას ითხოვდა პირველი აპელანტი (მოსარჩელე) სასამართლოში, რომელშიც მითითებულია, რომ შპს-ს დაუმტკიცდა სესხი. წერილის ადრესატ „თ. ბ-ს“ კრედიტორი სთხოვს აცნობოს ანგარიში და რა დავალიანება ერიცხება მოპასუხეს, რათა ამ უკანასკნელის დავალიანების დასაფარად ჩარიცხოს თანხა;

7.1.4. კასატორს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის შეთანხმება არის სესხის შეპირება, რომელშიც პირობითი გარიგების ელემენტებია; სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ სესხის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ განისაზღვრებოდა სესხის საპროცენტო სარგებელი და სხვა პირობები, სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული, რადგან იმ დაშვებით, რომ შპს იღებდა სესხს ბანკიდან, თუმცა, კრედიტორმა მას შეთანხმებისაგან განსხვავებული პროცენტი და თანხა, ან სხვა პირობა შესთავაზა (ვითარების საპირისპიროდ შებრუნების სახით), ცხადია, რომ ბანკი ვალდებული იქნებოდა, შეესრულებინა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები და სესხი სწორედ იმ პირობებით გაეცა, როგორც ეს მხარეთა შორის იყო შეთანხმებული;

7.1.5. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარდგენილი მტკი-

ცებულებები და ყოველმხრივ არ გამოიკვლია მხარეთა მიერ წარდგენილი პოზიციები.

7.2. საკასაციო საჩივრის პასუხად მოპასუხე შპს-მ წერილობითი მოსაზრებები წარმოადგინა, არ დაეთანხმა საკასაციო პრეტენზიებსა და მოთხოვნას და მიუთითა:

7.2.1. კრედიტორმა შეთანხმებულ ვადაში არ დაუმტკიცა სესხი მსესხებელს, არ გააფორმა ხელშეკრულება კლიენტთან და ამიტომ ვერ მოხდა სესხის ათვისება. აქედან გამომდინარე, პირგასამტეხლოს თუ მიუღებელი შემოსავლის დაკისრების მოთხოვნა დაუსაბუთებელია, რადგან ბანკმა თვითონვე დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობები, შესაბამისად, სამართლიანია სასამართლოს გადაწყვეტილება;

7.2.2. უსაფუძვლოა კასატორის მტკიცება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არსებული სავაჭრო ტრადიციებისა და ჩვეულებების უგულებელყოფის თაობაზე. ბანკი შეთანხმების გაფორმებიდან ბოლო დღემდე ჰპირდებოდა კლიენტს, რომ სესხს დაუმტკიცებდა, საამისოდ მსესხებელმა ყველა მის ხელთ არსებული დოკუმენტი და რესურსი გადასცა ბანკს, წერილიც კი წაიღო სხვა ბანკში სესხის სწრაფად მიღების მიზნით და ქონებებიც საკუთარი სახსრებით მოამზადა იპოთეკით დასატივრთად. ბანკს არ უცნობებია სესხის დამტკიცების თაობაზე და მიუთითა, რომ მსესხებელს უნდა სცოდნოდა ამის შესახებ, თუმცა, რომელ საკანონმდებლო აქტზე დაყრდნობით, უცნობია;

7.2.3 სესხი, რომელიც კასატორ ბანკს უნდა დაემტკიცებინა მოპასუხე შპს-ათვის იმხანად დაბალპროცენტიანი და მზარისათვის მიმზიდველი იყო, თუმცა, რადგან სესხი არ დაემტკიცდა, მსესხებელი იძულებული გახდა, სხვა ბანკში მაღალპროცენტიანი სესხი აეღო, რითაც ათეულათასობით ლარი იზარალა;

7.2.4. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სესხის ხელშეკრულების გაფორმებაზე მზაობის ფაქტი, ისევე როგორც ვერ განსაზღვრა მოთხოვნა – პირგასამტეხლოს ითხოვს თუ სესხის მომზადებისა და გაცემისათვის გაწეული მომსახურების საფასურის ანაზღაურებას. სესხი არ გაცემულა, შესაბამისად, რაიმე ვალდებულება ვერ დაეკისრება მოპასუხეს;

7.2.5. კასატორის მონინალმდევე ვარაუდობს, რომ ბანკის კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება არც არსებობს; დაბალი საპროცენტო განაკვეთის გამო კრედიტორმა ვერ დაამტკიცა სესხი და ამის გამო არ სურდა, თვითონ გამოსულიყო შეთანხმების დამრღვევი. ერთი წერილის გაგზავნა ფოსტით, ელექტრონული გზით ან თუნდაც სატელეფონო ზარით კლიენტის შეტყობინება არ უნდა ყოფილიყო პრობლემა, თუმცა, ეს არ მომხდარა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

7.3. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021

ნლის 28 დეკემბრის განჩინებით კრედიტორის საკასაციო საჩივარი არსებითად განსახილველად დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის „საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას“ საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების, მოსარჩელის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ კრედიტორის საკასაციო განაცხადის ფაქტობრივი ნაწილი დასაბუთებულია და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

8. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი, ამასთან, საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავსებით საკმარისია სადავო სამართალურთიერთობის შეფასებისათვის, არ ქმნის საქმის ხელახლა განსახილველად (ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად ან სხვა მტკიცებულებების ხელახლა გამოსაკვლევად) ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ პროცესუალურ საფუძველს და, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, შესაძლებელია ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე.

9. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია

სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედგებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესო სამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

10. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/გაჩივებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან

წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

11. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

12. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონიწილმდევე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთ-

ხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვევებისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვევებთან მიღების მეთოდთა, თბ., 2003, გვ. 64) – შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ; №ას-804-2019, 19.03.2021წ; №ას-1133-2019, 30.07.2021წ; №ას-754-2021, 02.12.2021წ.).

13. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, გენერალური საკრედიტო ხაზის (შემდეგში: გსხ) შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე და საკრედიტო სამართალში მის დანიშნულებაზე გაამახვილებს ყურადღებას, რადგან მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის დადგენა მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის მტკიცების ტვირთის განსაზღვრისათვის.

14. საკასაციო სასამართლოს განმარტებით საკრედიტო და სესხის ხელშეკრულებები იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ კრედიტის გამცემი ყოველთვის საკრედიტო დანესებულება – ბანკი, რომლის საქმიანობა რეგულირდება კანონით (იხ. სსკ-ის 867-ე მუხლის კომენტარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარების მეოთხე წიგნში, ტ. I, გვ. 194 გამომცემლობა „სამართალი“, 2001 წ; გამომცემის მთავარი რედაქტორი ლადო ჭანტურია; ასევე – ზვიად გაბისონია, საბანკო სამართალი, გვ. 198-224, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017წ.). კომერციული ბანკის, როგორც საფინანსო სექტორის წარმომადგენლის, საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ეროვნულ-

ლი ბანკი „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე დადგენილი წესით. „საბანკო კრედიტი ფინანსური ინსტიტუტების მთავარი საბანკო პროდუქტია“ (იხ. ზვიად გაბისონია, საბანკო სამართალი, გვ. 198, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2017წ.). გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც საკრედიტო რესურსების ხელშეკრულების ნაირსახეობას წარმოადგენს, ორიენტირებულია სასესხო ფულადი თანხის გამოყოფაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, გსხ-ის შესახებ ხელშეკრულებით ბანკი საკუთარ ოფციონალურ უფლებას (სსკ-ის 867-ე მუხლის თანახმად: „საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით) იყენებს, როდესაც მოვალეს სთავაზობს წინაპირობებს კრედიტის გასაცემად, თუმცა, არა აბსტრაქტულად, არამედ მომავალში ძირითად მსესხებელზე გასაცემი თანხის ზღვრულ მოცულობას განსაზღვრავს, ამ ტიპის ხელშეკრულების მიზანია „მსესხებელს წინასწარ გაუფორმოს უზრუნველყოფის ხელშეკრულებები იმ ღირებულების ქონებაზე, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს საკრედიტო რესურსების ფარგლებში გამოყოფილი კონკრეტული საბანკო კრედიტების ან კრედიტის ცალკეული ტრანშების ამოღებადობას“ (იხ. საბანკო სამართალი – ზვიად გაბისონია, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017წ; გვ. 221-222). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკრედიტო რესურსების (საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება) ხელშეკრულება, ბანკის ოფციონალური უფლებიდან გამომდინარე, არ ავალდებულებს კრედიტორს, აუცილებლად გასცეს ამ ხელშეკრულებაში მითითებული თანხა, ან მაინცდამაინც მისი ზღვრული მოცულობა, ამასთან, არც იმგვარ ვალდებულებას გულისხმობს, რომ მოვალემ (მსესხებელმა) მისთვის ზღვრული ლიმიტის ფარგლებში გამოყოფილი თანხა სრულად აითვისოს. ზემოთ მითითებულია საკრედიტო რესურსების ხელშეკრულების მიზანზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მანამ, სანამ ბანკი თავის ოფციონალურ უფლებას გამოიყენებდეს (მოვალეზე კრედიტს გასცემდეს), მას სჭირდება გსხ-ის შესახებ ხელშეკრულების უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლოა მოხდეს როგორც სანივთო, ისე პიროვნული (პირადი) უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით. სწორედ ამიტომ არის სავალდებულო საბანკო რესურსების ხელშეკრულებაში მოვალისათვის გასაცემი კრედიტის მაქსიმალური ოდენობის წინასწარ განსაზღვრა, რადგან საკრედიტო პოლიტიკისა და სტრატეგიის საწინააღმდეგო იქნებოდა, საბანკო რესურსების ხელშეკრულების გაფორმება მომავალში გასაცემი კრედიტის წინასწარ უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების გარეშე. უზრუნველყოფის საშუალებების გამოსაყენებლად კი საჭიროა, განისაზღვროს კრედიტო-

რის მიერ გასაცემი კრედიტის მაქსიმალური (ზღვრული) ოდენობა, რაც „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტით კრედიტის ცნების განმარტებისათვის განსაზღვრული დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულებაა (შეად. სუსგ-ას №ას-647-647-2018, 21.10.2019წ.).

15. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე შეაფასა მხარეთა მიერ 2017 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმება და დაასკვნა, რომ სესხი რეალური ხელშეკრულებაა, მისი დადებულად ცნობისათვის აუცილებელია მსესხებელზე სესხის გადაცემა. მხარეთა შორის დადებული 2017 წლის 14 სექტემბრის წინარე ხელშეკრულებით – „შეთანხმებით“, ასევე ბანკის ბიზნესკომიტეტის 2017 წლის 26 სექტემბრის №2069 გადაწყვეტილებითა და 2017 წლის 26 სექტემბრის იპოთეკის ხელშეკრულებების შინაარსით დგინდება, რომ სესხის ხელშეკრულება წერილობით უნდა გაფორმებულიყო. ამდენად, სესხის ხელშეკრულების გაფორმებამდე მოვალე ვერ მიიღებდა თანხას, რაც იმის დასტურია, რომ 14.09.2017წ. „შეთანხმებაში“ კლიენტის მიერ დაფიქსირებული ნება (ვალდებულება) – არა უგვიანეს 1 თვის ვადაში აეთვისებინა სესხის თანხიდან მინიმუმ 500 000 ლარი, შპს-ს უნდა მოეხდინა უშუალოდ, სესხის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და არა წინარე ხელშეკრულების ე.წ. „შეთანხმების“ გაფორმებიდან ერთ თვეში. ამ მსჯელობასა და დასკვნას, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, იმსჯელებს კრედიტორსა და მსესხებელს შორის გაფორმებული შეთანხმების შემდეგ მხარეთა მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, რომელიც ასევე მათ ნებას ასახავს.

16. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

16.1. ბანკის საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების კომიტეტის მიერ 20.09.2017წ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება კლიენტისათვის (მოპასუხისათვის) სესხის ლიმიტის დამტკიცების თაობაზე, ხოლო ბიზნეს კომიტეტის №2069 გადაწყვეტილებით, შპს-ს დაუმტკიცდა სესხი;

16.2. შპს-ს (მოპასუხე) პარტნიორთა კრებაზე, რომელიც 2017 წლის 27 სექტემბერს გაიმართა, მიღებულია გადაწყვეტილება საზოგადოების საჭიროებისათვის სესხის – 500 000 ლარის აღების თაობაზე მოსარჩელე ბანკიდან, რისთვისაც უნდა გაფორმებულიყო გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება და საზოგადოებას ესარგებლა ყველა სახის საბანკო პროდუქტით. ამასთან, სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკის/

გირავნობის უფლებით დატვირთულიყო საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონება ასევე, მომავალში შეძენილი ნების-მიერი უძრავ/მოძრავი ქონება;

16.3. ბანკსა და მოპასუხე შპს-ს შორის 2017 წლის ბოლომდე გასა-ფორმებელი გენერალური ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გა-ფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მსესხებლის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, 2017 წლის 26 სექტემბრის ხელშეკრულებებით, იპოთეკით დაიტივრთა მსესხებლის (მოპასუხის) საკუთრებაში არსებული 6 უძრავი ნივთი მდებარე:

1. ქ. ქუთაისი, ... (ყოფილი ... მე-2 შესახვევი № 16). ს/კ №...;
2. ქ. ქუთაისი, ..., ს/კ №...;
3. ქ. ქუთაისი, ..., ს/კ №...;
4. ქ. ქუთაისი, ...; ს/კ №...;
5. ქ. ქუთაისი, ... ; ს/კ №...;
6. წყალტუბო, სოფელი ... (ზედა ...), ს/ №...

17. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დადგენილი გარემოებები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ მსესხებელმა იცოდა მისთვის სეს-ხის დამტკიცების ფაქტი და არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელემ ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი იმის თა-ობაზე, რომ კლიენტს ეცნობა სესხის დამტკიცების შესახებ (იხ. წინამ-დებარე გადაწყვეტილების 6.7-6.7.2 ქვეპუნქტები).

18. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გამახვილებს მსესხებ-ლის (მოვალის) მიერ უძრავი ქონებების იპოთეკით დატვირთვის შესა-ხებ საწარმოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და ქონებებზე იპო-თეკის რეგისტრაციის შესახებ, რაც მოცემულ საქმეზე დადგენილი და უდავო ფაქტობრივი გარემოებებია (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილე-ბის 4.3-4.4 ქვეპუნქტები) და განმარტავს, რომ იპოთეკის უფლება მოთ-ხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებაა. იპოთეკის უფლების დადგენის მიზანია კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფა. იპოთე-კით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს როგორც სახელშეკრუ-ლებო, ასევე, კანონისმიერი მოთხოვნები. იპოთეკის უფლების საფუძ-ველზე უზრუნველყოფილი კრედიტორი მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში მოიპოვებს უპირატესობას ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორთან შედარებით. იპოთეკარი (კრედიტორი), უზრუნველყო-ფილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოთხოვნას იკმაყო-ფილებს იპოთეკის საგნის რეალიზაციით ან მასზე საკუთრების უფლე-ბის მოპოვებით. იპოთეკის უფლება აქცესორულ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. იგი არ არსებობს ძირითადი (უზრუნველყოფილი) მოთ-ხოვნის უფლების გარეშე. სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყისში მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე, ასევე, ვალდე-

ბულების უზრუნველყოფის საშუალებებზე – იპოთეკის უფლებაზე. იპოთეკა, როგორც აქცესორული უფლება, დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების საფუძველზე წარმოშობილი შესრულების მოთხოვნის უფლებაზე, რომლის დარღვევა, შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, წარმოშობს იპოთეკის უფლების განხორციელების შესაძლებლობას. იპოთეკის წარმოშობის საფუძველი ყოველთვის არის კანონიერ ძალაში არსებული ხელშეკრულება. ძირითადი (უზრუნველსაყოფი) გარიგების გაუქმება გამოორიცხავს იპოთეკის უფლების დადგენის ან განხორციელების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით არააქცესორული იპოთეკა არ არსებობს. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რადგან არსებობს იპოთეკის უფლება (აქცესორული უფლება), არსებობს პრეზუმფიცია, რომ სახეზეა ის მთავარი უფლებაც, რომლის უზრუნველსაყოფადაც იქნა გამოყენებული იპოთეკა. პრეზუმირებული (ნავარაუდები) ფაქტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, ამიტომ ის, ვინც უარყოფს ამ პრეზუმფიციას, მან უნდა დაამტკიცოს საწინააღმდეგო (იხ. სუსგ №ას-853-803-2015, 19.11.2015წ.).

19. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განსჯით არ არის გასაზიარებელი მოპასუხის სტადიაზე მოვალის მიერ გაცხადებული შედავება, რომ მისთვის უცნობი იყო ბანკის ბიზნესკომიტეტის 2017 წლის 20 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება სესხის დამტკიცების თაობაზე, რადგან დადგენილი გარემოებაა, რომ 2017 წლის 26 სექტემბერს იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის რამდენიმე უძრავი ქონება, რაც მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრი ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. უფრო მეტიც, იპოთეკის ხელშეკრულებები დათარიღებულია 26.09.2017 წლით, ხოლო მსესხებელმა საწარმომ, სწორედ იმიტომ, რომ იცოდა ბანკის ბიზნესკომიტეტის 20.09.2017 წლის გადაწყვეტილება სესხის დამტკიცების თაობაზე, პარტნიორთა კრებაზე იურიდიულად გააფორმა შპს-ს მიერ მოსარჩელე ბანკისაგან სესხის აღების საკითხი და მისი პირობები. საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები სხვაგვარი სამართლებრივი შეფასების საფუძველს არ იძლევა, რადგან მოვალე საწარმოს პარტნიორთა კრების 27.09.2017წ. ოქმით სწორედ მოსარჩელე ბანკისაგან და არა ნებისმიერი (ან ალტერნატიულად რამდენიმე ბანკიდან რომელიმესგან) საკრედიტო დანესებულებისაგან სესხის აღების საკითხზეა გადაწყვეტილება მიღებული. საკასაციო სასამართლოს შინაგან რწმენას ისიც ამყარებს, რომ მოვალეს, რომელსაც 6 უძრავი ქონება აქვს იპოთეკით დატვირთული, არ მიუმართავს მოსარჩელე ბანკისათვის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მის კუთვნილ ქონებებზე უზრუნველყოფის ღონისძიების რეგისტრაციის გა-

უქმების მოთხოვნით. კრედიტორისაგან 17.10.2017 წელს მიღებული გაფრთხილების წერილის პასუხად, მხოლოდ 24.10.2017 წლის წერილში დააფიქსირა მოვალემ თავისი პოზიცია, როდესაც არ დაეთანხმა მსესხებლის გაფრთხილების წერილში გამოთქმულ პრეტენზიას, მიუთითა, რომ მსესხებლისათვის სესხი დღემდე არ იყო დამტკიცებული და ბანკისაგან მოითხოვა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებების სამართლებრივი შეზღუდვისაგან გათავისუფლება.

20. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, კრედიტორის მოთხოვნა სრულად უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს – 10 000 ლარის გადახდა.

21. სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ იმ მოთხოვნის შესაბამისი პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისრა, რაც ამ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 264.3, 257.1, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სს „პ.ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „პ.ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. სს „პ.ბ-ის“ სასარგებლოდ შპს „მ-ოს“ დაეკისროს პირგასამტეხლოს – 10 000 ლარის გადახდა;
5. სს „პ.ბ-ის“ სასარგებლოდ შპს „მ-ოს“ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 1080 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საანაბრე ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის
ანაზღაურება**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-443-2020

30 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: გარიგების/ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, თან-
ხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:
სასარჩელო მოთხოვნა:**

1. მ. ჯ-ქმ (შემდგომ – მეანაბრე, მოსარჩელე, პირველი აპელანტი, პირველი კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ტ-ის“ (შემდგომ – ბანკი, მოპასუხე, მეორე აპელანტი, მეორე კასატორი) მიმართ და მოითხოვა გარიგების/ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და თანხის დაკისრება.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 4 აპრილს მას და ბანკს შორის დაიდო საბანკო ანაბრის ხელშეკრულება და მოსარჩელემ 800 000 აშშ დოლარი დეპოზიტზე განათავსა. 2014 წლის 4 აპრილამდე მოსარჩელემ 759 800 აშშ დოლარი დატოვა საბანკო ანგარიშზე მაღალი სარგებლის მიღების მიზნით. მეანაბრეს ამავე ბანკში გახსნილ საბარათე ანგარიშზე თითქმის ორი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად დათქმულ რიცხვში ერიცხებოდა დეპოზიტის შესაბამისი სარგებელი. 2016 წლის მარტში, როცა მას კუთვნილი სარგებლის თანხა არ ჩაერიცხა, ვითარების გასარკვევად დაუკავშირდა ბანკს. აღმოჩნდა, რომ მისი სადეპოზიტო ანგარიში იყო განუღებული 2014 წლის 4 აპრილიდან. მეანაბრის მიერ ანგარიშთან დაკავშირებით დოკუმენტების ბანკიდან გამოთხოვის შედეგად გაირკვა, რომ მოსარჩელემ 2014 წლის 4 აპრილს სრულად განკარგა კუთვნილი თანხა მისთვის უცნობი 4 პირის კრედიტის დასაფარად, ნაწილი კი – ფილიალის მმართველის კომპანიის ანგარიშზე იქნა შეტანილი. კვალის დაფარვისა და მოსარჩელის მოტყუების მიზნით მოსარჩელის საბარათე ანგარიშზე მომდევნო 22 თვის განმავ-

ლობაში ყოველთვიურად ირიცხებოდა სარგებელი. მიუხედავად იმისა, რომ აშკარა იყო მეანაბრის კუთვნილი თანხის მითვისების ფაქტი, ბანკმა არ გაიზიარა მოსარჩელის სამართლიანი მოთხოვნა კუთვნილი თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა უნებართვოდ თავისივე ანგარიშიდან განკარგული თანხის – 759 800 აშშ დოლარის დაბრუნება; ზიანის – დასაბრუნებელ თანხაზე დარიცხული ყოველწლიური სარგებლის 12%-ის, რაც 2017 წლის 6 დეკემბრისათვის 334 978 აშშ დოლარია და 2017 წლის 6 დეკემბრიდან დასაბრუნებელი თანხის სრულად დაბრუნებამდე ყოველ დღეზე 249.79 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება; კანონით დადგენილი პროცენტის – მოსარჩელისათვის გადასახდელი თანხის 0,5%-ის ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე, რაც 2017 წლის 6 დეკემბრამდე (611 დღე) 2321.189 აშშ დოლარია, ხოლო 2017 წლის 6 დეკემბრიდან დასაბრუნებელი თანხის სრულად დაბრუნებამდე ყოველ დღეზე 3 799 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება; მოსარჩელემ მოითხოვა 2013 წლის 4 აპრილს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ვადიანი დეპოზიტის შესახებ (სარგებლის ყოველთვიური გატანით) ხელშეკრულების, 2013 წლის 4 აპრილის თავდებობის შესახებ მოსარჩელის განცხადებათა (ა. მ-ის, ნ. კ-ის დ. მ-ის, დ. ხ-ის სასარგებლოდ) და 2013 წლის 4 აპრილის თავდებობის ხელშეკრულებათა, ასევე – 2014 წლის 4 აპრილის განცხადების ბათილად ცნობა.

მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სადეპოზიტო ურთიერთობა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ფიქციური იყო, რადგან მოსარჩელემ ბანკთან სადეპოზიტო ურთიერთობები დაიწყო თვალთმაქცური გარიგებებით, რომლებმაც გადაფარეს ბანკისა და ა. მ-ის (შემდგომ – მესამე პირი) ნამდვილი სადეპოზიტო ურთიერთობები. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ მოსარჩელის კუთვნილ ანგარიშზე განთავსებული თანხა ეკუთვნოდა მესამე პირს და რეალურად სწორედ მის მიერ იმართებოდა. მან 2011 წლის 30 მარტსა და 1 აპრილს უცხოეთიდან სესხის სახით მიღებული 1,500,000 აშშ დოლარიდან, 2011 წლის 4 აპრილს 1,000,000 აშშ დოლარი ანაბრის სახით განათავსა ბანკის დიდუბის ფილიალში. იმის გამო, რომ მესამე პირმა სესხად მიღებული თანხა არ დააბრუნა, კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 1,606,875 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა. თანხის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, მან ანაბარზე უფლება მოჩვენებითი გარიგების გზით დაუთმო ჯერ თავის შვილს – ხოლო მოგვიანებით, რძალს – მოსარჩელეს, რომელმაც 2013 წლის 4 აპრილს 800,000 აშშ დოლარი ბან-

კში საკუთარ სახელზე განათავსა. მიუხედავად ზემოაღნიშნული გადაცემებისა, მესამე პირი ყოველთვის რჩებოდა ანაბრის რეალურ მესაკუთრედ. ამასთან, ეს უკანასკნელი ფილიალის მმართველის – ი. ა-ვას (შემდგომ – ფილიალის მმართველი) მეგობარი იყო და მათ შორის ბანკისაგან დამოუკიდებელი შეთანხმება არსებობდა, რის საფუძველზეც მესამე პირი ბანკისგან მისაღებ სარგებელს მაინც იღებდა ფილიალის მმართველისაგან.

5. მოსარჩელის 2014 წლის 4 აპრილის განცხადება, რომლითაც დაიფარა ფილიალის მმართველის სესხი, სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ნამდვილი მეანაბრის მიმართ. მოსარჩელე არ წარმოადგენს აღნიშნული განცხადების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლებამოსილ სუბიექტს. რაც შეეხება 2013 წლის 4 აპრილს გაფორმებულ ანაბრის ხელშეკრულებებსა და ბანკსა და მოსარჩელეს შორის დადებულ ოთხ ყალბ თავდებობის ხელშეკრულებას, 2016 წლის 27 აპრილის ექსპერტიზის დასკვნით ცნობილია, რომ ამ დოკუმენტებზე მოსარჩელის ხელმოწერა ყალბია. ამ ხელშეკრულებებზე არ არის ორივე მხარის ხელმოწერა, შესაბამისად, არ არსებობს არც გარიგება. ვინაიდან მოსარჩელე არ არის დეპოზიტის მესაკუთრე და რეალური მესაკუთრე მესამე პირია, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. პირველი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა ავტომატურად იწვევს მოსარჩელის სხვა მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობასაც, თუმცა მათი დაუკმაყოფილებლობის სხვა დამოუკიდებელი საფუძვლებიც არსებობს, არ ვლინდება ბანკის მხრიდან უკანონო ქმედება ან/და ვალდებულების დარღვევა, არ არსებობს ბანკის ბრალეული ქმედება და მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს დაეკისრა 500 000 აშშ დოლარისა და 500 000 აშშ დოლარის წლიური 4%-ის, 2016 წლის მარტიდან თანხის სრულად დაფარვამდე გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. დასაბრუნებელ თანხაზე დარიცხული ყოველწლიური სარგებლის – 12%-ის 2014 წლის 4 აპრილიდან ანაზღაურების მოთხოვნისა და ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე გადასახდელი თანხის 0.5%-ის დაკისრების შესახებ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 7 ნოემბრის განჩინებით – სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

9. სააპელაციო პალატის მითითებით, 2013 წლის 4 აპრილით დათარიღებული ვადიანი დეპოზიტის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, მოსარჩელესა და მოპასუხეს (წარმოდგენილი ... ფილიალის მმართველის სახით) შორის გაფორმდა ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულება, 12 თვის ვადით, წლიური 12% და მოსარჩელემ მოპასუხის ანგარიშზე განათავსა 800000 აშშ დოლარი. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება, რომ აღნიშნული ურთიერთობა არ უნდა შეფასდეს როგორც ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობად, რადგან ბანკის ფილიალის ყოფილი მმართველი და მესამე პირი, რომელიც იყო თანხის რეალური მესაკუთრე, შეთანხმებულად მოქმედებდნენ პირადი სარგებლის მიღების მიზნით, რითაც ბანკს მიაყენეს ზიანი. სააპელაციო პალატის მითითებით, 2013 წლის 4 აპრილის ვადიანი დეპოზიტის შესახებ ხელშეკრულების დადებისას ბანკი წარმოდგენილი იყო ... ფილიალის მმართველით, რაც მოსარჩელისათვის იყო ბანკთან ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობის წარმოშობის საფუძველი.

10. უდავო იყო, რომ მოსარჩელემ განთავსებული 800 000 აშშ დოლარიდან მიიღო 300 000 აშშ დოლარი და 2015 წლის 4 აპრილიდან მოსარჩელის ანგარიშზე ყოველთვიურად ერიცხებოდა 500 000 აშშ დოლარის შესაბამისი სარგებელი (წლიური 12%) 2016 წლის მარტამდე. მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ როგორც გამოვლინდა, ბანკს 2014 წლის 4 აპრილის შემდგომ არ გადაუხდია მისთვის თანხა და, დანაშაულის დაფარვის მიზნით, ფილიალის მმართველი, თითქოსდა, ბანკში გახსნილი ანაბრიდან გადასცემდა თანხას, ეს გარემოება არ შეიძლება გახდეს მოპასუხისათვის იმ თანხის დაკისრების საფუძველი, რაც უკვე მიღებული აქვს მოსარჩელეს ბანკთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, მათ შორის – 2014 წლის 4 აპრილიდან ანაბარზე განთავსებული თანხის ყოველწლიური 12% სარგებლის სახით, იმისდა მიუხედავად, თუ კონკრეტულად ვინ გადასცა მას ბანკში თანხა და ვინ ურიცხავდა ყოველთვიურ სარგებელს ბანკის ანგარიშზე. მოსარჩელე აცნობიერებდა, რომ ბანკთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებდა, დეპოზიტიდან მიიღო 300 000 აშშ დოლარი, დეპოზიტზე დარჩა 500 000 აშშ დოლარი, რომლის პროპორციულად ერიცხებოდა წლიური სარგებელი ყოველთვიურად. მოსარჩელის მოთხოვნა არის მისი ნების საწინააღმდეგოდ განკარგული თანხის დაბრუნება, რაც რეალურად შეადგენს 500 000 აშშ დოლარს და მითითებული თანხის დაბრუნება უნდა დაეკისროს ბანკს მოსარჩელის სასარგებლოდ.

11. 2013 წლის 4 აპრილით დათარიღებული ვადიანი დეპოზიტის შესახებ ხელშეკრულების 4.3 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას, დეპოზიტარი დეპოზიტის თანხას თუ არ მოითხოვს, ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება იმავე ვადით, რა ვადითაც იყო იგი დადებული. ხელშეკრულების გაგრძელების შემთხვევაში დეპოზიტს დაერიცხება სარგებელი გაგრძელების დღისათვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად. მოპასუხის განმარტებით, 2016 წლის მარტიდან საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ამერიკული დოლარის ვადიან ანაბარზე მერყეობს 3.3-4%-ის ფარგლებში, რაც შეესაბამება კომერციული ბანკების სტატისტიკურ მონაცემებს ფიზიკური პირების მიერ ვადიან ანაბარზე განთავსებულ უცხოურ ვალუტასთან მიმართებით. რაკი მხარეთა შორის დადებული ვადიანი დეპოზიტის შესახებ ხელშეკრულების ვადა არ გაგრძელებულა და მოსარჩელეს 2014 წლის 4 აპრილიდან 2016 წლის მარტამდე ანგარიშზე ყოველთვიურად ერიცხებოდა თანხის შესაბამისი სარგებელი წლიური 12%, მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ მართებულად დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ბანკს მოსარჩელის სასარგებლოდ მართებულად დაეკისრა ზიანის ანაზღაურება დასაბრუნებელი თანხის – 500000 აშშ დოლარის წლიური 4%-ის ოდენობით 2016 წლის მარტიდან თანხის სრულად დაფარვამდე.

12. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სადავო თანხაზე 0,5%-ის დარიცხვასთან დაკავშირებით დასაბუთებაც – სარჩელი დასაბრუნებელ თანხაზე დარიცხული ყოველწლიური სარგებლის 12%-ის 2014 წლის 4 აპრილიდან ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში უსაფუძვლოდ მიიჩნია, ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დაგვიანებული თანხის არანაკლებ 0,5%-ის ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ მოთხოვნა, ვინაიდან ნორმა უკავშირდებოდა ფულადი გადარიცხვის ვადის დარღვევას, რაც განსახილველ ურთიერთობაზე ვერ გავრცელდებოდა.

პირველი კასატორის მოთხოვნა:

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

14. პირველი კასატორის მტკიცებით, სასამართლომ ბანკს ანაბრის მხოლოდ ნაწილის დაბრუნება დაავალა. სასამართლო მოპასუხისთვის 500,000.00 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების დაკისრებას ასაბუთებს მსჯელობით, თითქოს, მოსარჩელეს უკვე მიღებული აქვს „ბანკთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში“ 259,800.00 აშშ დოლა-

რი და, შესაბამისად, არ არსებობს ბანკისთვის 759,800.00 აშშ დოლარის დაკისრების საფუძველი. მოსარჩელის მიერ ბანკის თანამშრომლისგან მიღებული თანხით, რომელიც ამ უკანასკნელმა ვალდებულების გარეშე გადაიხადა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, არ შეიძლება შემცირდეს ბანკის ვალდებულება. ამდენად, უზენაესმა სასამართლომ უნდა შეაფასოს ბანკის დანაშაულის შედეგად დასაკუთრებული თანხის სრულად დაბრუნების თაობაზე ბანკის ვალდებულება შესაძლებელია თუ არა შემცირდეს მესამე პირების მიერ დანაშაულის დაფარვის მიზნით გადახდილი პირადი თანხებით, მაშინ, როდესაც ეს პირები მოქმედებდნენ დამოუკიდებლად და არა – ბანკის დავალებით. სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 997-ე მუხლით და მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანისათვის კი არ უნდა გამოეკლო მესამე პირთა გადახდილი თანხა, არამედ უფრო სპეციალური, საბანკო მომსახურების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სსკ-ის 861-ე მუხლის შესაბამისად, სწორედ ბანკისათვის უნდა დაევალებინა არასწორად განკარგული თანხის კვლავ მენაბრისათვის სრულად დაბრუნება.

15. სააპელაციო სასამართლო არასწორად მიუთითებს, რომ მოსარჩელემ ბანკთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში 2014 წლის 4 აპრილიდან 2016 წლის მარტამდე ფილიალის მმართველისაგან მიიღო ანაბარზე სარგებელი წლიური 12%. უდავოა, რომ ბანკს მოსარჩელისთვის არ გადაუხდია არცერთი ცენტი. შესაბამისად, სასამართლომ ფაქტები არასწორად შეაფასა მხოლოდ იმიტომ, რომ მოსარჩელეს მესამე პირთა მიერ გადახდილი თანხა ბანკის მიერ გადახდილად მიაჩნდა. ბანკმა ორი წელი 2014-2016 წლებში 759,800.00 აშშ დოლარის უსასყიდლოდ სარგებლობით მიიღო ამ თანხის 10-12%-ის მოგება, რადგან სწორედ ამდენი იყო უცხოურ ვალუტაზე ვადიან დეპოზიტზე სარგებლის საპროცენტო განაკვეთი. გაუგებარია, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადგინა სააპელაციო სასამართლო ზიანის წლიური 4%. პალატა დაეყრდნო ბანკის განმარტებას, რომ 2016 წლის მარტიდან აშშ დოლარის საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთი მერყეობდა 3.3-4%-მდე. ეს მონაცემი არასრულყოფილია, რამდენადაც არ მოიცავს 2016-2020 წლების მონაცემებს. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო საჯაროდ ხელმისაწვდომ საშუალო სტატისტიკურ მონაცემებს ზიანის ანაზღაურების გაცემის მიზნებისათვის, მას უნდა განესაზღვრა არა საშუალო სტატისტიკური შეწონილი განაკვეთი, არამედ ბაზარზე არსებული ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი 1 წელზე მეტი ვადით განთავსებულ აშშ დოლარით გახსნილი ვადიანი დეპოზიტისათვის.

16. რაც შეეხება დაგვიანებული თანხის 0,5%-ის ყოველ ვადაგადა-

ცილებულ დღეზე დაკისრებას, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი სასამართლომ უნდა განმარტოს არა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ ნორმის სამართლებრივი დანიშნულებისა და რეალური შინაარსიდან გამომდინარე. ნორმის მთავარი მიზანია, ბანკმა მითითებისთანავე შეასრულოს თანხის დაბრუნების თაობაზე კლიენტის დავალება. კანონით დადგენილი პირგასამტეხლოს – 0.5%-ის დაკისრების მართლზომიერება იკვეთება იქიდანაც, რომ, თუკი ბანკს დაეკისრება მხოლოდ უკანონოდ დასაკუთრებული თანხა და ზიანი, რაც ანაბარზე საბაზრო სარგებლის ტოლია, ნიშნავს, რომ ბანკს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, რადგან მეანაბრეს დაუბრუნებს თანხას და იმ სარგებელს, რასაც ისედაც გადაიხდიდა, ანაბრის თანხა მართლზომიერად რომ განეკარგა. ამ ლოგიკით ნებისმიერ კომერციულ ბანკს შეუძლია, არ დააბრუნოს ანაბრის თანხა და აიძულოს მეანაბრე მრავალწლიანი სასამართლო დავის გზით დაიბრუნოს იგივე თანხა.

მეორე კასატორის მოთხოვნა:

17. მოპასუხის მხარეზე არ არსებობს არცერთი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც მოსარჩელის მეანაბრეობას გამორიცხავდა. სამაგიეროდ, არსებობს ბევრი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ფორმალურად გამართული დეპოზიტის ხელშეკრულების მიუხედავად, ამ ხელშეკრულებაში გამოხატული მხარეთა ნება მოჩვენებითია და სხვა გარიგების დასაფარად დაიდო. ფილიალის მმართველი და ნამდვილი მეანაბრე შეთანხმდნენ, რომ ეს უკანასკნელი თავისი დეპოზიტით თავდებად დაუდგებოდა ფილიალის მმართველს და დაეხმარებოდა ბანკიდან სესხის მიღებაში, სანაცვლოდ მის დეპოზიტს იმაზე მეტ პროცენტს დაარიცხავდა, ვიდრე ეს დროის მოცემულ მონაკვეთში ბანკში იყო დადგენილი. ამდენად, ამ გარიგებით ფილიალის მმართველის მოგება იყო მიღებული სესხის მეტ პროცენტად გასესხება, ნამდვილი მეანაბრის – ანაბრისათვის სტანდარტულზე მაღალი პროცენტი. ბანკის მტკიცებით, თუკი ნამდვილი მეანაბრე დაზარალდა (ბანკი მოსარჩელეს არ განიხილავდა ანაბრის შესაკუთრედ), მაშინ მასზე პასუხისმგებლობა უნდა დაჰკისრებოდა არა ბანკს, არამედ ფილიალის მმართველს, რომელმაც ვერ უზრუნველყო მას და მესამე პირს შორის არსებული შეთანხმების შესრულება და პირადი ვალის დაფარვა.

18. მოსარჩელე რომ საერთოდ არ კითხულობდა, რაზე აწერდა ხელს, ეს გასაგებია. იგი ფიქციური პირი იყო, ყოველთვის ხელს აწერდა ნამდვილ მეანაბრესთან ერთად და ამით მისი მოვალეობა ამონურული იყო. სწორედ ამიტომ, მოსარჩელის ხელმოწერა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მესამე პირისათვის. თუ სასამართლო დაადგენდა, რომ ანაბრის შესაკუთრე იყო არა მოსარჩელე, არამედ მესამე პირი, სარჩელი არ

დაკმაყოფილებოდა.

19. სასამართლო ეყრდნობა განაჩენს, თუმცა არგუმენტირებულად არ პასუხობს განაჩენთან დაკავშირებით ბანკის კითხვებს. არც ბრალდების მხარის და არც სასამართლოს წინაშე არ დასმულა საკითხი, დაიდო თუ არა თვალთმაქცური გარიგება, როდესაც მესამე პირის მეანაბრეობა მისმა შვილმა, ხოლო შემდეგ მოსარჩელემ ჩანაცვლა. მათთვის უცნობი ან უინტერესო იყო, რომ ჩანაცვლების საფუძველი მეანაბრის მიმართ სასამართლოს გადანყვეტილებით დადასტურებული კრედიტორის მოთხოვნა იყო. ბანკი არ ყოფილა სისხლის სამართლის პროცესის მხარე, მას არ მიუწვდებოდა ხელი პროცესის მასალებზე და არც გავლენის მოხდენა არ შეეძლო ბრალდების ან დაცვის მხარის პოზიციაზე. განაჩენი არ უშლის ხელს სასამართლომ, სამოქალაქო სამართლებრივად შეაფასოს ურთიერთობის მთელი პერიოდი არა 2013 წლიდან, არამედ 2011 წლიდან. შეფასებისას პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას – იყო თუ არა ანაბრის რეალური მესაკუთრე მესამე პირი და არსებობდა თუ არა კერძო გარიგება მას და ბანკის მოხელეს შორის.

20. სასამართლომ უგულებელყო ფაქტობრივი გარემოებები. დავის საგანია არა ის, რომ დეპოზიტის ვადის ამოწურვის შემდეგ ბანკმა მეანაბრეს შენატანი არ დაუბრუნა, არამედ ის, რომ მოსარჩელემ შენატანის დაბრუნების შემდეგ, თავისი განცხადებით, სხვა პირთა სესხი დაფარა. შესაბამისად, როდესაც მოსარჩელემ გაუთვითცნობიერებლად თავისი ფული ფილიალის მმართველის სასარგებლოდ მიმართა, ამ განკარგვაზე ბანკია პასუხისმგებელი თუ ის, ვინც ფული მიიღო? ვის წინაშეა ბანკი პასუხისმგებელი – ნამდვილი მეანაბრისა თუ მოსარჩელის, რომელიც თვალთმაქცური გარიგების მონაწილე და მოჩვენებითი მეანაბრე იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

21. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივრები დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ-ის) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარე-

მოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შემდეგა).

23. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ანაბარზე განთავსებული თანხის დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას უკავშირდება და არ გამომდინარეობს დელიქტური სამართლიდან. შესაბამისად, მიიჩნევს, რომ მოთხოვნის საფუძვლიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 874.1 (ფულადი თანხის შეტანით (ანაბარი) საკრედიტო დანესებულება მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ვალდებულია, ვადის დადგომისას იმავე ვალუტით დააბრუნოს მიღებული თანხა), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამონვეული ზიანის ანაზღაურება) 404-ე (კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამონვეული ზიანის ანაზღაურება), 408-ე (პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა), 411-ე (ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ – მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო) მუხლების შესაბამისად უნდა შემოწმდეს.

24. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ ბანკთან გააფორმა ანაბრის ხელშეკრულება და საანაბრე ანგარიშზე განათავსა თანხა, რომელიც მენაბრის ნების საწინააღმდეგოდ იქნა გატანილი ანგარიშიდან. სადავო არ არის ის ფაქტიც, რომ მენაბრეს კუთვნილი თანხიდან ნაწილი – 500 000 აშშ დოლარი ბანკისგან დღემდე არ მიუღია.

25. პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 874-ე მუხლით გათვალისწინებული ანაბრის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ მენაბრე და საკრედიტო დანესებულება, ხელშეკრულების საგანი არის ფული, რომელიც მენაბრეს შეაქვს ანაბარზე და ამ თანხაზე საკუთრებას გადასცემს საკრედიტო დანესებულებას, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია, დადგენილი ვადის დაცვით დაუბრუნოს მენაბრეს იმდენივე თანხა პროცენტთან ერთად. ანაბრის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ხელშეკრულების საგანი, გვაროვნული ნივთი – ფულია, რომელზე საკუთრებასაც მენაბრე გადასცემს საკრედიტო დანესებულებას, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული

ნესის შესაბამისად, დააბრუნოს სარგებელთან ერთად.

26. არ არის გასაზიარებელი მოპასუხის საკასაციო პრეტენზია, რომ მოსარჩელის წინაშე პასუხისმგებელი ფილიალის მმართველია, რადგან თანხა მართლსაწინააღმდეგოდ სწორედ მან განკარგა. დადგენილია, რომ მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ თანხა გავიდა დეპოზიტ-დან, ასეთ ვითარებაში, მოპასუხე ბანკის მმართველის მხრიდან თანხის გატანა არ შეიძლება შეფასდეს, როგორც მოსარჩელის კუთვნილი თანხის გატანა, ვინაიდან ხელშეკრულების საგანზე საკუთრების უფლება (სსკ-ის 170-ე მუხლი) გადაცემული აქვს საკრედიტო დაწესებულებას და სწორედ ის არის ვალდებული, დააბრუნოს მიღებული თანხა თავისი თანამშრომლის მიერ არაკანონიერად განკარგვის დროს (სსკ-ის 104-ე მუხლი). ამ დასაბუთებით უსაფუძვლოა მოსარჩელის მტკიცება, რომ ანაბრიდან უკვე დაბრუნებული თანხაც უნდა დაუბრუნდეს, რამდენადაც ბანკმა არა ანაბარზე განთავსებული თანხა, არამედ სხვა ფული დააბრუნა, რომელიც მოსარჩელის ანაბარზე შეიტანეს ფილიალის მმართველმა თუ ამ სქემაში ჩართულმა სხვა პირებმა. კიდევ ერთხელ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების საგანი იყო გვაროვნული ნივთი, რომელზე საკუთრებაც მოსარჩელემ ბანკს გადასცა, ეს უკანასკნელი კი, ვალდებულია, დააბრუნოს იმავე ოდენობის თანხა. ანაბრის თანხასთან მიმართებით ბანკის თანამშრომლის არამართლობიერი ქმედება ბანკის ვალდებულებას, დააბრუნოს იმდენივე თანხა, ვერც შეამსუბუქებს და ვერც დაამძიმებს. შესაბამისად, ანაბრიდან უკვე დაბრუნებული თანხა უნდა გამოაკლდეს მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობას.

27. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა და იწვევს მოთხოვნის უფლებას იმ მხარისათვის, რომლის მიმართაც და ინტერესთა საზიანოდ შეთანხმების პირობები დაირღვა (სუსგ №ას-696-696-2018, 06.07.2018წ.; №ას-1747-2019, 28.05.2020წ.; №ას-1768-2019, 29.05.2020წ.). სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე. დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს დარღვეული უფლების დაცვა (იხ. მ.თოდუა/პ.ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 37).

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სსკ-ის 874-ე მუხლით და კანონიერად დააკისრა მოპასუხეს საანაბრე ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის მოსარჩელისთვის ანაზ-

ლაურება.

29. არ არის გასაზიარებელი მეორე კასატორის საკასაციო პრეტენზია, რომ თანხის დაბრუნებას გამორიცხავდა ფაქტი, რომ ანაბრის ხელშეკრულებაში გამოხატული მხარეთა ნება მოჩვენებითი იყო და სხვა გარიგების დასაფარად დაიდო. მოპასუხე (კასატორი) უთითებს, რომ ფილიალის მმართველსა და მესამე პირს შორის არსებობდა ბანკის გვერდის ავლით შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ნამდვილი მეანაბრე თავისი დეპოზიტით თავდებად დაუდგა ფილიალის მმართველს და დაეხმარა ბანკიდან სესხის მიღებაში, სანაცვლოდ, მის დეპოზიტს იმაზე მეტი პროცენტი დაერიცხა, ვიდრე ეს დროის მოცემულ მონაკვეთში ბანკში იყო დადგენილი. სწორედ ამის გამო, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მოჩვენებითი გარიგება დაიდო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოჩვენებითი გარიგების დადების მოტივი არ არის სათანადო და დამაჯერებელი. გაუგებარია გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის საფუძვლად მითითებული გარემოებები რატომ უშლიდა ხელს მესამე პირს, თავად ყოფილიყო მეანაბრე. კასატორის მტკიცებით, ფარული გარიგების შესახებ ფაქტების გამჟღავნებით ნამდვილი მეანაბრე დაკარგავდა ბანკისგან თანხის უკან მოთხოვნის უფლებას, რაც არასწორია. კასატორის მიერ მითითებული გარემოებები (დადასტურებულად რომც მივიჩნიოთ) ბანკს ანაბარზე განთავსებული თანხის დაკავების უფლებას არ წარმოუშობდა. შესაბამისად, ამ მსჯელობის მიხედვით, გარიგების მოჩვენებითად თუ თვალთმაქცურად მიჩნევა დაუსაბუთებელია. რაც შეეხება იმ მტკიცებას, რომ ჩანაცვლების საფუძველი მეანაბრის მიმართ სასამართლოს გადანყევითილებით დადასტურებული კრედიტორის მოთხოვნა იყო, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსათვის აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებს ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქციური გარიგების შესახებ შეთანხმებაზე, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. მაშასადამე, სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული საფუძვლით გარიგების მოჩვენებითობის ინტერესი შესაძლებელია ჰიპოთეტურად ჰქონდეს იმ პირს, რომლის მოტყუებასაც მიზნად ისახავს გარიგებაში მონაწილე მხარე (სუსგ №ას-794-2020, 24.12.2020წ.; №ას-1470-2018, 15.02.2019წ.). საკასაციო პალატას მიაჩნია, რომც დავუშვათ, მესამე პირმა სხვა რომელიმე ვალდებულების შესრულებისაგან თავის ასარიდებლად ბანკთან ანაბრის ხელშეკრულება შეწყვიტა, ბანკი არ არის პირი, რომლის უფლებაც დაირღვა ამგვარი ნების შეთანხმებული გამოვლენის შედეგად. პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილია იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არ ემნის გამოყენებული ნორმის (სსკ-ის 56.1 მუხლის) შემადგენლობას.

30. მეანობრე უფლებამოსილია, საკრედიტო დაწესებულებას მოს-
თხოვოს, როგორც ანაბარზე განთავსებული ფულადი თანხის, ისე – მას-
ზე დარიცხული პროცენტის დაბრუნება. ბანკის ვალდებულებაა, და-
უბრუნოს მეანობრეს ანაბარზე განთავსებული თანხა დარიცხული პრო-
ცენტით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, იმავე ვალუ-
ტით. ამავე დროს, იმ შემთხვევებშიც კი, როცა ანაბარი ვადიანია და
მხარეები წინასწარ არიან შეთანხმებული კონკრეტულ ვადაზე ან ანა-
ბარი დადებულია რაიმე პირობით და ბანკი ვალდებულია, ვალდებუ-
ლება შეასრულოს ამ პირობის წარმოშობისთანავე, შეთანხმებული ვა-
დის გასვლა ან პირობის გაჩენა თავისთავად (მეანობრის მოთხოვნის
გარეშე) არ ნიშნავს, რომ კრედიტორის მოთხოვნის არარსებობის პი-
რობებში ბანკი უფლებამოსილია, განსაზღვრული ვადით თანხის დე-
პონირებით შეწყვიტოს ვალდებულება და თანხა დაიტოვოს თავად. საკ-
რედიტო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს ანაბრის თანხა მოთხოვ-
ნისამებრ, მიუხედავად შენატანის ხანდაზმულობისა, თუ არ დაამტკი-
ცებს საანაბრო ურთიერთობის შეწყვეტას და მეანობრისათვის თანხის
დაბრუნებას (იხ. „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი 4, ტომი
II, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001 გვ. 205).

31. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზ-
ღაურების შესახებ ეფუძნება იმ დასაბუთებას, რომ, რაკი მას ხელშეკ-
რულების შესაბამისად, ანაბარზე სარგებელი ყოველწლიური 12% ერიც-
ხებოდა, დასაბრუნებელ თანხას სწორედ ამდენივე პროცენტი უნდა
დაემატოს, როგორც მიუღებელი შემოსავალი. მოსარჩელის საკასაციო
პრეტენზიის მიხედვით, მოპასუხემ ვერ დაამტკიცა, რომ სწორედ 4%
იყო მოსარჩელის ზიანი. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსარ-
ჩელის საკასაციო პრეტენზიას და განმარტავს, რომ კრედიტორს, რო-
მელიც მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის გამო ვერ იღებს
კუთვნილ თანხას, ზიანი ადგება დაკარგული პროცენტების სახითაც,
რომელიც ანაზღაურდება, როგორც მიუღებელი შემოსავალი. სავარა-
უდო პროცენტები არ განისაზღვრება კანონისმიერი საპროცენტო გა-
ნაკვეთის და არც რაიმე ერთიანი კრიტერიუმის მიხედვით – გადამწყვე-
ტია დროის მოცემულ მონაკვეთში საბაზრო მდგომარეობა და მოთხოვ-
ნის განმაპირობებელი ხელშეკრულების ტიპი (გ. რუსიაშვილი, „სამო-
ქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი III, თბილისი 2019, მუხლი 411,
გვ. 729-730). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სა-
სამართლოებმა, საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთის საფუძ-
ველზე სწორად განსაზღვრეს დაკარგული პროცენტების ოდენობა. იმის
მტკიცება კი, რომ სადავო პერიოდისათვის საშუალო საბაზრო საპრო-
ცენტო განაკვეთი ამერიკული დოლარის ვადიან ანაბარზე 4%-ზე მეტი
იყო, მოსარჩელეს ეკისრებოდა. ამ გარემოების დასამტკიცებლად მას

მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. რაც შეეხება ზიანის 2016 წლის მარტიდან დაკისრებას, უდავოა, რომ 2014 წლის 4 აპრილიდან 2016 წლის მარტამდე ყოველთვიურად ერიცხებოდა თანხის შესაბამისი სარგებელი წლიური 12%, რის გამოც ამ პერიოდისათვის დაკარგული პროცენტების სახით მიუღებელი შემოსავლის დაკისრების მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

32. დაუსაბუთებელია მოსარჩელის საკასაციო პრეტენზია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის (საბანკო მომსახურების თაობაზე კლიენტსა და ბანკს შორის ურთიერთობის პირობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე. ფულადი გადარიცხვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისას, ბანკი ვალდებულია, კლიენტს გადაუხადოს დაგვიანებული თანხის არანაკლებ 0.5 პროცენტისა, ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე) შესაბამისად, დაგვიანებული თანხის არანაკლებ 0,5%-ის ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სწორად მიუთითეს, რომ ნორმა ფულადი გადარიცხვის ვადის დარღვევას უკავშირდება და არა – ანაბარზე განთავსებული თანხის ვადის დარღვევით დაბრუნებას, რის გამოც განსახილველ დავაზე ვერ გავრცელდება.

33. პირველი კასატორის პრეტენზიის მიხედვით, თუკი ბანკი მხოლოდ ანაბრის თანხასა და ანაბარზე საშუალო საბაზრო საპროცენტო სარგებელს დააბრუნებს, გამოვა, რომ იმავეს დააბრუნებს, რასაც გადაიხდიდა ანაბრის თანხა მართლზომიერად რომ განეკარგა. ამ პრეტენზიასთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე (სსსკ-ის მე-3 მუხლი) მოსარჩელე თავად წყვეტს, რა მოთხოვნას წაუყენებს მოპასუხეს, ხოლო შეჯიბრობითობის პრინციპიდან (სსსკ-ის მე-4 მუხლი) გამომდინარე, თავად განსაზღვრავს, თუ რომელ ფაქტებს დაუდებს საფუძვლად ამ მოთხოვნებს და რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებს ამ ფაქტებს. შესაბამისად, თუკი მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ანაბარზე შეტანილი თანხის დროულად დაუბრუნებლობით მას უფრო მეტი ზიანი მიაღდა, ვიდრე დაკარგული პროცენტები იყო, მას შესაბამისი მოთხოვნის, ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენით შეეძლო საკუთარი უფლების რეალიზაცია.

34. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწო-

რია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ტ-ისა“ დამ. ჯ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 7 ნოემბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge